ლელო

№114
(12 183)

17 მაისი ხუთშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა
ყაზბეგი

ღირსების საკითხი

მოხდა უსამართლობა! ფეხბურთის ფედერაციის ყრილობის მიერ არჩეული პრეზიდენტი ერთ საათში თანამდებობიდან გადადგა. უფრო სწორად, აიძულეს, გადამდგარიყო. კრიზისული სიტუაცია შეიქმნა. ქართული საფეხბურთო თემი შეურაცხყოფილად მიიჩნევს თავს. ოთხი დღეა, ეს თემა ყველა მედიასაშუალების ჰედლაინია. დაიხარჯა უამრავი დრო, ენერგია და სიტყვა... თუმცა, არაფერი თქმულა გამოსავალზე - თუ არ ჩავთვლით ერთ-ერთ ტელეშოუში გამოთქმულ სენტენციას - კინო მორჩა, ახლა ყველამ ხელები უნდა დავიკაპიწოთ და... ასე შემდეგ, რაც ჩვეულებრივ, "ჩვენებურ" შემგუებლობას მოასწავებს...

ღირსეული გამოსავალი კი ძალიან მარტივია.

დღეს ხელმეორე არჩევნებია. იგივე 32 ადამიანი, რომელმაც გიორგი ნემსაძეს, ნოდარ ახალკაცსა და მამუკა კვარაცხელიას შორის გააკეთა არჩევანი, დღეს ახალკაცსა და კვარაცხელიას შორის უკეთესს აირჩევს...

ან, შეუძლია, არც აირჩიოს! თუ მიიჩნევს, რომ მათ შორის პრეზიდენტობის ღირსი არცერთი არაა.

13 მაისის კენჭისყრა ასეთი შედეგით დასრულდა: ნემსაძე - 19 ხმა, ახალკაცი - 13, კვარაცხელია - 0. ძალიან გასაკვირი იქნება, რომ დღეს ახალკაცმა 13 ხმაზე მეტი მოაგროვოს. ისიც მაქსიმუმ 13 - ნესით, ახალკაცის მომხრეთა შორისაც უნდა იყვნენ უკმაყოფილონი იმით, რაც მოხდა. პრეზიდენტად არჩევისთვის კი 17 ხმის მიღებაა აუცილებელი!

თუ თქვენ მიიჩნევთ, რომ ხელისუფლება უხეშად ერევა საფეხბურთო საქმეებში და თქვენგან ერთხელ უკვე დაწუნებულ პრეზიდენტს გინიშნავთ, შეეწინააღმდეგეთ და ნუ მისცემთ ხმას!

ამ შემთხვევაში დაინიშნება ახალი არჩევნები, სადაც პრეზიდენტობის სხვა კანდიდატები გამოჩნდებიან. ეს ნამდვილად ღირსეული გამოსავალი იქნება შექმნილი ვითარებიდან! თანაც, ფიფას სანქციებსაც ავტომატურად გამორიცხავს... მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეგვეძლება ვისაუბროთ ვინმეს ღირსებასა თუ ვინმეს ულირსობაზე.

მამუკა ჩიხლაძე

P.S. "არგუმენტები", 32 დელეგატს დაიბარებენ საქართველოს პრეზიდენტთან, მაგან პარლამენტართან, მინისტრთან და: "ტყავს გააძრობენ", "ციმბირს უკან მოატოვებინებენ", "ცხოვრებაში აღარ გაახარებენ", "ბიზნესს დაუხურავენ" და ასე შემდეგ... არ მიიღება! თუ მართლა გჯერათ, რომ ასე მოიქცევიან 19 (ცხრამეტიდან ოცდათორმეტამდე) მართალ ადამიანს, რომლის უკან მთელი საფეხბურთო თემი და ქართული საზოგადოების უდიდესი ნაწილია, მაშინ თავიდანვე რატომ მონაწილეობდით ამ ყველაფერში?

ინტერვიუ ნოდარ ახალკაცთან 2

ეს რა ქენი, ნოდარ?!

ნეტარ არიან მორწმუნენი - როგორ მეგონა, რომ ახალკაცი ხელახალ არჩევნებზე კანდიდატურას აღარ წამოაყენებდა. არ ვიცი, დიდხანს იფიქრა თუ არა ნოდარმა ამ არჩევანზე, მაგრამ ის კი ვიცი და ბევრიც დამეთანხმება, რომ 13 მაისის ამბები მისთვისაც დიდი დარტყმა იყო, მისი ღირსებაც შეილახა. ვინც ამას ვერ ხვდება, მისი პრობლემაა. ახალკაცს ჰქონდა შანსი, ამ ურთულესი მდგომარეობიდან ვაჟკაცურად გამოსულიყო, მაგრამ მან ეს შანსი ვერ ან არ გამოიყენა... ისე, რატომ? შანსი კიდევ არის - დღეს, კენჭისყრის დაწყებამდე...

აქ არ არის ლაპარაკი იმაზე, რა გააკეთა ახალკაცმა ორი წლის განმავლობაში და რას გააკეთებს მომდევნო ოთხ წელიწადში, მას შემდეგ, რაც დღეს ერთხმად (!) დანიშნავენ ფედერაციის პრეზიდენტად. მჯერა, რომ ქართული ფეხბურთი ცოტათი მაინც წავა წინ, მაგრამ დღეს, ერთხელ მაინც, ვცადოთ და ამ უბედურ ფეხბურთს ლაქა მოვწმინდოთ. ეს მისია ნოდარ ახალკაცს აკისრია, დიდი ნოდარ ახალკაცის ვაჟს, იმ კაცის შვილს, ვინც საქართველოს 1981 წლის 13 მაისი აჩუქა. და შენ, ჩემო ნოდარ, დღეს სწორედ ეს 13 მაისი უნდა გადაარჩინო, ის ლაქა უნდა მოსწმინდო, რითიც მოთხვარეს. გვეყო ამდენი უპრინციპო კაცი ჩვენს ფეხბურთში (აქ იმ ხალხსაც ვგულისხმობ, ვინც გუშინ ნემსაძეს უჭერდა მხარს, დღეს კი ახალკაცს 32 ხმას ჩაახუტებს)! გულწრფელად მინდა, რომ პრეზიდენტი იყო, მაგრამ ახლა არა, დღეს ამის მორალური უფლება არ გაქვს! გავიდეს დრო, მოდი მერე ისევ და მოიგე კაცურად!

პაატა გელაშვილი

დინამოს შანსი ქუთაისშია

საქართველოს ჩემპიონატი. XXV ტური

ლიდერებს შორის სხვაობა ერთი ქულაა 3-5

UEFA CUP

უეფას თასი. ფინალი 6

ისევ სევილია

გაზეთი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ქართული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ნოდარ ახალკაცთან

ქართული ფეხბურთი ყველაფერზე მაღლა დავაყენე

ამ შემთხვევაში ჩემი განცდები მეორეხარისხოვანია



ნოდარ ახალკაცი

დღეს ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე საარჩევნო ყრილობა ჩატარდება. გუშინ ფედერაციის გენერალურ სამდივნოში შეტანილ წერილობით თანხმობათა გათვალისწინებით, საპრეზიდენტო არჩევნებში ნოდარ ახალკაცი და მამუკა კვარაცხელია მიიღებენ მონაწილეობას.

13 მაისს გამართული არჩევნების მერე განვითარებული მოვლენების შემდეგ, გიორგი ნემსაძესთან ერთად, ნოდარ ახალკაციც ცუდ ვითარებაში აღმოჩნდა. ჯერ კიდევ გუშინ, არჩევნებში მონაწილეობაზე დასტურის მიცემამდე, გადაჭრით ვერავინ ამბობდა, მიიღებდა თუ არა ახალკაცი რიგგარეშე არჩევნებში მონაწილეობას. ის აქამდე კომენტარს არ აკეთებდა. გუშინ, დღის მეორე ნახევარში კი საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო და ტელევიზიებსაც ესტუმრა. ჩვენი საუბარიც, სწორედ ტელეგადაცემებში მონაწილეობათა შუალედში შედგა.

- ბატონო ნოდარ, საბოლოო გადაწყვეტილება მიიღეთ და რიგგარეშე არჩევნებში მონაწილეობას მიიღებთ. ამ ნაბიჯის გადადგმამდე ალბათ ბევრი იფიქრეთ და შინაგან "მესაც" ებრძოდით...

- 13 მაისის ყრილობის დამთავრებისას ჩემი ბოლო საჯარო გამოსვლისას ხაზგასმით აღვნიშნე, რომ ნებისმიერ შემთხვევაში დავრჩები ქართული ფეხბურთის სამსახურში. ჩემი და ჩემი გუნდის მუშაობამ ამ ორი წლის განმავლობაში, უკვე მოიტანა გარკვეული შედეგები. ეს ეხება როგორც ეროვნულ ჩემპიონატს, ისე ეროვნულ და ასაკობრივ ნაკრებებს. მათ ღირსეულ გუნდებთან აქვთ ამხანაგური მატჩები, გულშემატკივარი ბრუნდება სტადიონზე. საერთაშორისო საფეხბურთო პოლიტიკაში კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გახდა აქტიური და მონინავე ძალა. სწორედ ჩვენი ფედერაციის ძალისხმევით შეიქმნა ცენტრალური და აღმოსავლეთ აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნების ფედერაციათა გაერთიანება, რომელსაც ჩვენი ფედერაცია უდგას სათავეში. ვფიქრობ, რომ ყოველივე ეს მხოლოდ დასანყისია იმ რთული გზისა, რომელიც შეიძლება განვლო მიზანდასახული, დაუღალავი, მუხლჩაუხრელი, ხშირად დაუფასებელი შრომით და მიაღწიო იმას, რომ ქართული ფეხბურთი კვლავ იქცეს ყველასათვის ანგარიშგასაწევ ძალად. ქართველი კაცისთვის ფეხბურთი ბევრად უფრო მეტია, ვიდრე უბრალო სპორტის სახეობა. სწორედ ფეხბურთია ქართული გენისა და ხასიათის სათანადო გამოვლინება. აქედან გამომდინარე, ძალზედ რთულ გადაწყვეტილებას ვიღებ და მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ღირსება ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ქართული ფეხბურთის მომავალს პირად ინტერესებზე უფრო მაღლა ვაყენებ. ეს მავალდებულებს შექმნილ რეალობას თვალი გავუსწორო და გადავდგა, შესაძლოა, არაპოპულარული ნაბიჯი, მაგრამ არ მივატოვო დაწყებული საქმე და 17 მაისის რიგგარეშე არჩევნებში მონაწილეობა მივიღო.

- გიორგი ნემსაძესთან თუ გქონდათ საუბარი?

- არა, გიორგი ნემსაძესთან 13 მაისს მქონდა საუბარი, როცა მას ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობა მივულოცე.

- ალბათ ამ გადაწყვეტილების მიღებამდე თანაგუნდელებთან, მეგობრებთან გქონდათ საუბარი...

- დიახ. მათ და ქართულ ფეხბურთში დასაქმებულმა ხალხმა თავისი პოზიცია დააფიქსირა. მართალი გითხრათ, ზოგის პოზიციას ქართულ ფეხბურთზე წინ ვერ დავაყენებდი... ჩემი გადაწყვეტილებაც სწორედ ამას ეფუძნება, რომ ობიექტური რეალობა დღეს ჩემგან სწორედ ასეთი ნაბიჯის გადადგმას მოითხოვს.

- გავრცელდა ხმები, არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, გიორგი ნემსაძეს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის პოსტს შესთავაზებთ...

- ყველაფერს დრო გვიჩვენებს. ერთი რამ ფაქტია, საქართველო პატარა ქვეყანაა და თითოეულ ადამიანს, რომელიც მოწადინებულია ქართული ფეხბურთის განვითარებაში საკუთარი წვლილი შეიტანოს, ხელი უნდა შევუწყოთ. ასე რომ, ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

- იმედია, ბოლო დროს განვითარებული მოვლენები ეროვნულ და ასაკობრივ ნაკრებებთა ასპარეზობაზე არ აისახება...

- არა, მგონია აისახოს. როგორც ამ დღეებში გამოჩნდა, ფედერაცია 2 წლის განმავლობაში საკმაოდ ძლიერ, გამართულ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა. ვთვლი, რომ ამ რთულ პერიოდში, ჩვენთან ერთად მოღვაწე თითოეულმა ადამიანმა სამაგალითო კონცენტრაცია გამოავლინა. პირადად მე გენერალური სამდივნოს მუშაობით აღფრთოვანებას ვერ ვმალავ.

დავით ცაბაძე

თამაზ ბოკერია და ჰაინც ტოპმიოლერი

19-წლამდელთა ნაკრებები. პრესკონფერენცია

მიზანი ფინალია

19-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდში გასული ჩვენი ჭაბუკთა ნაკრები დღეს შოტლანდიას გაემგზავრა, სადაც 23 მაისიდან ელიტრაუნდის ჯგუფურ მატჩებს დაიწყებს. თბილისიდან გამგზავრების წინ ნაკრების მწვრთნელმა **ჰაინც ტოპმიოლერმა** პრესკონფერენცია გამართა.

- შარშან, შემოდგომაზე, რუმინეთში ევროპის ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე წარმატებით ვიასპარეზეთ და ელიტრაუნდში თამაშის უფლება მოვიპოვეთ. ამჯერად, შოტლანდიაში, მასპინძელთა, თურქეთისა და პორტუგალიის ნაკრებებთან მოგვიწევს ბრძოლა. ვთვლი, რომ ჩვენი ჯგუფი ყველაზე ძლიერია. პირდაპირ გეტყვით, ამ ჯგუფიდან ჩვენი გასვლა სენსაცია იქნება, მაგრამ ჩვენ სწორედ საამისოდ ვიბრძოლებთ...

- ელიტრაუნდისთვის კარგა ხანია ვემზადებით. პორტუგალიაში, გერმანიასა და ლუქსემბურგში არაერთი მატჩი გავმართეთ და ჩვენმა ნაკრებმა მოწონება დაიმსახურა. რამდენადაც ვიცი, გერმანიის ნაკრებთან ამხანაგური მატჩის შემდეგ, ჩვენი გუნდის რამდენიმე ფეხბურთელით გამორჩეული ევროპული კლუბები დაინტერესდნენ. თუმცა ამ მოთამაშეთა გვარებს შეგნებულად არ დავაკონკრეტებ. სჯობს, მათ მხოლოდ წარმატებულ ასპარეზობაზე იფიქრონ...

- ელიტრაუნდში ჯგუფის მეტოქეები რეიტინგში ჩვენზე გაცილებით ზემოთ არიან. მათი ფეხბურთელები წამყვან კლუბებში თამაშობენ, მაგრამ ჩვენ მაინც ფინალურ ეტაპზე გასვლისთვის ვიბრძოლებთ...

- ამ ასაკის ნაკრებში 1988 წელს დაბადებულები თამაშობენ. თუმცა ჩვენ შოტლანდიაში 1988 წელს დაბადებულ 11 ფეხბურთელთან ერთად, 1989 წელს დაბადებული ოთხი და 1990 წელს დაბადებული სამი ფეხბურთელი მიგვყავს. ეს ბიჭები ჩვენს ნაკრებში თამაშს იმსახურებენ და ამასთან გამოცდილებასაც შეიძენენ მომდევნო შესარჩევი ციკლისთვის. სამწუხაროდ, ავადმყოფობის გამო დავით მჭედლიშვილი გამოგვაკლდა. გიორგი ელბაქიძეს კი სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს და შოტლანდიაში ვერ დაგვეხმარება...

- ვნახე პორტუგალიისა და გერმანიის მატჩი. დავესწარი თურქეთი-ჩეხეთის და ჰოლანდია-შოტლანდიის მატჩებს. შოტლანდია ტურნირის მასპინძელია და ფავორიტადაც მას მივიჩნევ...

- ჩვენ თურქეთსა და პორტუგალიაზე ადრე ჩავალთ შოტლანდიაში. ავსტრიული "ლუშტენაუს" წევრ **მირზა ბჟალავას** 18 მაისს კლუბში თამაში აქვს და მხოლოდ 19-ში შემოგვიერთდება. მასპინძლები 19 მაისისთვის ერთ-ერთ ადგილობრივ კლუბთან ამხანაგური მატჩის ორგანიზებას დაგვპირდნენ. თუ ეს არ მოხერხდა, მაშინ გუნდს ორად გავყოფ, ადგილობრივ ფეხბურთელებს დავიმატებ და ერთ თამაშს მაინც ჩავატარებთ...

- ერთი სიტყვით, ჩვენი მიზანი ამ ეტაპის გადალახვაა და ამ მიზანს იმ შემთხვევაში მივაღწევთ თუ მაქსიმალურად მოვინდომებთ და მსაჯებიც არ გაგვწირავენ.

დავით ცაბაძე

სფფ-ის საკლუბო ლიცენზირება

მედია რელიზი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საკლუბო ლიცენზირების კომიტეტის 15 მაისის სხდომის გადაწყვეტილებით, უეფა-ს 2007-08 წლების სეზონის საკლუბო ტურნირებში მონაწილეობის ლიცენზია მიეცა საფეხბურთო კლუბებს:

რუსთავის "ოლიმპი", "დინამო თბილისი", თბილისის "ამერი", ზესტაფონის "ზესტაფონი", თბილისის "ვიტ ჯორჯია", ბოლნისის "სიონი", ბორჯომის "ბორჯომი"

ლიცენზიაზე უარი ეთქვა საფეხბურთო კლუბებს: ზუგდიდის "მგლები", ახალციხის "მესხეთი", აგარის "მეშაქრე".

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საკლუბო ლიცენზირების სადისციპლინო დებულების შესაბამისად, დაწესდა სანქციებიც. ლიცენზირების კომიტეტის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო კლუბებს შეუძლიათ 22 მაისამდე ლიცენზირების მენეჯერის სახელზე წერილობით შემოიტანონ აპელაციები, რომელსაც შემდგომ სფფ-ის საკლუბო ლიცენზირების სააპელაციო ორგანო განიხილავს.

ფიფას რეიტინგი

ნაკრებები დაეშვა

საქართველოს ნაკრების რამდენიმეთვიანი პროგრესი ფიფას რეიტინგში გუშინ შეწყდა. ახალ რეიტინგში ჩვენი ეროვნული გუნდი 7 საფეხურით დაქვეითდა და 92-ე ადგილზეა. ჩვენთან ერთად რეგრესი განიცადა შესარჩევ ტურნირში ჩვენი ჯგუფის ორმა მონაწილემ - ლიტვამ და ფარერებმა. ლიტველები ქართველებთან ერთად იყოფენ 92-ე ადგილს, ფარერის კუნძულების ეროვნული გუნდი კი 185-ეა.

რაც შეეხება ჯგუფის დანარჩენ მონაწილეებს, იტალია კვლავაც პირველია, საფრანგეთი - მეოთხე, უკრაინა - მეთერთმეტე, ხოლო შოტლანდია - მეთოთხმეტე.



მერაბ რატიანი დაიჭირეს

გუშინ საფეხბურთო კლუბ "მერანის" ვიცე-პრეზიდენტი **მერაბ რატიანი** დააკავეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის ინფორმაციით, დაკავებულს დიდი ოდენობით სუბოტექსი აღმოაჩნდა. 10 აბი რატიანს დაკავების დროს უპოვეს, კიდევ 22 აბი კი ბინის ჩხრეკისას აღმოაჩინეს. მას 20-წლიანი პატიმრობა ემუქრება.

გაზეთი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. XXV ტური

სახიფათო მომენტიამერის კართან მცველებმა განმუხტეს

ნუგზარ სუარიძის ფოტო

დილას ქუდბედი ბედიაშვილია

ვიტ ჯორჯია-დილა

1:1

16.05. მცხეთა. არმაზი
50 მაყურებელი

1:0 ბერიაშვილი (33. ბეჭვაიას პასით), 1:1 ვარდოსანიძე (75)

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, ლომაია, ჯაფარიძე, რაზმაძე (66. ინჯგია), ბეჭვაია, მელქაძე, სახოკია (71. კვაღინიძე), ბერიაშვილი, ლუჭაშვილი (62. კლიმიაშვილი)

სათადარიგოები: კაიშაური, ადამაძე, კიკნაძე

დილა: თევდორაძე, ბალიაშვილი, ბალაშვილი, დ. ხანიშვილი, სადაღაშვილი (32. ნ. ნოზაძე), ტლაშაძე, აბრამიშვილი, (46. ლომიძე), ვარდოსანიძე, ბ. ჩიტაია, გ. წინამძღვრიშვილი (46. ლომაშვილი)

სათადარიგოები: კეჩხუაშვილი, კ. ხანიშვილი, გონჩაროვი, თაყაძე

გაფრთხილება: ნ. ნოზაძე (35), ტლაშაძე (42), ბალიაშვილი (79)

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

ბედიაშვილმა უნდა თქვას. **გიორგი ვარდოსანიძემ** ჯარიმა ჩააწოდა "ვიტ ჯორჯიას" საჯარიმოში, ბურთს გორელები ვერ შესწვდნენ და ბედიაშვილს მიუვიდა, უწყინარი სიტუაცია იყო, არანაირი ხიფათი, მაგრამ ბედიაშვილმა ისე უხერხულად მოიხელთა ბურთი, რომ საკუთარ კარში შეაგდო. ასე გაათანაბრა "დილამ" ანგარიში.

"ვიტ ჯორჯია" ვერმოგებას მხოლოდ კურიოზულად გაშვებულ გოლს ვერ დაებრალებს. ვიტელებს ისევ უჭირდათ შეტევების შედეგიანად დაგვირგვინება, საგოლე მომენტების გამოყენება. მასპინძლები შეტევაში აქტიურად კი ირჯებოდნენ, მაგრამ გოლის გატანას მონდომების გარდა ის სიზუსტე და ოსტატობაც უნდა, რაც ვიტელთა ძლიერი მხარე ნამდვილად არ არის.

ნესტორ მუმლაძის გუნდს დაწინაურების შანსი მალევე ჰქონდა - **გიორგი ბერიშვილი** ხელსაყრელ პოზიციაში აღმოჩნდა, თუმცა მცველებს და მეკარეს ვერ აჯობა. "ვიტ ჯორჯია" ზეწოლას აგრძელებდა, ბურთი მეტწილად "დილას" ნახევარზე დახტოდა და დაფრინავდა. გორელები 33-ე წუთზე გატყდნენ - **გიგა ბეჭვაიამ** თავით დაუგდო ბურთი ბერიშვილს, რომელმაც 5-6 მეტრიდან კარგად გაასწორა მიზანი.

"დილა" შეტევაში მთლად ბეჩავი როდი იყო, რამდენჯერმე შორეული დარტყმებით დაემუქრა "ვიტ ჯორჯიას".

შესვენების შემდეგ გორელებმა მწვავე კონტრშეტევა განახორციელეს, მაგრამ **დავით ტლაშაძემ** 15-16 მეტრიდან არაზუსტად დაარტყა.

"ვიტ ჯორჯია" ამან თითქოს გაახელაო და უპირატესობის გაზრდის შანსი გაუშვა ხელიდან - ბეჭვაიამ ხარიხა შეაზანზარა.

გორელებს არ ემჩნეოდათ ის ნიათი, რითაც თამაშობენ და შემოტრიალებინათ, მაგრამ ბედიაშვილის უბედობით გამთანაბრებელი შეაგდეს და მერე დაცვაში ჩაჯდნენ. ბოლოსკენ მასპინძლებმა ძალიან მწვავედ შეუტიეს, ბურთი ხშირად ტრიალებდა **რევაზ თევდორაძის** ბაქანთან, მაგრამ მისი კარში გადამგზავნი ვერავინ გამოდგა. გოლის გატანის საუკეთესო შესაძლებლობა **ლექსო კვახაძეს** ჰქონდა - **დავით ლომაიამ** თავით ისეთი პასი გაუკეთა, ახლოდან უნდა ეხეირა, მაგრამ ბურთი ხარიხას გადააგდო.

მატჩის მიწურულს მასპინძლებმა შტურმის მაგვარი მოუწყეს მეტოქეს. ზედიზედ სამი კუთხური, ხარიხას გარტყმული ბურთი, ახლოდან გაფუჭებული სამი მომენტი - "ვიტ ჯორჯიას" გუშინ გამარჯვება არ ეწერა.

დავით თავართქილაძე

ერთი ნაბიჯი ოლიმპამდე

ოლიმპი-ამერი

0:0

16.05. რუსთავი. ფოლადი
4000 მაყურებელი

ოლიმპი: მერლანი, სეთურიძე, გ. ონიანი, მახვილაძე, ჭიჭვეიშვილი, გეწაძე, ძამსაშვილი, ქებაძე, აფციაური (88. ბერუაშვილი) - კახელიშვილი, რ. გოცირიძე

სათადარიგოები: მ. ალავიძე, ხუბუა, ჩხარტიშვილი

ამერი: ქვაჩახია, დიდავა, დავითნიძე, ხვადაგიანი, ჩიკვილაძე, დოლიძე, ბოლქვაძე (59. ჯელაძე), დობროვოლსკი, დეკანოსიძე, დავითაშვილი (78. ტატანაშვილი), წინამძღვრიშვილი (84. ჩიმაკაძე)

სათადარიგოები: ნაჭყებია, კაკაშვილი, ელბაქიძე, მესხი

გაფრთხილება: დავითნიძე (15), წინამძღვრიშვილი (17), ძამსაშვილი (20), ჩიკვილაძე (84)

არბიტრი: მ. მაისურაძე

მატჩის დასრულებისთანავე გასახდელთან რამდენიმე ადამიანის მონაწილეობით შეხლა-შემოხლა მოხდა. ერთ-ერთი ვერსიით, რუსთაველთა უკმაყოფილება იმას გამოუწვევია, რომ "ამერს" "ოლიმპისთვის" "თამაში არ მიუცია". **რევაზ ძოძუაშვილმა** და **გიორგი ჩიხრაძემ** ეს ვერსია კატეგორიულად გამორიცხეს და ინცინდენტი უბრალო დაძაბულობით ახსნეს. ვნახოთ, ამ ამბავს ნათელი მოეფინება თუ ეჭვი ეჭვად დარჩება.

უშუალოდ მატჩს რაც შეეხება, ისეთი თამაში გაჩაღდა, როგორიც ყველაზე მეტად იყო მოსალოდნელი. ჩემპიონატის დასრულებამდე დარჩენილ ორ შეხვედრაში "ოლიმპს" ოთხი ქულა სჭირდებოდა და მიზეზთა გამო, ძოძუაშვილისა და მისი შეგირდებისთვის ფრე ურიგო შედეგი არ უნდა ყოფილიყო.

თამაში საშუალო ტემპში წარიმართა, ბრძოლა ძირითადად ცენტრში მიმდინარეობდა. მატჩს სანახაობრივი არ ეთქმოდა, მაგრამ "ოლიმპი"-"დინამოსთან" შედარებით, ალბათ უფრო დინამიური იყო. მასპინძლებმა ზუსტად იმ სტრატეგიით ითამაშეს, როგორც "დინამოსთან". "ოლიმპმა" დაცვაში მაქსიმალური ყურადღება გამოიჩინა, თუმც დრო შეტევისთვისაც რჩებოდა. როგორც ყოველთვის, იერიშებს ცენტრიდან **თორნიკე აფციაური** იწყებდა, ფლანგებიდან კი ეფექტურები იყვნენ **რევაზ გეწაძე** და **გიორგი სეთურიძე**. ეს უკანასკნელი განსაკუთრებული ქების ღირსია, სეთურიძემ არაერთი ეფექტური სოლორიდი განახორციელა, მაგრამ რამდენიმე ეპიზოდში თანაგუნდელებმა მხარი ვერ აუბეს.

უქმად არც "ამერი" იყო, მაგრამ გლდანელებს ალბათ, მაინც არ უჭვენებიათ შესაძლებლობათა მაქსიმუმი და ეს არცაა გასაკვირი, 26 მაისს ხომ საქართველოს თასის ფინალი ელით. თუმცა თითო ტაიმში სტუმრებმა თითო ნაღდი საგოლე შანსი გაუშვეს ხელიდან.

შესვენებამდე **გიორგი დეკანოსიძემ** მცირედით ააცილა ახლო მანძილიდან. საწყის 45 წუთში ოლიმპელები ჯარიმების უშედეგო ჩამოწოდებებით შემოიფარგლნენ. ამერელებმა არბიტრ **მაისურაძის** რამდენიმე გადაწყვეტილება გააპროტესტეს.

მეორე ნახევარი ორიოდე წუთის დაწყებული იყო, გეწაძის უძლიერესი დარტყმა ქვაჩახიამ ეფექტური ნახტომით რომ მოიგერია. ეს "ოლიმპის" ერთადერთი რეალური საგოლე მომენტი იყო.

გოლთან კი უფრო ახლოს "ამერი" იყო, **წინამძღვრიშვილმა** 17-18 მეტრიდან ყუმბარისებურად გაისროლა, ამ სიტუაციაში ნებისმიერი მეკარე უძლური იქნებოდა, მასპინძლები ხარიხამ იხსნა.

მწვრთნელთა მიერ განხორციელებულ ცვლილებებს შეხვედრის მსვლელობაში განსაკუთრებული კორექტივები არ შეუტანია, ბუნებრივია, ფინიშისკენ დაძაბულობამ იმატა, მაგრამ რუსთაველ გულშემატკივრებს ბევრი სანერვიულო აღარ მისცემიათ. ჩემპიონის ვინაობა ბოლო ტურში გაირკვევა, ძოძუაშვილი მშობლიურ ქალაქში, ყოფილ გუნდან დაპირისპირებაში შეეცდება მორიგი ქართული ოქროს დაუფლებას. ვნახოთ, გამართლდება თუ არა მის მიერ ნამატჩევს გამოთქმული ვარაუდი.

მატჩის შემდეგ

რევაზ ძოძუაშვილი ("ოლიმპი"): "ჩვენი კონკურენტები დასაშვები და დაუშვებელი ხერხებით გვებრძვიან. ახლა ალბათ, "ტორპედოს" გადაიყვანენ განსაკუთრებულ მოსამზადებელ რეჟიმზე. არა უშავს, იმედია, ამ ბარიერსაც წარმატებით გადავლახავთ და დამსახურებულ ჩემპიონობას ვიზეიმებთ".

გიორგი ჩიხრაძე ("ამერი"): "ყველამ დაინახა, რომ ამ მატჩის შედეგი ჩვენთვის სულერთი არ იყო. მიუხედავად იმისა, რომ თასის ფინალს განსაკუთრებულ მნიშვნელობაა ვანიჭებთ, ბოლო ტურში, "ვიტ ჯორჯიასთანაც" ბოლომდე დავიხარჯებით. დიდი სურვილი გვაქვს, საპრიზო სამეულში შევიდეთ".

ლევან ჯანეზაშვილი
რუსთავი-თბილისი

უმოტივაციო და გადარჩენილი

ლოკომოტივი-სიონი

3:1

16.05. თბილისი. მ. მესხი
100 მაყურებელი

1:0 ალავერდაშვილი (11. ყენიას პასით), 2:0 ყენია (37), 2:1 უგრეხელიძე (82. ჩაგელიშვილის პასით), 3:1 კორკიტაძე (90. ფოფხაძის პასით)

ლოკომოტივი: გვარამაძე, ფოფხაძე, კვახაძე, გუშარაშვილი (46. კუპრეიშვილი), ებრალიძე, მალიჩავა, სამხარაძე, ყენია, ჟღენტი, გოჩაშვილი (90. კორკიტაძე), ალავერდაშვილი (87. სოსელია)

სათადარიგოები: მიგინეიშვილი, ჩომახიძე, გულორდავა, პარპაქაძე.

სიონი: ბობღიაშვილი, სვანიძე (46. რაქვიაშვილი), ლ. ჭელიძე, ბოიომო, კობაური, ოქროპირიძე, ბაჯელიძე (46. უგრეხელიძე), ბაბუნაშვილი, ალავიძე, ცხადაძე, ჩასვმი (55. ჩაგელიშვილი).

სათადარიგოები: მამალაძე, გიგინეიშვილი, ლ. ჩხეტიანი.

გაფრთხილება: ჟღენტი (41), კუპრეიშვილი (73).

არბიტრი: ო. ხეცაძე

გიორგი კიკნაძემ და მისმა გუნდმა ბოლნისელთა უმოტივაციობით ისარგებლა და მეტოქე დაამარცხა. სიტყვა იოლად ამაზე არ ითქმის, მაგრამ როდესაც მოწინააღმდეგე მოედანზე მოვალეობის მოხდის მიზნით გადის, ვერაფერს გახდება.

თუმცა, ყველაზე უმოტივაციო ფეხბურთელშიც თავმოყვარეობა იღვიძებს, როდესაც მოწინააღმდეგე აბითურებს. ბოლნისელთა ინერტულობა ვერ ახსნის **ლევან ყენიას** საოცრებებს. მართალია, გერმანიიდან საქართველოში დაბრუნებული მგზავრობისგან გადაღლილი ჩანდა, მაგრამ თამაშის ბედი სწორედ მან გადაწყვიტა.

მე-11 წუთი: ყენია მოედნის ცენტრში ბურთიანად დაიძრა, გზაზე ერთბაშად სამი მეტოქე ჩამოიტოვა და საჯარიმოში მარტო დარჩენილი **გიორგი ალავერდაშვილი** მოძებნა. ამ უკანასკნელმა კი ერთი შეხებით შეარხია ბადე - 1:0. ტაიმის დასასრულს საჯარიმო დარტყმით "სიონის" კარი თავად ყენიამ აიღო და ბურთი ცხრიანში ჩასვა - 2:0.

"სიონს" დასაწყისში შეეძლო ანგარიშის გახსნა, **კობაურმა** ორიოდე მეტრიდან თაური დაარტყა, მაგრამ **გვარამაძემ** საოცარი რეაქცია გამოავლინა და "ლოკომოტივი" იხსნა. ბოლნისელები მეორე ტაიმში გამოცოცხლდნენ. **უგრეხელიძემ** ანგარიში შეამცირა კიდეც, მაგრამ ეს იყო და ეს. უფრო მეტი ხიფათი ისევ სტუმრების კართან შეიქმნა. ალავერდაშვილს და **გოჩაშვილს** თავისიანთა კიდევ უფრო დანინაურება შეეძლოთ, მაგრამ პირველ შემთხვევაში "სიონი" ძელმა იხსნა, მეორედ კი თავდამსხმელს სიზუსტე დააკლდა.

აღსანიშნავია 77-ე წუთზე **სამხარაძის** განხორციელებული რეიდიც, რომელიც რამდენიმე მოწინააღმდეგეს გაცდა, მაგრამ ბოლოს არაზუსტად დაარტყა. იღბლიანი აღმოჩნდა მოედანზე შესული **კირკიტაძე**, რომელიც **ფოფხაძემ** ბოლო წუთზე მეკარესთან პირისპირ დატოვა და თამაშში პირველივე ჩართვა ლოკომოტიველმა გადამწყვეტი გოლით დაასრულა - 3:1.

მოგებით "ლოკომოტივმა" უმაღლესი ლიგაში ადგილი შეინარჩუნა და გადათამაშების საფრთხე თავიდან აიცილა.

მერაბ მამულაშვილი

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

200

ინტერვიუ ზურაბ იონანიძესთან

ორასზე გაცილებით მეტი უნდა გავიტანო

ზურაბ იონანიძე იმ თავდამსხმელთა ელიტაში მოხვდა, რომლებსაც საქართველოს ჩემპიონატში 200 ბურთი გაუტანიათ. გუშინ "ზესტაფონის" 35 წლის ფორვარდმა თელავის "კახეთთან" დუბლი შეასრულა და "ორასიანთა" კლუბში გაწევრიანდა.

ზურას მიღწევა მივულოცეთ და მცირე ინტერვიუ ჩამოვართვით.

- ზურაბ, გილოცავთ მეორასე გოლის გატანას. თუ იცი, თასის მატჩებიანად, სულ რამდენი ბურთი გაგიტანია?

- სამწუხაროდ, ამის აღრიცხვა თავად ვერ შევძელი. საქართველოში კი სტატისტიკური სამსახურები ისეთ დონეზე არაა, ყველაფერი მისხალ-მისხალ რომ აღრიცხა.

- ბავშვობაში ოცნებობდი ყველაზე მეტი გოლის ავტორობაზე?

- რომ გითხრათ, ზუსტად ეს იყო ჩემი მიზანი-მეთქი, მოვიტყუები. თუმცა თავდამსხმელს გოლები მოეთხოვება და მეც სულ იმაზე ვფიქრობდი, ვყოფილიყავი ჩემპიონატის ბომბარდირი. მერე და მერე 200-იანთა კლუბში მოხვედრა რეალური გახდა და მიხარია, დღეს ასე რომაა.

- კარიერას როდის ამთავრებ?

- ჯერ არ ვაპირებ. ვთამაშობ და იქნებ, 200-ზე გაცილებით მეტი გავიტანო. ჯანზე ვარ, გოლების გატანის სურვილიც შემრჩა და უნარიც. რატომ დავანებო თავი?

- ამ გოლებიდან რომელი იყო შენთვის ყველაზე დასამახსოვრებელი?

- საკმაოდ ბევრი. ცალკე ვერც ერთს ვერ გამოვარჩევ. სხვათა შორის, ბევრჯერ გამიტანია გადამწყვეტი ბურთები. თუმცა ყველაზე მეტად ის გამიხარდება, თუკი 26 მაისს თასის ფინალში "ამერთან" გამოვიჩენ თავს. ამ დღისთვის განსაკუთრებულად ვემზადები.

- ფინალში შანსებს როგორ შეაფასებდი?

- თანაბრად. "ამერი" კარგი გუნდია და დაამტკიცა კიდეც. მასთან არხეინად ვერავინ ითამაშებს. ჩვენ კი არა "ჰერტა" გაამწარა. ასე რომ, სერიოზული ფინალი გველის.

- კარიერის ბოლომდე კიდევ რამდენი გოლის იმედი გაქვს?

- რაც შეიძლება მეტის. მთავარია, ჯანმრთელობამ ხელი შემიწყოს. "ზესტაფონთან" კიდევ წელიწადნახევრიანი კონტრაქტი მაკავშირებს და თუ ქვეყანა არ დაიქცა, ვითამაშებ.

- საქართველოს ჩემპიონატში ვინ მიგაჩნია ყველაზე პერსპექტიულ თავდამსხმელად?

- რამდენიმეს დავასახელებ - იაშვილს, ფიფიას, წინამძღვრიშვილს, გელაშვილს. ყოველთვის მომწონდა დავითაშვილი. მას უკვე პერსპექტიულებში ვერ დავასახელებ, მაგრამ გული მწყდება, რომ ასაკში შევიდა. გულიანი ბიჭი და კარგი თავდამსხმელია.

მერაბ მამულაშვილი

ბათუმი-ბორჯომი 1:0

16.05. ბათუმი. აღელი
150 მაყურებელი

1:0 ბეჟანიძე (1. შალამბერიძის პასით)

ბათუმი: სომხიშვილი, კუნჭულია, ლობჟანიძე, თედორაძე (88. ბაჯელიძე), ხოხონიშვილი, შალამბერიძე, ცანავა (46, გალოგრე), ნერგაძე, ბეჟანიძე, დარჩიძე, კვარაცხელია (65. ფარტენაძე).

სათადარიგოები: ბექთაშვილი, ბაციკაძე, კერესელიძე, მაკარიანი.

ბორჯომი: შეყრილაძე, ქარქუზაშვილი, ნადირაშვილი, მერებაშვილი, ღონღაძე, ჯიქია, გრიგალაშვილი, კოშკაძე, თედიაშვილი, კაიდარაშვილი, კაკალაძე.

სათადარიგოები: სუხიაშვილი, საყვარელიძე, კვერნაძე, გოგიჩაიშვილი.

გაფრთხილება: ხოხონიშვილი (39), გრიგალაშვილი (51), ღონღაძე (59), შალამბერიძე (78), ლობჟანიძე (79).

გაძევება: ხოხონიშვილი (89).

არბიტრი: ლ. ფანიაშვილი

დაძაბული მატჩი მომენტების გარეშე

გურამ ტურაშვილის ფოტო

ლერი ხოხონიშვილი

მატჩი საკმაოდ დაძაბული, მაგრამ სახიფათო მომენტებით დახუნძლული ნამდვილად არ ყოფილა. მშრალი სტატისტიკით თუ ვიმსჯელებთ, მთელი შეხვედრის განმავლობაში მხოლოდ ოთხი დასამახსოვრებელი მომენტი ვიხილეთ. აქედან პირველი პირველივე წუთზე შეიქმნა, რასაც სტუმართა კარში გოლი მოჰყვა. მარჯვენა ფლანგზე ჩვეულად გაილაღა **შალამბერიძემ** და კარის გასწვრივ გამჭოლი გადაცემა გაკეთა, რომელიც მცველებმა გაატარეს. ამ დროს **ბეჟანიძემ** იყოჩაღა, ბურთს მიუსწრო და მეკარეს აუღებელი დაურტყა. გოლის მერე სტუმრებმა ტემპს უმატეს, მაგრამ რეალურ ხიფათამდე საქმე ვერა და ვერ მიიყვანეს, ვინაიდან მასპინძელთა დაცვა უშეცდომოდ მოქმედებდა. მეორე მომენტამდე 40 წუთი მოგვიხდა ლოდინი - **ბეგლარ თედორაძის** შეცდომა "ბათუმს" კინაღამ გოლად დაუჯდა. ბათუმელმა მცველმა ბურთის საჯარიმოში ტარება მოინდომა, ამ დროს მას **კოშკაძე** წამოეწია, ბურთი აართვა და **კაკალაძეს** გადააწოდა. სტუმართა ფორვარდი დასარტყამ პოზიციაზე იმყოფებოდა, ძლიერადაც დაარტყა, მაგრამ ზღვისპირელები ხარიხამ იხსნა. ორიოდ წუთში უკვე **კვარაცხელიას** შეეძლო ანგარიშის გაზრდა, მაგრამ შალამბერიძის ჩაწოდების შემდეგ შესრულებული თავური დარტყმა ოდნავ არაზუსტი აღმოჩნდა.

მატჩის მეორე ნახევარში ერთადერთი მომენტი ვიხილეთ, მაგრამ ისეთი, რომ... **ხოხონიშვილმა** ბურთი **დარჩიძისგან** მიიღო, ფინტებით ერთბაშად ოთხ ბორჯომელს გასცდა, საჯარიმოშიც შეიჭრა, მაგრამ მისი დარტყმული ოდნავ ასცდა მიზანს. ამის შემდეგ სტუმრებმა ერთგვარი შტურმი მოაწყვეს, მაგრამ უშედეგოდ. მართალია, მატჩის ბოლო წუთზე მაინც მოახერხა "ბორჯომმა" გატანა, მაგრამ გვერდითმა მსაჯმა თამაშგარე დაფიქსირა.

ირაკლი დარცმელიძე
ბათუმიდან

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ოლიმპი	25	18	6	1	53-7	60
2. დინამო	25	19	2	4	53-17	59
3. ამერი	25	16	6	3	50-14	54
4. ზესტაფონი	25	15	9	1	53-10	54
5. ვიტ ჯორჯია	25	12	9	4	40-25	45
6. სიონი	25	11	4	10	28-23	37
7. ტორპედო	25	9	4	12	22-31	31
8. ბათუმი	25	8	6	11	25-26	30
9. ბორჯომი	25	8	6	11	28-33	30
10. ლოკომოტივი	25	7	6	12	20-33	27
11. მერანი	25	5	8	12	17-41	23
12. ჩიხურა	25	5	6	14	13-41	21
13. დილა	25	2	6	17	16-56	12
14. კახეთი	25	0	2	23	20-81	2

ზესტაფონი-კახეთი 7:0

16.05. ზესტაფონი. ცენტრალური
4 000 მაყურებელი

1:0 ონიანი (19. იონანიძის პასით), 2:0 იონანიძე (59. ჭელიძის პასით), 3:0 ჭელიძე (60. კესანის პასით), 4:0 იონანიძე (68), 5:0 ჭელიძე (79), 6:0 ჭელიძე (87. ლეანდროს პასით), 7:0 ჭელიძე (89. ნოზაძის პასით)

ზესტაფონი: ჭანტურია, საჯაია, თოდუა, ღონღაძე, კ. ჩხეტიანი (68. ნოზაძე), ონიანი, კესანი, ტორესი, ჭელიძე, ფიფია (61. გ. ჩხეტიანი), იონანიძე (69. ლეანდრო)

სათადარიგოები: კვასხვაძე, ძარია, ბუკია, ოლივეირა

კახეთი: იაშვილი, ხიდაშელი, მურველაშვილი, იოსებაშვილი, ბიბილაშვილი, კუპრაშვილი, ჩუთლაშვილი (63. აბდულაევი), ხიდეშელი (75. ბურნაძე), ბიძინაშვილი (63. მელიქიშვილი), მედოევი, ტეტიაშვილი

გაფრთხილება: კუპრაშვილი (56)

არბიტრი: ვ. ელისაბედაშვილი (თბილისი)

ახლა ის პერიოდია, იმერეთში მოსახლეობა ველად რომ არის გასული. მიუხედავად ამისა, ზესტაფონელებს იმდენად უყვართ ფეხბურთი, რომ ლიგიდან გავარდნილ "კახეთთან" მატჩში 4 000 ერთგულმა ფანმა მაინც მოიყარა სტადიონზე თავი. მასპინძელთა უცილობელ გამარჯვებაში ძნელად თუ ეპარებოდა ვინმეს ეჭვი და ეს მართლაც ასე მოხდა, თუმცა შეხვედრას სხვა საინტრიგო დატვირთვა ჰქონდა. ქართული ფეხბურთის ერთ-ერთ ვეტერანსა და იმერელთა გუნდის მეგოლე **ზურაბ იონანიძეს** ეროვნულ ჩემპიონატებში 198 გოლი ჰქონდა გატანილი და ორი ბურთიღა აკლდა საიუბილეო მეორასემდე. სწორედ ამის ნახვის იმედად შეიკრიბა პუბლიკა და მოუთმენლად ელოდა ისტორიული ფაქტის დაფიქსირებას.

პირველი ტაიმი ისე წარიმართა, ყოველივე ნაკლებად სავარაუდო ჩანდა. მასპინძლებმა თავიდანვე შეუტიეს სტუმრებს და ზედიზედ შექმნეს საგოლე მომენტები. ჯერ იონანიძემ შემდეგ კი სამჯერ **ფიფიამ**, თუმცა ვერც ერთმა ვერ დალაშქრა მეტოქის კარი. მომწიფებული გოლი მხოლოდ მე-20 წუთზე გავიდა. იონანიძემ საჯარიმოში სწრაფად გაითამაშა ბურთი **ონიანთან** და ამ უკანასკნელმაც დაბალ კუთხეში გაიტანა. ამის შემდეგ სტუმრები სერიოზულად უძალიანდებოდნენ იმერლებს.

აი მეორე ტაიმში კი სერიოზულად დაისეტყვა კახელთა კარი. 59-ე წუთზე **ჭელიძემ** ფლაგიდან ჩაანოდა, იონანიძემ თავით მარცხენა კუთხეში ლამაზი გოლი გაიტანა და რეკორდს მაქსიმალურად მიუახლოვდა. წუთის შემდეგ საყრდენმა ნახევარმცველმა **კესანიმ** ზუსტი გადაცემა გაუკეთა ჭელიძეს და 3:0. 68-ე წუთზე ყველანი ისტორიული ფაქტის მომსწრენი გავხდით, ზედ საჯარიმოს ხაზთან დაინიშნა ჯარიმა, რომელიც იონანიძემ ზუსტად შეასრულა და საიუბილეო, მე-200 გოლი გაიტანა. მწვრთნელმა ის მაშინვე შეცვალა და ფეხზე წამომდგარმა მაყურებელმაც აპლოდისმენტებით გააცილა. ზესტაფონმა კახელების რბევა ამის შემდეგაც არ შეწყვიტა და 79-ე წუთზე ჭელიძეს თავური გააქვს. დაუდგრომელმა ნახევარმცველმა 87-ე წუთზე **ლეანდროს** პასით საჰეთთრიკო გოლი მოაყოლა, თუმცა ამასაც არ დასჯერდა და ბოლოსწინა წუთზე მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა და პოკერის ავტორიც შეიქმნა. ასე ამაღლებულ ნოტაზე გამოეთხოვა ზემო იმერეთი წლევანდელ ეროვნულ ჩემპიონატს, იმ იმედით, რომ ყველაფრის გვირგვინი თასზე წარმატებული თამაში იქნება.

მერაბ გრძელიძე
ზესტაფონიდან

ლეგიონერი

ბერძნული ზარი: ცრუ თუ ნამდვილი?

ალექსანდრე იაშვილს "ფრაიბურგთან" კონტრაქტი სეზონის დასრულების შემდეგ უმთავრდება და სხვა გუნდში აპირებს გადასვლას. გუშინ კი ბერძნული "სპორტაიმის" ჟურნალისტმა **ლარი სუსკასმა** გვაცნობა, იაშვილს "პანიონიოსი" ეპატიჟებაო.

იაშვილს გუშინვე შევეხმიანეთ ფრაიბურგში და გვითხრა ,"პანიონიოსიდან" ჯერჯერობით შემოთავაზება არ ყოფილა, თუმცა ერთ-ერთმა ბერძენმა ჟურნალისტმა ამის შესახებ უკვე დამირეკაო.

"პანიონიოსში" წლევანდელ სეზონში **ლევან ცქიტიშვილი** თამაშობს, იაშვილს არც მისგან სმენია გუნდის ინტერესის შესახებ.

მეორე ბუნდესლიგის დასრულებას ერთი ტური უკლია, "ფრაიბურგი" მეოთხე ადგილზეა და არცთუ ურიგო შანსი აქვს, სამეულში მოხვდეს და ბუნდესლიგაში დაბრუნდეს. იაშვილმა ისიც გვითხრა, ბუნდესლიგიდან მაქვს შემოთავაზება, თუმცა სანამ სეზონი არ ჩამთავრდება, გადაწყვეტილებას არ მივიღებო.

დავით თავართქილაძე

გაზეთი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

წასაღები იოლად წაიღეს

ჩიხურა-დინამო
0:5
16.05. გორი. ქართული
50 მაყურებელი

0:1 ფეიქრიშვილი (12), 0:2 იაშვილი (24. შ. კაშიას პასით), 0:3 მერებაშვილი (53. ფეიქრიშვილის პასით), 0:4 გ. კაშია (67. მერებაშვილის პასით), 0:5 ხუციშვილი (68. სპასოევიჩის პასით)

ჩიხურა: მწყერაშვილი, როგავა, ხვედელიძე, ი. გვეტაძე, ქუხილავა, მეტონიძე, ვ. გვეტაძე, ბუცხრიკიძე, გულიაშვილი (74. ივანიშვილი), ვაშაკიძე, მ. მიქაძე

დინამო: გრიშიკაშვილი, შ. კაშია, გ. კაშია, კრშკო (72. ხმალაძე), შაშიაშვილი, დიღმელაშვილი, ნოზაძე, ფეიქრიშვილი (64. ოდიკაძე), ხუციშვილი, მერებაშვილი, იაშვილი (66. სპასოევიჩი)

სათადარიგოებში: ლორია, თომაშვილი, გუგავა, ჯანაშია

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი

მოგებისთვის ნეწვია გორს "დინამო" და დიდი ანგარიშითაც გაიმარჯვა "ჩიხურასთან". სხვა საკითხია რამდენად ვადამწყვეტ როლს ითამაშებს მოპოვებული სამი ქულა თბილისელთა საჩემპიონო ბრძოლაში.

"ჩიხურა" განწირული გავიდა მოედანზე. საჩხერელებმა „დინამოდან" მათ გუნდში გადმოყვანილი ფეხბურთელები ვერ გამოყვანეს საასპარეზოდ და ფაქტობრივად დუბლშემადგენლობით დახვდნენ სტუმრებს.

აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ შეხვედრის ორივე ტაიმმა „მასპინძელთა" ნახევარზე ბურთაობაში ჩაიარა.

სტუმრებმა თავიდანვე დიდი მონდომებით იწყეს მეტოქის განადგურება. პირველად მე-7 წუთზე შეეძლოთ გატანა, როცა მარცხენა ფრთიდან **შოთა კაშიას** ჩაწოდებისას მეკარისაგან ორიოდ მეტრში ჩავლილ ბურთს **მიხეილ ხუციშვილი** ვეღარ მისწვდა. მატჩის დებიუტს უგოლოდ მაინც არ ჩაუვლია ხუთ წუთში **დიღმელაშვილის** წამოწყებული კომბინაცია **ფეიქრიშვილმა** განაგრძო, მეკარესთან პირისპირ გავიდა და მწყერაშვილს შანსი აღარ დაუტოვა 0:1.

ყველაზე დიდ ხიფათს "ჩიხურა" **სანდრო იაშვილისაგან** ელოდა, ამიტომაც თბილისელთა გოლეადორს გამუდმებით ორი ფეხბურთელი დაჰყვებოდა თან. სანდრომ მართალია, ერთზე მეტი ბურთის გატანა ვერ მოახერხა, მაგრამ იმ პერიოდი, რაც მინდორზე დაყო, მოსვენება არ მიუცია მოწინააღმდეგეებისათვის. გოლი იაშვილმა 24-ე წუთზე შოთა კაშიას გრძელი პასით შეაგდო - 0:2. საერთოდ ეს უკანასკნელი ნაყოფიერად გაისარჯა. მარჯვენა ფლანგი 90 წუთის განმავლობაში ამ ფეხბურთელის სრულ კონტროლქვეშ იმყოფებოდა. მისმა გამოზომილმა პასებმა კი ზემოთ ხსენებული გოლის გარდა, მრავალი სახიფათო მომენტი მოიტანა. არანაკლები ზეწოლის ქვეშ ჰყავდა მეტოქე მის თანაგუნდელს **გიორგი მერებაშვილს,** რომელიც მარცხნიდან უქმნიდა პრობლემებს მეტოქეს. 33-ე წუთზე კაშიამ თავადაც სცადა მწყერაშვილის კარის აღება. მისი უძლიერესი დარტყმული იმერელთა გოლკიპერს ხელიდან გაუვარდა, დასწრებაზე თამაშისას ბურთთან პირველად იაშვილი გაჩნდა, მაგრამ მომენტი უზუსტო დარტყმის გამო გოლად ვერ აქცია.

მეორე 45 წუთში საჩხერელებს გვარიანად შეეტყოთ ბრძოლისათვის საჭირო ენერგიის ნაკლებობა და „დინამოს" შეჩერება გადაუჭრელ პრობლემად იქცა. თბილისელებს ყველაფერი გამოსდიოდათ და რომ არა უამრავი გამოუყენებელი მომენტები, ანგარიში უფრო დიდიც შეიძლებოდა ყოფილიყო. 53-ე წუთზე ამ მატჩის კიდევ ერთი გამორჩეული მოთამაშის, დავით დიღმელაშვილის პასი მიიღო ფეიქრიშვილმა და თავის მხრივ მერებაშვილი გაიყვანა დასარტყმელ პოზიციაზე - 0:3.

სამ წუთში საჩხერელებმა ამ შეხვედრაში ერთადერთი საგოლე მომენტი შექმნეს, რომელიც მატჩში „დინამოს" დაცვის ხაზის ერთადერთ ჩავარდნას მოჰყვა: **ქუხილავას** გამჭოლი გადაცემისას სტუმართა მცველებმა უყურადღებოდ დატოვეს **ვაშაკიძე,** რომელსაც ოდნავ უკეთ რომ დაერტყა ანგარიშში სხვაობას შეამცირებდა.

ტაიმის შუაში **უჭრინმა** იაშვილის ნაცვლად **სპასოევიჩი** შეუშვა მოედანზე, რომელიც საოცარი ჟინით ჩაერთო თამაშში და ერთ წუთში მის აქტიურობას კუთხური მოჰყვა. იქიდან მერებაშვილის ჩამოწოდებულს **გურამ კაშიას** ზუსტი თავური მოჰყვა - 0:4. კიდევ ერთ წუთში თავად სპასოევიჩი მოგვევლინა საგოლე პასის ავტორად - საჯარიმოში გამოზომილი პასი მიაწოდა ხუციშვილს, რომელმაც თავური დარტყმით საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

ვასილ ბალახაძე
გორიდან

ლეგიონერები

კალაძე: მაინც ჩელსი?

როგორც ჩანს, ინგლისური გრანდი ლონდონის "ჩელსი" მართლა დაინტერესებულია საქართველოს ნაკრების კაპიტნის **კახა კალაძის** შეძენით. ამის შესახებ ინფორმაციას უკვე გაცილებით სერიოზული ბრიტანული გამოცემები ავრცელებენ, ვიდრე ჭორიკანა ვებსაიტი "ტრაიბალ ფუტბოლია". გუშინ "ჩელსის" თავჯდომარე **ბრიუს ბაკმა** დაადასტურა, რომ "ჩელსიში" ცვლილებები აუცილებლად იქნება, თუნდაც იმიტომ, რომ მომავალ ზამთარში კლუბს აფრიკის თასის გამო **დიდიე დროგბა, მიქაელ ესიენი** და **მიკელი** დააკლდებიან. *"ამ სეზონმაც ნათლად დაგვანახა, რომ ჩვენ გვესაჭიროება კიდევ ერთი ცენტრალური მცველი, თავდამსხმელი და ერთი ნახევარმცველი. არ დაგვავიწყდეს, რომ ზამთარში ექვსი კვირით შეიძლება დავკარგოთ ექვსი აფრიკელი ფეხბურთელი, რაც იანვარში კრიზისს გამოიწვევს".* ინგლისური "დეილი მეილი" "ჩელსის" სავარაუდო ახალწვეულთა სახელებსაც გვთავაზობს, კახა კალაძის გარდა ესენი არიან: **სამუელ ეტოო** (ბარსელონა), **დავიდ ვილია** (ვალენსია), **მიკა რიჩარდსი** (სიტი) და **დიმიტარ ბერბატოვი** (ტოტენჰემი). როგორც ხედავთ, "ჩელსი" ცენტრალური მცველის დამატებას ყველა ვარიანტში აპირებს, ჩამოთვლილთაგან კი ამ პოზიციაზე თამაში მხოლოდ კახა კალაძეს შეუძლია.

ნიკოლოზ ნეფარიძე

მაღრაძე კუნძულისკენ

29 წლის **ლევან მაღრაძემ**, ვისაც **ალენ ჟირესის** მწვრთნელობისას ეროვნულ ნაკრებში ორჯერ უთამაშია, კლუბი გამოიცვალა.

მარჯვენაფლანგელი მაღრაძე სამი წელი ბერძნულ "ქსანთიში" თამაშობდა. წლევანდელ სეზონში "ქსანთი" საბერძნეთის ჩემპიონატში მეათე ადგილზე გავიდა, ჩვენებური კი იქიდან წამოვიდა.

გუშინ მაღრაძემ კვიპროსულ "აპოლონთან" გააფორმა კონტრაქტი. ეს ლიმასოლური გუნდი საშუალო გაქანებისაა, წლეულს კვიპროსის ჩემპიონატში მეექვსე იყო.

დავით თავართქილაძე

ვერცხლი იუბილეზე

მოლდოვის ჩემპიონატის 33-ე ტურში იშვიათი რამ მოხდა, ყველა სტუმარმა მოიგო. კიშინოვის "ზიმბრუმ" კლუბის დაარსების 60 წლისთავზე თანაქალაქელი "პოლიტეხნიკა" 2:0 დაამარცხა და გაინაღდა ვერცხლის მედლები. "ზიმბრუს" შემადგენლობაში 56-ე წუთამდე ითამაშა **მამუკა ლომიძემ**, შემდეგ ის **ბერძინსკიმ** შეცვალა. **ვაჟა თარხნიშვილის** "შერიფი" "ისკრას" ეწვია და მინიმალური ანგარიშით მოუგო - 1:0. ქართველმა კაპიტანმა შეუცვლელად ითამაშა. **ლადო ახალაიას** "დაჩიამ" 2:1 დაამარცხა "ნისტრუ", თუმცა ქართველ ფორვარდს კვლავ არ უთამაშია.

კაუნასი პირველია

ლიტვაში ჩემპიონ "კაუნასს" 11 ტური დასჭირდა პირველ ადგილზე გადასასვლელად, თუმცა დაკარგული ქულებით პირველ ადგილზე ჯერაც "ვილნიუსია". ზედიზედ მესამე ტურია "კაუნასი" დიდი ანგარიშით იგებს, საერთო ჯამში ჩემპიონმა მეტოქეებს 16 გოლი გაუტანა და არც ერთი არ გაუშვა. გუშინ "კაუნასმა" 4:0 "შიაულიაი" დაამარცხა. **გივი კვარაცხელიამ** და **ნუკრი მანჩხავამ** სასტარტო შემადგენლობაში ითამაშეს, კვარაცხელია პირველ ტაიმში გააფრთხილეს, 56-ე წუთზე კი შეცვალეს. "კაუნასს" 11 მატჩიდან 25 ქულა აქვს, "ვილნიუსს" 10-დან - 24.

სიურპრიზი ლიდერს

ბელარუსში მეხუთე ტურში ბრესტის "დინამომ" სიურპრიზი შესთავაზა ჩემპიონ "ბატეს" და შინ 2:1 მოუგო. **რომან გოგინაშვილმა** "დინამოს" შემადგენლობაში 56-ე წუთამდე ითამაშა და "პრესბოლისგან" 5 ბალი მიიღო. გოგინაშვილმა თავიდან იაქტიურა, თუმც შემდეგ, ბელარუსული მედიის ცნობით, დაიღალა და ამიტომ შეცვალეს. დებიუტანტი "სმორგონი" ჟოდინოს "ტორპედოს" ესტუმრა და 0:1 დამარცხდა. **სულიკო კაკაბაძე** 65-ე წუთზე შეცვლაზე შევიდა, ქართველი მატჩის მიწურულს გააფრთხილეს. "პრესბოლმა" კაკაბაძის გარეჯა 4 ბალით შეაფასა. მოგილევის "დნეპრი" ესტუმრა "გომელს" და 0:4 დამარცხდა, **ალექსანდრე შუბლაძემ** სრულად ითამაშა და 4,5 ბალი დაიმსახურა. ბრესტის "დინამო" 8 ქულით მეექვსე ადგილზეა, "სმორგონი" და "დნეპრი" 5-5 ქულით მეცხრე-მეათე ადგილებს იყოფენ.

შინ მოიგეს

ყაზახეთში მორიგი ტურის მატჩები გაიმართა. **გიორგი გოგიაშვილის** "კაისარი" "ასტანას" ესტუმრა და 0:1 დამარცხდა. გიორგი მეორე ტაიმში, 53-ე წუთზე შევიდა მოედანზე. "ვოსტოკმა" 1:0 მოუგო "ირტიშს". **ზვიად ჯელაძემ** შეუცვლელად ითამაშა მასპინძელთა რიგებში, ხოლო **გიგა ჟვანია** 79-ე წუთზე შევიდა მოედანზე. "ეკიბასტუზეცმა" 2:0 დაამარცხა "ოკუტპესი", **ზურაბ არჩვაძე** 62-ე წუთზე შეცვალეს. ყარაღანდის "შახტიორმა" 3:1 დაამარცხა "ჟეტისუ". **ლევან მელქაძემ** შეუცვლელად ითამაშა და მატჩის მიწურულს ყვითელი ბარათი მიიღო, **გიორგი გაბიდაური** "შახტიორის" სათადარიგოთა სკამზე იჯდა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ბოლოსწინა ნაბიჯი გადარჩენისთვის

მერანი-ბორპედო
2:0
16.05. თბილისი. შევარდენი
100 მაყურებელი

1:0 დეისაძე (5. ზედელაშვილის პასით), 2:0 გაგუა (90. ქორიძის პასით).

მერანი: სეფიაშვილი –კეტაშვილი, ჯანგიძე, აფშილავა (24. ოსიტაშვილი), ბურჯანაძე (75. დათუნაშვილი) – ბესარაშვილი, ზედელაშვილი, გაგუა, ნეფარიძე – დეისაძე (55. ცისკარიშვილი), ქორიძე.

სათადარიგოებში: ლ. ლომიძე, ჩაჩიბაია, ჩივაძე.

ტორპედო: ოდიშარია (46. ქვილითაია) – ხარებავა, ტაბიძე, ხურცილავა, რ. კაშია (55. ვაჩიბერაძე) – ა. კვერნაძე, ზივზივაძე, კირკიტაძე, კიკვიძე (42. ნაჭყებია), ნადირაძე – მდივნიშვილი.

არბიტრი: დ. სანაია

ქუთაისის "ტორპედომ" უმაღლეს ლიგაში დარჩენა "კახეთთან" შინ მოპოვებული მოგებით უკვე დაიბევა. რიონისპირელებს გადათამაშებაში მოხვედრის საფრთხეც აღარ ემუქრებათ. სტუმართაგან განსხვავებით, მასპინძლები ნამდვილად მოტივირებულნი იყვნენ – "მერანს" ბოლო ორ ტურში ქულათა მაქსიმუმი სჭირდება ფლეი ოფს რომ ასცდეს. ამ ამოცანის ნახევარი **ასლან ბალაძის** შეგირდებმა გუშინ უკვე შეასრულეს. თბილისელებმა სწრაფი გოლი გაიტანეს - მე-5 წუთზე **ზედელაშვილმა** ორი მეტოქე ჩამოიშორა, საჯარიმოში **დეისაძე** მოძებნა და ამ უკანასკნელმაც ანგარიში გახსნა. ორიოდე წუთში სტუმარი **მდივნიშვილი** პირისპირ დარჩა თბილისელთა მეკარესთან, მაგრამ გოლკიპერს ვერ აჯობა. მე-10 წუთზე კი **ქორიძის** შორეული დარტყმა მიზანს ასცდა და პირველ ნახევარში მეტი საინტერესო არც არაფერი მომხდარა. თამაში ძირითადად მოედნის ცენტრში მიმდინარეობდა. შეტევათა მცდელობა ორივე მხრიდან იყო, მაგრამ საჯარიმოს მისადგომებთან წყდებოდა.

მეორე ნახევარი უფრო საინტერესო გამოდგა. მასპინძელთა იერიშების სულისჩამდგმელი **ვალერი გაგუა** გახლდათ. ის გამოზომილი პასებით ამარაგებდა თანაგუნდელებს, მაგრამ ანგარიში მატჩის ბოლომდე აღარ გაზრდილა. თავის მხრივ, სტუმართა მხრიდან **ნადირაძე** აქტიურობდა, მაგრამ მას ოლიმპიური ჩემპიონის ვაჟი **გიორგი კეტაშვილი** (რომელიც მამის. დარად მარჯვენა მცველია) საიმედოდ მეურვეობდა. 90-ე წუთზე **ქორიძემ** გაგუა კარგად მონახა და ვალერიმაც ზუსტი დარტყმით საბოლოო ანგარიში დააფიქსირა - 2:0.

დავით ცაბაძე

ნიკა ნადირაძე (7) მორიგი შეტევისას

პრემიერ ლიგა. XXXII ტური

ზესპაფონი 2-შეშაძრე	5:2
გაგრა-სპარტაკი	3:1
დინამო 2-მაღარეული	0:1
ჩიხურა 2-მგლები	1:3
მესხეთი-ოლიმპი	6:0
ამერი 2-ვიპ ჯორჯია 2	0:0
რაჭა-გურია	1:1
მერცხალი-სამგრელია	0:4
ნ. დინამო-მეშახტე	0:2

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. მგლები	32	23	4	5	55-22	73
2. მესხეთი	32	21	6	5	65-17	69
3. გაგრა	32	16	6	10	50-35	54
4. მაღარეული	32	14	9	8	45-31	54
5. ვიპ ჯორჯ. 2	32	15	7	10	52-28	52
6. მეშაძრე	32	14	10	8	40-31	52
7. ამერი 2	32	13	12	7	51-34	51
8. ოლიმპი	32	13	8	11	49-40	47
9. სამგრელია	32	13	8	11	35-39	47
10. ნ. დინამო	32	14	4	14	46-48	46
11. მეშახტე	32	13	6	13	47-38	46
12. ზესპაფონი 2	32	10	10	12	33-36	40
13. დინამო 2	32	9	10	13	49-37	37
14. რაჭა	32	8	12	12	32-43	36
15. ჩიხურა 2	32	8	5	19	26-59	29
16. გურია	32	7	7	18	33-71	28
17. სპარტაკი	32	7	6	19	19-47	27
18. მერცხალი	32	2	5	25	20-91	11

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლაზგო. ჰემპდენ პარკი. 16 მაისი

ესპანიოლი–სევილია 1:1, დ.დ. 2:2, პენ. 1:3

ესპანიოლი: ირაისოსი, საბალეტა, ხარკე, ტორეხონი, დავიდ გარსია, რუფეტე (56. პანდიანი), დე ლა პენია (87. ჟონატასი), მოისეს ურტადო, რიერა, ტამუდო (73. ლაკრუსი), ლუის გარსია.

სევილია: პალოპი, ალვეში, ნავარო, დრაგუტინოვიჩი, პუერტა, პოულსენი, ხოსე მარტი, მარესკა (46. ნავასი), ადრიანო კორეია (76. რენატო), ლუიშ ფაბიანო (64. კერუაკოვი), კანუტე.

გოლები: 0:1 ადრიანო კორეია (18), 1:1 რიერა (28), 1:2 კანუტე (105), 2:2 ჟონატასი (115)

გაძევება: მოისეს ურტადო (68. ესპანიოლი)

მაყურებელი: 53 247

არბიტრი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

სტატისტიკა (ძირ/დ)

13 (8)	დარტყმა	20 (6)
17	ჯარიმა	9
8	კუთხური	10
2	გაფრთხილება	2
0	თამაშგარე	3
47%	ბურთის ფლობა	53%

პენალტები

0:1	კანუტე
0:1 (მეკარე)	ლუის გარსია
0:2	დრაგუტინოვიჩი
1:2	პანდიანი
1:2 (ბაცილა)	ალვეში
1:2 (მეკარე)	ჟონატასი
1:3	პეურტა
1:3 (მეკარე)	ტორეხონი

„სევილიამ“ უეფას თასი ზედიზედ მეორედ მოიგო. ეს ისტორიული შედეგია. აქამდე ანალოგიური წარმატებისთვის მხოლოდ მადრიდის „რეალს“ მიუღწევია. სამეფო კლუბმა პრესტიჟული ჯილდო 1985 და 1986 წლებში დაისაკუთრა. ანდალუსიელები ფანტასტიკურ გამარჯვებას **ანდრეს პალოპს** უნდა უმადლოდნენ. ვეტერანმა გოლკიპერმა თამაშის მსვლელობისას რამდენიმე ურთულესი დარტყმა მოიგერია. რაც მთავარია, ის პენალტების სერიის ბატონ-პატრონად მოგვევლინა. ხუმრობა ხომ არ არის, „ესპანიოლის“ ფეხბურთელებს მან სამი პენალტი აუღო. სამხრეთელებმა მორიგი ტიტულით დიდად გაიხარეს. შარშან სევილიაში დაუვიწყარი ფიესტა მოეწყო. ნაკლები წელსაც არ იქნება. გმირებს ქუჩაში გამოფენილი ხალხი ელოდება. ბუნებრივია, კატალონიური კლუბის ფეხბურთელებსა და გულშემატკივრებს აბსოლუტურად განსხვავებული განწყობა დაეუფლათ...თუმცა ამის შესახებ ოდნავ მოგვიანებით მოგახსენებთ.

უეფას თასის ფინალი „ესპანიოლისა“ და „სევილიის“ გულშემატკივრებისთვის ყოველმხრივ ძნელად მისაღწევი აღმოჩნდა. იმისთვის, რომ მათ გლაზგოში ჩაეღწიათ, მრავალი დაბრკოლების გადალახვა მოუხდათ. პირველ ყოვლისა, გუნდებს ხანგრძლივი ტურნირი წარმატებით უნდა გაევლოთ და ფინალის საგზური მოეპოვებინათ. მათ ეს შეძლეს და ფანები დიდად გაახარეს. ქომაგებმაც არ დაახანეს და ბილეთები შეიძინეს. ერთი შეხედვით, ყველა პრობლემა გადალახული იყო და ბილეთის მფლობელი ინჩასები „ჰემპდენ პარკზე“ იოლად უნდა მოკალათებულიყვნენ. ხალხმა პატიოსნად თვითმფრინავის ბილეთებიც შეიძინა, მაგრამ „ესპანიოლის“ 300-ზე მეტი მხარდამჭერი მაინც ბარსელონაში დარჩა. 16 მაისს დილით ინჩასები „პრატის“ აეროპორტში ადრიანად მივიდნენ, რათა რეგისტრაცია დროულად გაევლოთ და გლაზგოსკენ აეღოთ გეზი... დაუჯერებელი ამბები სწორედ ამის შემდეგ დაიწყო. ავიაკომპანია „იბერიის“ თანამშრომლებმა აღმოაჩინეს, რომ „ესპანიოლის“ 517 გულშემატკივარს ყალბი ბილეთები ჰქონდა. ბუნებრივია, რომ მაშინ „ესპანიოლის“ ღირსებას გუნდის ამჟამინდელი მთავარი მწვრთნელი **ერნესტო ბალბერდე** იცავდა. კატალონიელებმა ვერც მაშინ ივარგეს და გერმანელებს პრესტიჟული ჯილდო დაუთმეს. „სევილიასთან“ დაპირისპირებამდე სენიორ ბალბერდე ამბობდა, შესაძლებელი რომ იყოს, მთელ ჩემს დანაზოგს გადავიხდიდი იმისთვის, რომ ფინალში ფეხბურთელის რანგში მიმეღო მონაწილეობაო. ძნელი წარმოსადგენია, მისი თამაშით რაიმე შეცვლილიყო. კატალონიელებისთვის, ორმაგად დასანანია, რომ ჯილდოს გარეშე დარჩნენ. ფინალისკენ მიმავალ გზაზე ამ გუნდს ხომ ერთი შეხვედრაც არ წაუგია. პრინციპში, ისინი ბოლო ორთაბრძოლაშიც არ დამარცხებულან. პენალტების სერია ხომ ძირითადი და დამატებითი დროის დასრულების შემდეგ ინიშნება...

ესპანიოლის“ ფანებს ამით არაფერი ეშველებათ. საბრალოებს, უეფას თასის ფინალის სანუკვარი ბილეთი ხელში შერჩათ.

თამაშზე დასწრების საფრთხე „სევილიის“ 350 გულშემატკივარსაც დაემუქრა, თუმცა ანდალუსიელების მოტყუება არავის უცდია. პრობლემები მათ გლაზგოსკენ მიმავალი რეისების გაუგებარი მიზეზით გადადების გამო შეექმნათ. არაოფიციალური ვერსიით, ტურისტულმა კომპანია „ემფთი ლეგმა“ ავიაკომპანიას თანხა დროულად არ გადაურიცხა. გულშემატკივრებს მხსნელად „სევილიის“ პრეზიდენტი მოევლინა. სენიორ **დელ ნიდოს** ბრძანებით კომერციულმა დირექტორმა „სპანაირს“ სახელდახელო კონტრაქტი გაუფორმა და ინჩასებისთვის „ბოინგ 747“ დაიქირავა. ეს გრანდიოზული თვითმფრინავი საშუალებას იძლეოდა, ყველა მგზავრი ერთდროულად გაფრენილიყო. სევილიელებმა დროულად ჩააღწიეს და საკუთარი გუნდის ისტორიული გამარჯვებითაც გაიხარეს.

უბედურმა „ესპანიოლმა“ კი საკლუბო ისტორიის განმავლობაში უეფას თასის მეორე ფინალი წააგო. სხვათა შორის, ორივე პენალტების სერიაში. კატალონიელებმა გადამწყვეტ რაუნდამდე პირველად 1988 წელს გააღწიეს, სადაც ლევერკუზენის „ბაიერს“ დაუპირისპირდნენ. აღსანიშნავია, რომ მაშინ „ესპანიოლის“ ღირსებას გუნდის ამჟამინდელი მთავარი მწვრთნელი **ერნესტო ბალბერდე** იცავდა. კატალონიელებმა ვერც მაშინ ივარგეს და გერმანელებს პრესტიჟული ჯილდო დაუთმეს. „სევილიასთან“ დაპირისპირებამდე სენიორ ბალბერდე ამბობდა, შესაძლებელი რომ იყოს, მთელ ჩემს დანაზოგს გადავიხდიდი იმისთვის, რომ ფინალში ფეხბურთელის რანგში მიმეღო მონაწილეობაო. ძნელი წარმოსადგენია, მისი თამაშით რაიმე შეცვლილიყო. კატალონიელებისთვის, ორმაგად დასანანია, რომ ჯილდოს გარეშე დარჩნენ. ფინალისკენ მიმავალ გზაზე ამ გუნდს ხომ ერთი შეხვედრაც არ წაუგია. პრინციპში, ისინი ბოლო ორთაბრძოლაშიც არ დამარცხებულან. პენალტების სერია ხომ ძირითადი და დამატებითი დროის დასრულების შემდეგ ინიშნება...

უეფას თასი. ფინალი

სევილია რეალს გაუტოლდა

ანდრეს პალოპმა თასი კვლავ ანდალუსიაში წაიღო

ახლა, უშუალოდ მატჩის მსვლელობის შესახებაც მოგახსენებთ. თამაში ურთიერთდაზვერვით დაიწყო. მართალია გუნდები ერთმანეთს კარგად იცნობდნენ, მაგრამ გარისკვას არავინ აპირებდა. მეოთხედმა საათმა ისე განვლო, რომ სახიფათო მომენტი არც ერთ კართან შექმნილა. ისე კი დროთა განმავლობაში, „ესპანიოლის“ ტერიტორიული უპირატესობა იკვეთებოდა. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ანგარიშს ანდალუსიელები გახსნიდნენ. თავად განსაჯეთ, მე-18 წუთზე კატალონიელებმა საკმაოდ მწვავე იერიში მოაწყვეს. ანდრეს პალოპის დროული გამოსვლა რომ არა, არავინ იცის რა მოხდებოდა. მოკლედ, „სევილიის“ კარის დარაჯმა ბურთი დაიჭირა და ერთ წამში ფლანგზე, ფაქტობრივად, მარტოდ მარტო მყოფი **ადრიანო** მონახა. აღფრთოვანებას იმსახურებს პალოპის გრძელი გადაცემა. მისმა ბრაზილიელმა თანაგუნდელმა ბურთი კარგად მიიღო, ნახევარმცველი ჩამოიცილა, დაახლოებით ოცი მეტრი გაირბინა და **გორკას** მოჭრილი დარტყმით შეუგდო.

ანდალუსიელთა სიხარული დიდ ხანს არ გაგრძელებულა. „ესპანიოლმა“ საქმის გადადება არ ისურვა და წონასწორობის აღსადგენად დიდი ძალებით შეუტია. შედეგმაც არ დაახანა. დაახლოებით ათ წუთში **რიერამ** ჩინებული დრიბლინგი შემოგვთავაზა. მის მიერ დარტყმული ბურთი გზად მცველს შეეხო და პალოპმა მცირე რიკოშეტს ვერაფერი მოუხერხა.

მეორე ტაიმში „ესპანიოლს“ სერიოზული პრობლემა შეექმნა. შვეიცარიელმა **მასიმო ბუსაკამ მოისეს ურტადოს** მეორე ყვითელი ბარათი უჩვენა და მოედნიდან გააძევა. ერნესტო ბალბერდეს გუნდი ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნდა, თუმცა კაცნაკლულად დარჩენის მიუხედავად, მათ უკან არაფერზე დაუხევიათ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. საგოლე მომენტები ორივე გუნდს ჰქონდა, მაგრამ საქმე მაინც დამატებით დრომდე მივიდა. ბალბერდემ ტაქტიკური ჩანაფიქრის გამო ძირითად დროში **რაულ ტამუდო** და **ივან დე ლა პენია** შეცვალა. შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ ამ ხალხის მოედანზე ყოფნა აუცილებელი იყო. „ესპანიოლს“ უბრალოდ პენალტების დამრტყმელი კაცი არ დარჩა. პენალტებამდე კი დამატებითი დრო იყო. 104-ე წუთზე „სევილიის“ საუკეთესო მეგოლე **ფრედერიკ კანუტემ** მცველების შეცდომით ისარგებლა და ახლო მანძილიდან შეაგდო. ანდალუსიელთა სიხარული ამჯერადაც არ აღმოჩნდა ხანგრძლივი. ზუსტად ათ წუთში შეცვლაზე შესულმა **ჟონატასმა** შორეული დარტყმით იხეირა. პენალტების სერია გარდაუვალი გახდა...

პენალტებს სუპერგმირი ჰყავდა. როგორც უკვე მოგახსენეთ, ანდრეს პალოპმა სამი 11-მეტრიანი მოიგერია. ეს მისი ფინალი გახლდათ. გუშინდელი საღამო, რა თქმა უნდა, დაჯილდოების ცერემონიალით დასრულდა. „სევილიამ“ წაგებულებს დერეფანი გაუკეთა და კატალონიელები ვერცხლის მედლების მისაღებად ხვევნა-კოცნის შემდეგ გაუშვა. ასეთი კოლეგიალობა და სითბო დიდად დასაფასებელია. პლატინიმ კაპიტან **ხავი ნავაროს** თასი გადასცა და ანდალუსიური კლუბი „რეალს“ გაუტოლა.

ილია ნიკოლაიშვილი

უეფას თასის ჯვლა ფინალი

1957/58	ბარსელონა (ესპანეთი)–ლონდონი (ინგლისი)	2:2, 6:0
1959/60	ბარსელონა (ესპანეთი)–ბირმინგემი (ინგლისი)	1:1, 4:1
1960/61	რომა (იტალია)–ბირმინგემი (ინგლისი)	1:1, 4:1
1961/62	ვალენსია (ესპანეთი)–ბარსელონა (ესპანეთი)	6:2, 1:1
1962/63	ვალენსია (ესპანეთი)–დინამო ზაგრები, იუგოსლავია)	2:0, 2:1
1963/64	სარაგოსა (ესპანეთი)–ვალენსია (ესპანეთი)	2:1
1964/65	ფერენცვაროში (უნგრეთი)–იუვენტუსი (იტალია)	1:0
1965/66	ბარსელონა (ესპანეთი)–სარაგოსა (ესპანეთი)	0:1, 4:2
1966/67	დინამო ზაგრები, იუგოსლავია)–ლიდსი (ინგლისი)	2:0, 0:0
1967/68	ლიდსი (ინგლისი)–ფერენცვაროში (უნგრეთი)	1:0, 0:0
1968/69	ნიუკასლი (ინგლისი)–უიჯეტ დოჯა (უნგრეთი)	3:2, 3:0
1969/70	არსენალი (ინგლისი)–ანდერლეხტი (ბელგია)	1:3, 3:0
1970/71	ლიდსი (ინგლისი)–იუვენტუსი (იტალია)	1:1, 2:2
1971/72	ტოტენჰემი (ინგლისი)–ვულვერჰემპტონი (ინგლისი)	2:1, 1:1
1972/73	ლივერპული (ინგლისი)–პორტუსა (გ, გფრ)	3:0, 0:2
1973/74	ფეიენოორდი (ჰოლანდია)–ტოტენჰემი (ინგლისი)	2:2, 2:0
1974/75	პორტუსა (გ, გფრ)–ტვენტე (ჰოლანდია)	0:0, 5:1
1975/76	ლივერპული (ინგლისი)–ბრიუგე (ბელგია)	3:1, 1:1
1976/77	იუვენტუსი (იტალია)–ბილბაო (ესპანეთი)	1:0, 1:2
1977/78	ეინდჰოვენი (ჰოლანდია)–ბასტია (საფრანგეთი)	0:0, 3:0
1978/79	პორტუსა (გ, გფრ)–ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია)	1:0, 1:1
1979/80	არნტრახტი (ზ, გფრ)–პორტუსა (გ, გფრ)	2:3, 1:0
1980/81	იფსვიჩი (ინგლისი)–აზ 67 (ჰოლანდია)	3:0, 2:4
1981/82	გიოტებორგი (შვედეთი)–ჰამბურგი (გფრ)	1:0, 3:0
1982/83	ანდერლეხტი (ბელგია)–ბენფიკა (პორტუგალია)	1:0, 1:1
1983/84	ტოტენჰემი (ინგლისი)–ანდერლეხტი (ბელგია)	1:1, 1:1 პენ. 4:3
1984/85	რეალი (ესპანეთი)–ვიდეოტონი (უნგრეთი)	3:0, 0:1
1985/86	რეალი (ესპანეთი)–კიოლნი (გფრ)	5:1, 0:2
1986/87	გიოტებორგი (შვედეთი)–დანდი იუნაიტედი (შოტლანდია)	1:0, 1:1
1987/88	ლივერკუზენი (გერმანია)–ესპანიოლი (ესპანეთი)	0:3, 3:0 პენ. 3:2
1988/89	ნაპოლი (იტალია)–შტუტგარტი (გფრ)	2:1, 3:3
1989/90	იუვენტუსი (იტალია)–ფიორენტინა (იტალია)	3:1, 0:0
1990/91	ინტერი (იტალია)–რომა (იტალია)	2:0, 0:1
1991/92	აიაქსი (ჰოლანდია)–ტორინო (იტალია)	2:2, 0:0
1992/93	იუვენტუსი (იტალია)–პორტუსა (დ, გერმანია)	3:1, 3:0
1993/94	ინტერი (იტალია)–კაზინო (ავსტრია)	1:0, 1:0
1994/95	პარმა (იტალია)–იუვენტუსი (იტალია)	1:0, 1:1
1995/96	ბაიერნი (გერმანია)–პორდო (საფრანგეთი)	2:0, 3:1
1996/97	შალკე (გერმანია)–ინტერი (იტალია)	1:0, 0:1 პენ. 4:1
1997/98	ინტერი (იტალია)–ლაციო (იტალია)	3:0
1998/99	პარმა (იტალია)–მარსელი (საფრანგეთი)	3:0
1999/00	გალათასარაი (თურქეთი)–არსენალი (ინგლისი)	0:0 პენ. 4:1
2000/01	ლივერპული (ინგლისი)–ალავესი (ესპანეთი)	5:4
2001/02	ფეიენოორდი (ჰოლანდია)–პორტუსა (დ, გერმანია)	3:2
2002/03	პორტუ (პორტუგალია)–სელტიკი (შოტლანდია)	3:2 დდ
2003/04	ვალენსია (ესპანეთი)–მარსელი (საფრანგეთი)	2:0
2004/05	ცსკა (რუსეთი)–სპორტინგი (პორტუგალია)	3:1
2005/06	სევილია (ესპანეთი)–მიდლსბრო (ინგლისი)	4:0
2006/07	სევილია (ესპანეთი)–ესპანიოლი (ესპანეთი)	1:1, დდ 2:2, პენ. 3:1

ჯამში: 10 - იტალია, ინგლისი; 9 - ესპანეთი; 6 - გერმანია; 4 - ჰოლანდია; 2 - შვედეთი; 1 - ბელგია, უნგრეთი, იუგოსლავია, თურქეთი, პორტუგალია, რუსეთი.

ჩელსი. ტრანსფერები

სამი ვარსკვლავი მოურინიოსთვის

ამასოგაში ჟოზე პოლიციის განყოფილებაში ამოყო თავი...

"დეილი მეილის" ცნობით, "ჩელსი" სამი სუპერვარსკვლავის შეძენას აპირებს. **ჟოზე მოურინიოს** ყველა რგოლის გაძლიერება სურს. ეს სეზონი "არისტოკრატებისათვის" უმძიმესი გამოდგა. არ ყოფილა მომენტი, როცა ლონდონელთა რომელიმე ლიდერი დაშავებული არ ყოფილიყოს. ტრავმების გამო ხანგრძლივ შვებულებაში იმყოფებოდნენ **პეტ ჩეხი, კარლო კუდიჩინი, ეშლი კოული, ჯო კოული, ჯონ ტერი, არიენ რობენი, ჯონ ობი მიკელი, მიხაელ ბალაკი, ანდრეი შევჩენკო** და **დანიელ კარვალიო**. ეპიდემია უკან არ იხევს. ასოციაციის თასის ფინალამდე სამი დღით ადრე მოურინიო ამბობს, რომ მხოლოდ 15 ჯანმრთელი ფეხბურთელი ჰყავს. ამიტომ სარეზერვო თავდამსხმელად, შეიძლება, მეკარე **ენრიკე ილარიო** გამოიყენოს. საზაფხულო ტრანსფერებს გარდაუვლად მიიჩნევს "ჩელსის" თავმჯდომარე **ბრუს ბაკიც**. იანვარ-თებერვალში აფრიკის ერთა თასი გაიმართება. თითქმის ერთი თვის განმავლობაში ლონდონელებს **დიდიე დროგბა, მიკაელ ესიენი** და **ჯონ ობი მიკელი** არ ეყოლებათ.

ზემოთ ყველა რგოლი კი ვახსენეთ. სასურველი მოთამაშეების სიაში კი სამი თავდამსხმელი და ორი მცველია: ბარსელონელი **სამუელ ეტოო**, ვალენსიელი **დავიდ ვილია**, ტოტენჰემელი **დიმიტარ ბერბატოვი**, მილანელი **კახა კალაძე** და მანჩესტერსიტელი **მიკა რიჩარდსი**. ჩვენთვის ყველაზე საინტერესო კალაძის ხსენებაა. თანაც რამდენიმე დღის წინაც გავრცელდა ინფორმაცია, "მილანი" "ჩელსის" კალაძისა და **ალექსის** გაცვლას სთავაზობსო. ბაკი: *"ყველა აცნობიერებს, რა პრობლემები გამოვიარეთ. ალბათ, აუცილებლად დაგვჭირდება ერთი ცენტრალური მცველი და ერთი თავდამსხმელი. აფრიკის თასის გამო იანვარში, შეიძლება, ძალიან გავიჭირდეს. მაგრამ ზედმეტი ფასის გადახდას არ ვაპირებთ. იანვრის ტრანსფერებისას, როცა ტერი დაშავებული იყო, ცენტრალური მცველის შეძენა გვინდოდა, მაგრამ სასურველ ფეხბურთელებში ასტრონომიული თანხები მოითხოვეს. თვით უბრალო მერძევეც კი ერთი ლიტრი რძის სანაცვლოდ სხვაზე ორჯერ მეტს გვთხოვს. ეს უნდა დამთავრდეს."*



თებერვალში, როცა "არისტოკრატებმა" მორიგი ფინანსური ანგარიში გამოაქვეყნეს, მათი საბიუჯეტო დეფიციტი 80 მილიონ გირვანქას შეადგენდა. ეს თითქმის სამჯერ ნაკლებია ერთი წლით ადრე დაფიქსირებულ გარღვევასთან შედარებით, მაგრამ ინგლისური ფეხბურთისათვის მაინც სარეკორდო მაჩვენებელს წარმოადგენს. "ჩელსი" ფინანსების დაბალანსებას 2010 წლამდე აპირებს. მისტერ ბაკის თქმით, რაც უფრო ნაკლები ფული დაიხარჯება ტრანსფერებში, მით უფრო ადვილი იქნება ამ გეგმის შესრულება.

ჩელსის ბოსი დააპატიმრეს

ჟოზე მოურინიო დააპატიმრეს. ის პოლიციელსა და ეპიდემიოლოგიური სამსახურის თანამშრომელს ეჩხუბა. სკანდალის მიზეზია მოურინიოების იორკშირული ტერიერი, რომელსაც კარანტინში წაყვანა დაუპირეს. ჟოზე "ჩელსის" ბაზაზე იმყოფებოდა. კლუბის ხელმძღვანელები ფანების ვერსიით წლის საუკეთესო ფეხბურთელს აჯილდოებდნენ. ამ დროს მწვრთნელის ტელეფონი აწკრიალდა. რეკავდა მისი აღელვებული მეუღლე **ტემი**. ის ქმარს ატყობინებდა, რომ პოლიციას მათი ძაღლი მიჰყავდა. მოურინიო გარეთ გავარდა, ტაქსი გააჩერა და ბელგრავიის კვარტალში გაყვანა სთხოვა. ეს ლონდონის ფეშენებელური რაიონია. მწვრთნელის ოჯახი ორსართულიან სახლს ქირაობს და როგორც ამბობენ, თვეში 19 ათას გირვანქას იხდის. საღამოს 9 საათი იქნებოდა, როცა ჟოზე შინ მივიდა, ავტოგრაფებზე ყველას ცივი უარი უთხრა და კარს უკან გაუჩინარდა. სახლში მისი მეუღლე და ორი შვილი – 10 წლის **მატილდე** და 6 წლის **ჟოზე-უმბერთო** იმყოფებოდნენ. ბავშვებს თვალები ცრემლებით ჰქონდათ სავსე. მზრუნველი მამისთვის ეს საკმარისი აღმოჩნდა, რათა პოლიციისათვის წინააღმდეგობა გაეწია. უშედეგო მოლაპარაკებებმა რამდენიმე წუთს გასტანა. სამართალდამცველმა რაციით დახმარება ითხოვა და ჟოზე იმავე რაიონის განყოფილებაში მიაბრძანეს. მას თითებზე ანაბეჭდები აუღეს, გააფრთხილეს და ნახევარ საათში გაათავისუფლეს. უცნობია, რა ბედი ეწია ტერიერს. მისი იზოლაცია იმიტომ გახდა საჭირო, რომ მოურინიოებმა ძაღლი ბრიტანეთიდან გაიყვანეს და მერე ისევ შეიყვანეს ქვეყანაში, რა დროსაც არ დაიცვეს შინაური ცხოველების ტრანსპორტირების წესები.



ჟოზე მოურინიო და მისი იორკშირული ტერიერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალი

საკი კაპელოს ბოდიშს უხდის

მიატოვიჩს წყალი შეუდგა, პრეზიდენტი ახალ სპორტულ დირექტორს ეძებს...

არიგო საკი უკან დაიხია. გასული წლის მიწურულს მან **ფაბიო კაპელოს** "რეალისათვის" შეუფერებელი მწვრთნელი უწოდა. მაგრამ მას მერე, რაც მადრიდელებმა თამაში გამოასწორეს და საჩემპიონო მარათონში ჩაებნენ, იძულებული გახდა, კოლეგისათვის ღია წერილით მიემართა. საკის კორესპონდენცია "გაძეტა დელო სპორტმა" გამოაქვეყნა. აი, ნაწყვეტი ამ წერილიდან: *"ფაბიო ძლიერი პიროვნებაა. მისი სიძლიერე და განსწავლულობა მისივე გუნდის თამაშში ჩანს. მას ყოველთვის პატივს ვცემდი. მართალია, კაპელოს ფეხბურთის მოტრფიალე არ ვარ, მაგრამ კარგად ვიცი, როგორი რთულია მადრიდში მუშაობა. ამიტომ, შეუძლებელია, მისი მიღწევა არ დავაფასო. "რეალს" სამი წარუმატებელი სეზონი ჰქონდა. მადრიდელებს ჰყავდათ გუნდი, რომელშიც სახელები თამაშობდნენ და არა ტაქტიკური მოსაზრებით შეძენილი ფეხბურთელები. ზოგიერთს მოტივაცია დაეკარგა, ზოგიერთმა პროფესიონალიზმი დაივიწყა, სხვები კი მთლიანად ამოვარდნენ ფორმიდან. კაპელოს გაუმართლა. მას ისეთი პრეზიდენტი შეხვდა, რომელმაც ყველაზე დელიკატურ მომენტში უპირობო ნდობა გამოუცხადა. "რეალის" აღმავლობას დაემთხვა "ბარსელონის" კრიზისიც. ფაბიო ლიდეროზის ღირსია. მას აქვს საუცხოო უნარი გუნდები კოლექტივებად აქციოს. ფინალურ სტადიაზე "რეალი" ფავორიტია. კაპელო აუცილებლად გაიმარჯვებს."*



ფაბიო კაპელო

კიდევ ერთი ინფორმაცია სამეფო კლუბიდან. სპორტულ დირექტორ **პედია მიატოვიჩს** აბარგებას უწინასწარმეტყველებენ. "დიარიო სპორტის" ცნობით, პრეზიდენტს მისი სატრანსფერო მოლვაწეობა არ აკმაყოფილებს. სპორტული დირექტორი კლუბის ბოსის მარჯვენა ხელი უნდა იყოს. **რამონ კალდერონი** კი უფრო ხშირად ერთერთ დირექტორ **ხოსე ანხელ სანჩესს** ეთათბირება. მიატოვიჩის პოსტზე "რასინგის" მთავარი მწვრთნელის **მიგელ ანხელ პორტუგალის** კანდიდატურა განიხილება. პორტუგალს სანტანდერელებთან კონტრაქტი ივნისში უმთავრდება.

ნიუკასლი

დიდი სემი ოუენს შეხვდება

სენტ ჯეიმსზე წმენდა დაიწყო...

"ნიუკასლში" დანიშნული **სემ ელერდაისის** უმთავრესი ამოცანა **მაიკლ ოუენის** შენარჩუნებაა. ჯორდების თავმჯდომარე **ფრედი შეპერდი** თავდამსხმელისაგან იმის საჯაროდ აღიარებას ითხოვს, რომ არსად წასვლას არ აპირებს. ახალი მწვრთნელი პრობლემას უფრო დიპლომატიურად მიუდგება. ის ოუენს პირადად შეხვდება და სამოქმედო გეგმას გააცნობს. თუ მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდება, ოუენი სხვა კლუბს 9 მილიონ გირვანქად მიაშურებს. შედარებისათვის, ორი წლის წინ "რეალს" 18 მილიონი გადაუხადეს. სადებიუტო სეზონში მაიკლმა 11 მატჩი ჩაატარა, გასულ სეზონში - მხოლოდ ორნახევარი მატჩი. მას ქრონიკული ტრავმები აწუხებდა. ოუენი მაისის დასაწყისში გამოჯანმრთელდა, მაგრამ "უოტფორდთან" ბოლო ტურში (1:1) ტვინის შერყევა მიიღო და ისევ ისვენებს.

ელერდაისი: *"უახლოეს დღეებში მაიკლს ტელეფონით გავესაუბრები და შეხვედრას შევთავაზებ. სპეკულაციებს მხოლოდ ასე დაესმება წერტილი. ის აუცილებლად მეტყვის, რა გეგმები აქვს და ჩემს პოზიციასაც დავაფიქსირებ. ვფიქრობ, მაიკლის გამოჯანმრთელებით უმთავრესი პრობლემა მოგვარდა. დარწმუნებული ვარ, მას ჩემთან მუშაობა სიამოვნებას მიანიჭებს."*

"ნიუკასლი" წინასასეზონო მზადება 2 ივლისიდან შეუდგება. იქამდე მწვრთნელმა კიდევ ერთი პრობლემა უნდა გადაწყვიტოს. "ბოლტონში" ყოფნისას მას 18-კაციანი სამწვრთნელო შტაბი ჰყავდა. ელერდაისს უკლებლივ ყველას ნიუკასლში ჩაყვანა სურს. ჯორდების ხელმძღვანელობა ამბობს, რომ თუ "ბოლტონი" ამხელა შტაბს ინახავდა, ნიუკასლელებს მით უმეტეს არ გაუჭირდებათ მწვრთნელის მოთხოვნის შესრულება.

ოუენთან მოლაპარაკებების პარალელურად, ელერდაისმა უკვე ჩამოწერა იმ ფეხბურთელების სია, რომლებიც არ სჭირდება. **კრეიგ მურს, ოლივიე ბერნარს, პაველ სრნიჩეკს, ოგუჩი ონიეუსა** (ეს უკანასკნელი ლიეჟის "სტანდარდიდან" ექვსთვიანი იჯარით თამაშობდა) და **ტიტუს ბრემბლს** კონტრაქტებს არ გაუგრძელებენ. ყველაზე მოულოდნელი ბრემბლის გათავისუფლება აღმოჩნდა. ამ უკანასკნელმა "სენტ ჯეიმსზე" ხუთი სეზონი გაატარა. 2002 წელს **სერ ბობი რობსონმა** ის "იფსვიჩიდან" 5 მილიონ გირვანქად შეიძინა. მას მერე ბრემბლმა 156 თამაშში 7 გოლი შეაგდო.

დარენ ბენტი აუქციონზე

პრემიერლიგიდან გავარდნილი "ჩარლტონი" **დარენ ბენტის** გაყიდვას ცდილობს, თანაც მაქსიმალურ ფასად. სპეკულაციების თანახმად, "ტოტენჰემი" ახალგაზრდა თავდამსხმელში 10 მილიონ გირვანქას იხდის, "ვესტ ჰემმა" 12 მილიონი გაამზადა, "ლივერპულმა" კი, შეიძლება, 15 მილიონი გადაიხადოს. იანვრის ტრანსფერებისას "ვესტ ჰემი" 18 მილიონსაც კი ჩამოდიოდა, მაგრამ ჩარლტონელებმა შემადგენლობის შესუსტება არ ისურვეს. **რაფა ბენიტესს** შეტევის გაძლიერება უნდა. "ლივერპული" **რობი ფაულერს** გამოეთხოვა. დანარჩენ სამ ფორვარდს – **დირკ კუიტს, პიტერ კრაუჩსა** და **კრეიგ ბელამის** – ბევრი გოლი არ გაუტანია. ამათგან საუკეთესო კუიტი იყო. მან სეზონი 12 გოლით დაასრულა. ჩარლტონელთა 34 ბურთიდან კი 13 ბენტმა მიითვალა. აქვე გეტყვით, რომ "ლივერპული" **სტივ ჯერარდთან** მოლაპარაკებებს მართავს და დღედღეზე ახალ კონტრაქტს გაუფორმებს. საუბარია ხუთწლიან ხელშეკრულებაზე, რომელიც მერსისაიდელებს კაპიტანს 30 მილიონ გირვანქას მოუტანს.

ვინ ჯოვებს არსენალს?

ფრედი ლიუნგბერგი, ხოსე რეიესი, მატიო ფლამინი, მანუელ ალმუნია, ფილიპ სენდეროსი, ჟერემი ალიადიერი, ალექსანდრ სონგი, კორეა ჯილბერტი და **ჟულიო ბაპტიშტა** - ამ ფეხბურთელებს "არსენალიდან" აბარგება მოუწევთ. რამდენიმე დღის წინ "ბირმინგემში" გაიყიდა **ფაბრის მუამბა**. იქამდე **არტურო ლუპოლიმ** ლონდონელებს ოთხწლიან კონტრაქტზე უარი უთხრა და "ფიორენტინას" მიაშურა. ლიუნგბერგი "პორტსმუთს" სურს. შეიძლება, გააქტიურდეს "ვესტ ჰემიც". **არსენ ვენგერი** "ვესტ ბრომვიჩის" 22 წლის კაპიტან **კერტის დევისს** ეპატიჟება. დევისი ცენტრალური მცველია. "ალბიონი" 6 მილიონ გირვანქას ითხოვს, "მეთოფეები" კი ამდენის გადახდას არ აპირებენ. "არსენალმა" ახალი კონტრაქტი გაუფორმა **ემანუელ ებუეს**. დღე-დღეზე ხელშეკრულებას გააგრძელებს **ემანუელ ადებაიორიც**.

იუნაიტედი ნევილისა და საას გარეშე

"მანჩესტერ იუნაიტედის" ვარსკვლავები, **გარი ნევილი** და **ლუის საა** ასოციაციის თასის ფინალში ვერ ითამაშებენ. **სერ ალექს ფერგიუსონმა** თქვა, რომ ფრანგ თავდამსხმელს, შეიძლება, ოპერაციის გაკეთება მოუხდეს და წინასასეზონო მზადების ეტაპიც გამოტოვოს. ნევილის შესახებ დანვრილებითი ინფორმაცია არ მოგვეპოვება. "მანჩესტერი"-"ჩელსის" ფინალს 19 მაისს, "უემბლი" უმასპინძლებს.

ბარტონი დააპატიმრეს

პოლიციამ "მანჩესტერ სიტის" ნახევარმცველი **ჯოი ბარტონი** დააკავა. მას ბრალად წაუყენეს თანაგუნდელ **უსმან დაბოზე** თავდასხმა. ინციდენტი რამდენიმე კვირის წინ "სიტის" ვარჯიშისას მოხდა. მანჩესტერულმა კლუბმა ბარტონი სეზონის ბოლომდე მოკვეთა. სამართალდამცველებმა კი სისხლის სამართლის საქმე აღძრეს და ფეხბურთელი მხოლოდ გირაოს გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს. გირაო 11 ივნისამდე იმოქმედებს. ამ ხნის განმავლობაში "სიტის" ყოფილ თავკაც **სტიუარტ პირსს**, დაზარალებულ დაბოსა და კიდევ რამდენიმე თვითმხილველს დაკითხავენ. ამის შემდეგ საბოლოო განაჩენი გამოცხადდება.

პანათინაიკოსი უმწვრთნელოდ

"პანათინაიკოსმა" ესპანელი მწვრთნელი **ვიქტორ მუნიოსი** დაითხოვა. კლუბი ოფიციალურ განცხადებას დღეს ან ხვალ გაავრცელებს. სენიორ მუნიოსი ათენში გასული წლის ოქტომბერში ჩავიდა, მაგრამ გუნდი მესამე ადგილზე მაღლა ვერ აიყვანა. მისი პოზიციები შეარყია საბერძნეთის თასის ფინალში მოკრძალებულ "ლარისასთან" სენსაციურმა მარცხმა. მის ადგილზე ლისაბონის "სპორტინგის" ყოფილ თავკაც **ჟოზე პეშეირუს** ეპატიჟებიან. დანიშვნის შემთხვევაში, ის კლუბის მეექვსე დამრიგებელი იქნება 2004 წლის შემდეგ, როცა "პაომ" ქვეყნის ჩემპიონატის და თასი მოიგო.

ბარსელონა. დიდი ცვლილებების მოლოდინში

კატალონიელთა შავი სია

რვა-ცხრა ფეხბურთელს გუნდის დატოვება მოუწევს, მათ შორის ერთი სუპერვარსკვლავი იძნება, მატერაცი შეიძლება კამპ ნოუზე ვიხილოთო...

კატალონია კვლავ შოკშია. გასულ უქმეებზე ლიდერობის დაკარგვამ ბარსელონაში დიდი გამოხმაურება ჰპოვა. საზოგადოება უკიდურესად აღშფოთებულია, თუმცა ერთგული გულშემატკივრები აცნობიერებენ, რომ სეზონის დასრულებამდე ოთხი ტურით ადრე პროტესტის უკიდურესი გამოხატვა კლუბს კიდევ უფრო დააზარალებს. თავშეკავებულად იქცევა ჟურნალისტთა უდიდესი ნაწილი, თუმცა ეს მხოლოდ კატალონიაში მოღვაწე ჟურნალისტებს ეხებათ.

აი, მადრიდულ მასმედიას კი ცხონების დრო დაუდგა. ისინი ყოველმხრივ ცდილობენ, **ფრანკ რიიკაარდი** და მისი შეგირდები დათრგუნონ. მადრიდელი კორესპონდენტები ერთმნიშვნელოვნად აცხადებენ, რომ ჩემპიონობის საუკეთესო შანსს სამეფო კლუბი ფლობს და წლეულს „ბარსას“ არაფერი ეშველება. ცხადია, ეს მიკერძოებული მოსაზრებაა. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, „რეალი“ მართლაც სერიოზულ უპირატესობას ფლობს, მაგრამ აღნიშნული ფაქტი სულაც არ ნიშნავს, რომ რიიკაარდის კოლექტივს ყოველგვარი შანსი დაკარგული აქვს. დაზუსტებით არავინ იცის, რა მოხდება მომდევნო ოთხ ტურში, თუმცა ერთი რამ აშკარა და თვალხილულია. მნიშვნელობა არა აქვს, გაიმარჯვებს თუ არა „ბარსელონა“ პრიმერა დივიზიონში. გადაწყვეტილია, რომ მომავალი სეზონის დაწყებამდე გუნდში სერიოზული ცვლილებები განხორციელდება. საუბარია ფრანკ რიიკაარდის გადაყენებასა და ახალი სპეციალისტის მიწვევაზე. გარდა ამისა, დირექტორატი შემადგენლობის ძირფესვიანად გადახალისებაზეც ფიქრობს. დღევანდელი მონაცემებით, **ჩიკი ბეგირისტაინი** ერთბაშად 8-9 მოთამაშის გაშვებას მიიჩნევს აუცილებლად. მათ შორის ერთ-ერთი მსოფლიო დონის ვარსკვლავი იქნება. ჯერჯერობით, მისი გვარი არ კონკრეტდება. სავარაუდოა, რომ ამ ინფორმაციის გავრცელება სპეკულანტებს სალაპარაკოს მისცემს, თუმცა ბეგირისტაინს ახლა ეს ნაკლებად აღელვებს. მისთვის მთავარია, ბოლო დროს დაგროვებული უმწვავესი პრობლემები უმოკლეს ვადაში მოგვარდეს.

ეს-ესაა სპეკულანტები ვახსენეთ. გასაკვირი არ არის, რომ პირველმა სპეკულაციებმა უკვე იჩინა თავი. კულუარული ინფორმაციით, სუპერვარსკვლავი, რომელსაც „კამპ ნოუს“ დატოვება მოუწევს, სხვა არავინაა, თუ არა **დეკუ**. პორტუგალიელ ნახევარმცველს ერთდროულად რამდენიმე ევროპული გრანდი ეპატიჟება, მათ შორის მილანის „ინტერი“. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ დეკუს წასვლით **ლიონელ მესის** შესაძლებლობების გამომჟღავნების მეტი შანსი მიეცემა, რადგან ახალგაზრდა არგენტინელ გენიოსს სწორედ მოედნის ცენტრში გადაიყვანენ. სპეკულაციის მეორე ტალღა **რონალდინიოსა** და **სამუელ ეტოოს** ეხებათ. თუმცა, კლუბის ოფიციალური პირები ბრაზილიელთან დაკავშირებით პირდაპირ ამბობენ, რომ მის გაყიდვას არ გეგმავენ. სხვათა შორის, მილანიც აღარ აქტიურობს, რადგან **სილვიო ბერლუსკონიმ ხოან ლაპორტა** 100 მილიონი ევროთიც ვერ მოხიბლა. ბოროტი ენების თქმით, კლუბის ხელმძღვანელობამ **ალბერტო ჟორკერა, ეიდურ გუდიონსენი, ლილიან ტურამი, ტიაგო მოტა, ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი, სილვინიო, სანტი ესკერო** და **ლუდოვიკ ჟიული** შავ სიაში შეიყვანა. კატალონიურ გიგანტთან დაახლოებული პირების თქმით, ჩამოთვლილ ფეხბურთელებს ეშმაკიც ვერ უშველის. ბეგირისტაინსა და ლაპორტას ურჩევნიათ, მათი გასხვისებით შემოსული ფულით 3-4 კარგი მოთამაშე დაიმატონ, დანარჩენი შევსება კი კანტერიდან მიიღონ.

ბუნებრივია, პრობლემების მოგვარება მხოლოდ არასასურველი ხალხის გაყიდვით არ მოხერხდება. არანაკლებ მნიშვნელოვანია ახალი სისხლის გადასხმა. მიმომხილველთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ წლევანდელმა "ბარსელონამ" დაცვაში ის აგრესიულობა დაკარგა, რომლის წყალობითაც ბოლო ორი სეზონის განმავლობაში ფენომენალურ წარმატებებს აღწევდა. სხვათა შორის, დირექტორატის მაღალჩინოსნებიც ასევე ფიქრობენ. სანდო წყაროებზე დაყრდნობით ცნობილი გახდა, რომ სენიორ ბეგირისტაინი **მარკო მატერაცის** შეძენას აპირებს. მიუხედავად იმისა, რომ ფრანკ რიიკაარდის მომავალი გაურკვეველია, აღნიშნულ ტრანსფერთან დაკავშირებით გენერალური დირექტორი მას მაინც შეხვდა და აზრი ჰკითხა. აღმოჩნდა, რომ ჰოლანდიელ სპეციალისტს ბატონი ჩიკის ინიციატივა ძალიან მოსწონს. შესაძლოა, მატერაციც დაინტერესებამ დეკუს წასვლა დააჩქაროს. საქმეში ჩახედული ხალხის თქმით, შესაძლოა, მხარეებს შორის გაცვლა შედგეს, თუმცა მოვლენათა ამგვარი განვითარების შემთხვევაში „ინტერს“ რამდენიმე მილიონი ევროს დამატება მოუწევს.



მარკო მატერაცი

დასასრულს, იმასაც მოგახსენებთ, რომ ყველაზე მაღალანაზღაურებადმა ბარსელონელმა, რონალდინიომ საკუთარი ქვეყნის საფეხბურთო კონფედერაციას კოპა ამერიკაზე ასპარეზობიდან გათავისუფლების შესახებ თხოვნა გაუგზავნა. გაუჩომ **დუნგასაც** მისწერა და თხოვა, კარგად გაუგოს. რონალდინიო ძალიან დაიღალა. გასული წლის მუნდიალის გამო, მას საფუძვლიანად არ დაუსვენია. ამიტომ, ძალების აღსადგენად ხანგრძლივი შვებულება სჭირდება. ბრაზილიური ფეხბურთის მამების პასუხი, ჯერჯერობით, უცნობია, თუმცა იოლი წარმოსადგენია, რომ კარლოს დუნგა „ბარსას“ სუპერვარსკვლავს წინააღმდეგობას ვერ გაუწევს. ძალით თამაშს ვერავინ ვერავის აიძულებს...

ილია ნიკოლაიშვილი

ვოლფსბურგი

მათეუსი აუგეს ნაცვლად?

მგლებს მიკოლი და პანდიანი სურთ...

გერმანული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დიდი შანსია, რომ "ვოლფსბურგს" მომდევნო სეზონში **ლოთარ მათეუსმა** უხელმძღვანელოს. როგორც იცით, დადასტურებული არაა, მაგრამ თითქმის გადაწყვეტილია, რომ "მგლების" ხელმძღვანელები გუნდის ამჟამინდელ მწვრთნელ **კლაუს აუგენტალერს** სეზონის დასრულებისთანავე დაითხოვენ. მათეუსთან ერთად "ვოლფების" ბანაკში მოიაზრება მისი ყოფილი თანაგუნდელი "ბაიერნში", **ოლივერ კროიცი**. თვითონ ლოთარმა ეს ინფორმაცია უარჰყო და განაცხადა, რომ "ფოლკსვაგენის" გუნდიდან არავინ შეხმიანებია.

ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, "ვოლფსბურგის" შეფები მათეუსის ალტერნატივად **კრასიმირ ბალაკოვსა** და **ერიკ გერეტსს** განიხილავენ. ორიოდე კვირის წინათ ვიუწყებოდით, რომ აუგეს პოტენციური შემცვლელი **ფელიქს მაგათი** იყო, მაგრამ ამ უკანასკნელმა გუშინწინ განაცხადა, რომ "მგლების" განვრთნას არ აპირებს და რომ მას უფრო ამბიციურ გუნდში მუშაობის პერსპექტივა ხიბლავს.

თვითონ აუგენტალერი კი "ჰერტას" მომავალ მწვრთნელად მოიაზრება. მას მერე, რაც ბერლინული კლუბიდან **ფალკო გიოტცი** გაათავისუფლეს, ამ გუნდს მოყვარულთა მწვრთნელი **კარსტენ ჰაინე** თავკაცობდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა მოკლე დროში ვერ დაამტკიცა, რომ "ჰერტას" მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე მუშაობის ღირსია, რის გამოც, ჰაინე ზაფხულიდან ისევ მოყვარულთა გუნდს დაუბრუნდება.

ამასობაში, ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა გავრცელეს ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, "ვოლფებს" **ვალტერ პანდიანისა** და **ფაბრიციო მიკოლის** გადაბირება სურთ. გუნდის პრეზიდენტი **კლაუს ფუხსი** ამ ორ თავდამსხმელს ძალიან აქებს და არ მალავს, რომ მათი გადაბირება უნდა. ამას გარდა, "მგლები" **რობერტო სოლდადოსა** და **ხავიერ პორტილეიოსაც** აკვირდებიან. გამორიცხული არ არის, რომ ზაფხულიდან "ვოლფსბურგში" დაბრუნდეს **ანდრეს დ'ალესანდრო**, რომელიც "სარაგოსაშია" განათხოვრებული. ესპანელებს არგენტინელი გამთამაშებლის უპირატესი შესყიდვის უფლება კი აქვთ, მაგრამ ამ ოფციის გამოყენებას არ აპირებენ. როგორც ირკვევა, "სარაგოსას" დ'ალესანდროში 5 მილიონი ევროს გადახდა არ უნდა და ცდილობს, ეს ფეხბურთელი გაცილებით ნაკლებ ფასად შეიძინოს. აქვე გეტყვით, რომ "ვოლფსბურგს," სავარაუდოდ, დატოვებენ **დიეგო კლიმოვიჩი** და **ტომ ვან დერ ლეეგტე**. პირველს დორტმუნდის "ბორუსია" უხმობს, უკანასკნელს კი "ეინდჰოვენი".

შალკე

სლომკა დანებდა: სასწაული არ მოხდება

მირკო შტუტგარტს ჩემპიონობას ულოცავს. იძნებ, ეს ფსიქო-ტრიუკია?



მირკო სლომკა

ბუნდესლიგაში ერთი ტური ჩასატარებელია და ამრიგად, "შალკეს" გაჩემპიონების თეორიული შანსი ჯერ კიდევ აქვს. მიუხედავად ამისა, გელზენკირხენული კლუბის მთავარი მწვრთნელი **მირკო სლომკა** უკვე დანებდა. მისი თქმით, გერმანიის პირველობის ბედი 100 პროცენტით გადაწყვეტილია - "ვერცხლის სინს" "შტუტგარტი" დაისაკუთრებს. *"ამ სეზონში უკვე იმდენჯერ გაგვიმართლა, მეტი რომ არ შეიძლება. მეორე წრეში ქულებს სულელურად ვკარგავდით, მაგრამ კონკურენტები ამით ვერ სარგებლობდნენ და მაინც პირველ ადგილზე ვრჩებოდით, რაც, პირველ რიგში, იმის დამსახურებაა, რომ იღბალი ჩვენს მხარეს იყო. ნელ-ნელა სასაცილო ხდება იმაზე საუბარი, რომ ხომ შეიძლება, "შტუტგარტი" "კოტბუსთან" დამარცხდეს და ა.შ. სასწაული აღარ მოხდება! ჩვენ კი, ასეთი საუბრებით თავს ვიგდებთ და მეტი არაფერი!"* - აცხადებს სლომკა "ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

არადა, შაბათს, დორტმუნდში განცდილი საბედისწერო მარცხის შემდეგ, მირკო ამბობდა, წინ კიდევ ერთი ტურია, ჩვენი მიზანი კი ისაა, რომ ჩემპიონობისთვის უკანასკნელ წამამდე ვიბრძოლოთ, დარჩენილი თამაში მოვიგოთ და "კოტბუსის" იმედი გვქონდესო. რატომ შეცვალა სლომკამ ჩვენება სამ დღეში? ფაქტი ის გახლავთ, რომ ზეწოლის ქვეშ ახლა "შტუტგარტია" მოქცეული და რომ "შალკეს" გაჩემპიონებისა უკვე აღარავის სჯერა. არადა, სულაც არაა აუცილებელი, რომ "შტუტგარტმა" "კოტბუსთან" წააგოს. თუკი უმოტივაციო "ენერგი" "გოტლიბდაიმლერშტადიონზე" ფრეს გაახერხებს, მაშინ "შალკეს" ოთხბურთიანი სხვაობით მოგება გააჩემპიონებს. შეგახსენებთ, რომ **ლევან კობიაშვილის** გუნდი ბილეფელდის "არმინიას" მასპინძლობს.

თუმცა "შალკემ" ამ სეზონში ოთხბურთიანი სხვაობით გამარჯვება მხოლოდ ერთხელ მოახერხა: საკუთარ მოედანზე ან უკვე მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებულ "მაინცს" 4:0 მოუგო. *"თუკი "შტუტგარტი" შაბათს ზედიზედ მერვე მატჩს მოიგებს, ვერავის მოუბრუნდება ენა იმის სათქმელად, რომ შვაბებმა ჩემპიონობა არ დაიმსახურეს. ამის თქმა ნამდვილად უტიფრობა იქნება!"* - ამბობს სლომკა.

"შტუტგარტის" ხელმძღვანელებს ძალიან მოსწონთ, რომ "შალკეს" მწვრთნელს მათთვის "ვერცხლის სინი" ემეტება, მაგრამ შვაბენლანდელთა მენეჯერი **ჰორსტ ჰელდტი** ფიქრობს, რომ სლომკა თვალთმაქცობს და რომ ზემოთ მოყვანილი განცხადებები მხოლოდ ერთგვარი ფსიქოლოგიური ტრიუკებია. *"სულაც არ მაინტერესებს, რას ამბობენ შალკელები. მე ვიცი, რომ გელზენკირხენული გუნდი ჩემპიონობისთვის ბოლო წამამდე იბრძოლებს და "ხუმარების" ფანებს სინის მოპოვების იმედი ბოლომდე ექნებათ..."* - ამბობს ჰელდტი.

აქვე გეტყვით, რომ გუშინ არ უვარჯიშია მეკარე **მანუელ ნოიერს**, რომელმაც რურის დიდ დერბიში მსუბუქი ტრავმა მიიღო. თუკი ეს უკანასკნელი შაბათს ვერ იასპარეზებს, "შალკეს" კარს გამოუცდელი **ტაპალოვიჩი** დაიცავს. ვარჯიში ასევე ტრავმების გამო გაუცდათ **კრისტიან პანდერს, ზლატან ბაირამოვიჩსა** და **გუსტავო ვარელას**...

გოტფრიდ ლენცი

ლოთარ მათეუსი

ინტერვიუ მასიმო მორატისთან

ნუ მთხოვთ, რომ გავიცინო

ვიყოთ უფრო ვაჟკაცურები და გულწრფელები...

"ლაციოსთან" დრამატული საკვირაო გამარჯვების (4:3) შემდეგ, პალაცო მარინოში, რომელიც ახლა ჯაჩინტო ფაკეტის სახელს ატარებს, "ინტერის" ჩემპიონად კურთხევის საზეიმო საღამო გაიმართა. ინაუგურაციის დასრულებისთანავე, "ნერაძურის" პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა. სხვათა შორის, გუშინ "ინტერის პრეზიდენტი 62 წლის გახდა. პრესამ არც ეს შანსი გაუშვა ხელიდან და მილოცვასთან ერთად, მორატის რამდენიმე სატრანსფერო სიახლის გარკვევა სთხოვა. გადავწყვიტეთ, ეს ორი ინტერვიუ გაგვეერთიანებინა და აი, რა გამოვიდა...

- "კორიერე დელა სერაში" დაიბეჭდა თქვენი ინტერვიუ, რომელმაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. შეიძლება, მორატიზე"ინტერის" ფეხბურთელებიც გაბრაზდნენ...

- ვინმეს გასაბრაზებლად არ მისაუბრია. ჩემი ინტერვიუ ზოგადად ფეხბურთს ეხებოდა, იმ სიტუაციას, რომ ამ სამყაროში არაფერი იცვლება...

- ამიტომაც თქვით, რომ სკუდეტო არ გიხარიათ?

- მე ასე ვთქვი: ნუ მთხოვთ, რომ გავიცინო. ეს არ ნიშნავს, რომ სკუდეტო არ მიხარია.

- და რატომ არ გეცინებათ?

- იმიტომ, რომ გამოჩნდა ხალხი, ვინც ჯერ შარშანდელ ჩემპიონობას გვამადლიდა, ახლა კი ამბობენ, რომ სკუდეტო იოლად მოვიგეთ. მაინც ვერ გავიგე, რა დანაშაული მიგვიძღვის ფეხბურთის წინაშე?

- იმ ინტერვიუში ამბობთ, რომ კალჩოში არაფერი შეცვლილა. ვის ან რას გულისხმობთ?

- კონკრეტულად არავის ეხებოდა, ზოგადად ვთქვი. მხედველობაში მქონდა საყოველთაო გულგრილობა.

- როგორ, მართლა ფიქრობთ, რომ არაფერი შეცვლილა?

- არა, არა... რაღაც მართლა შეიცვალა, მათ შორის, ხალხიც. იცით, ჩვენ ცოტა მეტი ვაჟკაცობა და გულწრფელობა გვჭირდება. და გვჭირდება კეთილი ნება იმისთვის, რათა ყველაფერი შევცვალოთ. ხალხს, ტიფოზებს მეტი სიხარული უნდა მივანიჭოთ. საერთოდ, საფეხბურთო გარემო უფრო გამჭვირვალე უნდა იყოს. ამიტომაც ვთქვი, რომ ეს ხალხი უნდა შეიცვალოს, ახალი სახეებია საჭირო. საკუთარ თავსაც ვგულისხმობ.

- რას იტყვით იმაზე, რომ მსაჯთა ასოციაციას სათავეში პიერლუიჯი კოლინა ჩაუდგეს?

- არაფერსაც არ ვიტყვი. არ მინდა, ამ საკითხზე პოლემიკაში ჩავერთო, ჩემი საქმე არ არის... თავად კოლინას კარიერას რაც შეეხება, მე მგონი, არც ეს საჭიროებს ჩემგან შეფასებას.

- კეთილი, ახლა "ინტერზე" გადავიდეთ. დარჩება კრესპო?

- იმედი მაქვს, რომ დარჩება.

- ბოლო დღეებში სასიამოვნო სიგნალები ისმის ფიგუსგან. პორტუგალიელმა გადაწყვეტილება შეცვალა? ისიც ხომ არ რჩება?

- დიახ, მეც გავიგე და კმაყოფილი დავრჩი. მჯერა, მომავალ სეზონში ისიც ჩვენთან იქნება. მაგრამ არ მინდა, ის წნეხში მოვაქციო. ფიგუ საკმარისად გამოცდილია საიმისოდ, რათა ყველაფერი ისე გადაწყვიტოს, როგორც მის კარიერას სჭირდება.

- პოტენციალიდან გამომდინარე, ფიგუ "ინტერისთვის" უფრო სასარგებლოც შეიძლება იყოს მომავალ კამპანიაში...

- ეჭვგარეშეა. მოდით, სტატისტიკას შევხედოთ. საგოლე გადაცემების ნახევარზე მეტი მის აქტივშია.

- რა ხდება თავდასხმაში? ადრიანოს მომავალი გაურკვეველია, რეკობასაც პრობლემები აქვს, ტონი "ბაიერნში" მიდის... ისე, ტონი მართლაც დიდი შენაძენი იქნებოდა...

- დარწმუნებული ვარ, ის "ბაიერნში" გადავა, მაგრამ მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ტონის ყიდვა არც გვიცდია. მე პირადად, მიმაჩნია, რომ ძალიან კარგი ფორვარდები გვყავს... ვნახოთ... შეიძლება, ამ მხრივ მართლაც ვიაქტიუროთ ბაზარზე, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ საჭირო იქნება. ტრანსფერი მხოლოდ იმისთვის, რომ ხმაური გამოვიწვიოთ, საჭირო არ არის. ის დრო წარსულს ჩაბარდა.

- როგორც ამბობენ, "კალიარის" ფორვარდი დავიდ სუასო თითქმის ინტერელია...

- ნუ ჩქარობთ. ის ბრწყინვალე ფეხბურთელია, მაგრამ რატომ მხოლოდ სუასო? თუ ჩვენ ფორვარდის ყიდვას გადავწყვეტთ, სხვებსაც დავაკვირდებით.

- ესპანური გაზეთი "მარკა" წერს, რომ "ბარსელონა" მატერაცის ყიდვას აპირებს...



მასიმო მორატი

- მითხარით, არის კლუბი, მატერაცის ყიდვა რომ არ უნდოდეს? და მარტო ესპანეთში კი არა, ინგლისშიც... სხვაგანაც. მე ამაყი ვარ, რომ მარკო "ინტერის" ფეხბურთელია და ვერ წარმომიდგენია, რამე შეიცვალოს.

- "რეალს" კი იბრაჰიმოვიჩი აინტერესებს...

- მართალი ხართ, მაგრამ მადრიდელები უნდა დავარწმუნოთ, რომ ძალიან გაუჭირდებათ...

- ბუფონმა "აპიანო ჯენტილესგან" ("ინტერის" საწვრთნელი კომპლექსი - რედ) 30 კილომეტრში სახლი იყიდა. რას ნიშნავს ეს?

- (იცინის) ეს ძალიან მაშინებს...

- გჯერათ, რომ იტალიის თასს დაიბრუნებთ?

- ...ყოველ შემთხვევაში, უნდა გვჯეროდეს. ფეხბურთში ყველაფერი ვნახეთ, ყველაფერი გადავიტანეთ... მოთამაშეებს სრული კონცენტრაცია მართებთ, თუმცა მესმის, რომ ამის მიღწევა ძნელი იქნება. ჩემპიონატი თითქოს ადვილად მოვიგეთ, მაგრამ ნურავინ იფიქრებს, რომ ეს ძალების დაძაბვის გარეშე მოხდა. ახლა, ეს ძალები კიდევ ერთხელ უნდა მოვიკრიბოთ. სკუდეტოცა და თასიც ჩინებული რამ იქნებოდა...

- ფეხბურთელებმა ზეიმზე გვარიანად და დამსახურებულად მოიღხინეს. რა არის ის, რასაც მათ სთხოვდით?

- არაფერსაც არ ვთხოვ. და არა მგონია, რომ ეს სჭირდებოდეთ. როცა ბედნიერების მომენტი დგას, უნდა დატკბე ამ ბედნიერებით. და ეს ბედნიერება ყოველდღე არ მოდის. ასევე ვტკებებოდით ბედნიერებით, როცა სიენაში მოგებით ჩემპიონობა გავიხარეთ. დიდ სიხარულს ვგრძნობდი ფანების, მწვრთნელისა და იმ ხალხის გამო, ვინც კლუბში მუშაობს. ბოლოს და ბოლოს, მათაც მიეცათ ზეიმის საბაბი. ეს ხომ დიდებულია.

იუვენტუსი და სატრანსფერო სპეკულაციები

იაკუინტა: ერთი მილიონი იუვემდე

როსი ტურინში არ წავა

"იუვენტუსი" რომ უდინელ ფორვარდ **ვინჩენცო იაკუინტას** უმიზნებს, ამაზე უკვე ვწერდით. მსოფლიო ჩემპიონი მიიჩნევს, რომ დროა, უფრო დიდ კლუბში მოსინჯოს ძალები, დროც არის და უდიდესი სურვილიც. "უდინეზე" უკან არ იხევს და კვლავ 10-მილიონ ევროს ითხოვს, ტურინელებს კი მხოლოდ 9 მილიონი ემეტებათ. ამას გარდა, ისინი მზად არიან, გარიგებაში ფორვარდი **მიკელე პაოლუჩიც** (ამჟამად, არენდით "ასკოლიში" თამაშობს) ჩართონ. ამაზე, გუშინ, "იუვეს" სპორტულმა დირექტორმა **ალესიო სეკომ** და ტრანსფერების მენეჯერმა **რობერტო ბეტეგამ** ისაუბრეს. ჯერჯერობით, მხოლოდ ეს შედეგი მოიტანა კლუბების მესვეურთა შეხვედრამ, რომელიც ფლორენციაში გაიმართა. მიუხედავად იმისა, რომ მხარეებმა ამ ეტაპზე შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, იაკუინტა მაინც კმაყოფილია და დარწმუნებით ამბობს, რომ დღეს თუ ხვალ გარიგება აუცილებლად შედგება.

ტრანსფერს მოუთმენლად ელის **დიდიე დეშამიც**, რომელზეც ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები ვრცელდება. ზოგიერთების ვერსიით, ის ჩემოდნებზე ზის, ცალკეული სააგენტოები კი ამტკიცებენ, რომ მწვრთნელსა და "იუვეს" ბოსებს შორის ყველა პრობლემა მოგვარებულია, შესაბამისად, ფრანგი სპეციალისტი ტურინში მინიმუმ ერთ სეზონსაც დაჰყოფს...

დავუბრუნდეთ იაკუინტას. მის ტრანსფერს ზოგი მიმომხილველი **დავიდ ტრეზეგეს** აბარგებას უკავშირებს. მაგრამ მთლად ასეც არაა საქმე. ბევრს მიაჩნია, რომ იაკუინტას მისვლა სწორედაც რომ ტრეზეგეს შენარჩუნებას უნდა ნიშნავდეს. საქმე ისაა, რომ უდინელ თავდამსხმელს წინა ხაზზე ნებისმიერი როლის შესრულება შეუძლია, იქნება ეს სუფთა ფორვარდი, უკანდახეული თუ ფლანგზე გადაწეული. არ დაგვავიწყდეს **ალესანდრო დელ პიეროც**. ასე რომ, "ქალბატონის" წინა ხაზი იაკუინტათი საგრძნობლად ძლიერდება. მაგრამ აქ ერთიცაა, რომ ტრეზეგეს დარჩენა ბოლომდე მაინც არაა გადაწყვეტილი. ამიტომ, სათადარიგო ვარიანტად კვლავ რჩება აიაქსელი **იან კლაას ჰუნტელაარი**.

კვლავ ისმის კითხვები **ფაბრიციო მიკოლის** თაობაზე. "ბენფიკაში" განათხოვრებული ფორვარდი "იუვეს" საკუთარებაა, თუმცა ამ უკანასკნელს მის დაბრუნებაზე ოფიციალური განცხადება ჯერ არ გაუკეთებია. მიკოლიმ კი ლისაბონელებს შეატყობინა, რომ მას ტურინში ელოდებიან და თუ მისი დატოვების სურვილი აქვთ, იმოქმედონ. იქვე, ფეხბურთელი აცხადებს, რომ პორტუგალიური ყოფით ერთობ კმაყოფილია.

ვინჩენცო იაკუინტა

ტურინში ფიქრობენ, რომ დაცვის ხაზიც მოსაწესრიგებელია. ამ ფრონტზე ორი კანდიდატურაა გამოკვეთილი: ბრაზილიელი **ალექსი**, რომელიც "ეინდჰოვენში" ირიცხება, მაგრამ "ჩელსის" მფლობელობაშია, და "სარაგოსას" არგენტინელი მცველი **გაბრიელ მილიტო**. აქ სირთულე ისაა, რომ არაგონელები მილიტოში 18 მილიონ ევროს ითხოვენ. სულ ბოლო მომენტში გამოდის ხმები კიდევ ერთი ბრაზილიელით, "ლიონში" მოთამაშე **კრისით** დაინტერესების თაობაზეც. ამ შემთხვევაში, "იუვენტუსის" კონკურენტები თვით "მილანი" და "ინტერი" იქნებიან. როგორც ირკვევა, ტურინელები პრეტენზიას აცხადებდნენ "პორტუს" ნახევარმცველ **პეპეზეც** (ასევე ბრაზილიელი), მაგრამ ეს ტრანსფერი ვერ შედგება: ფეხბურთელი პორტუგალიურ პასპორტს მხოლოდ ერთი წლის შემდეგ მიიღებს, "იუვეს" კი არაევროკავშირელის აყვანა არ აწყობს.

გადავინაცვლოთ ნახევარდაცვაში. **ტორსტენ ფრინგსის** ტრანსფერის ჩაშლამ "იუვენტუსს" გული დასწყვიტა, მაგრამ არის სხვა ვარიანტებიც. ობიექტივშია "ლივერპულის" ორი საყრდენი შუახაზელი: მალელი **მოჰამედ სისოკო** და ესპანელი **ჩაბი ალონსო**. რაკი **რაფა ბენიტესს** უკვე ჰყავს **ხავიერ მასკერანო** და მალე "გრემიოდან" **ლუკას პეცინისაც** დაიმტკიცებს, შესაძლოა, სისოკო ან ალონსო მართლაც ვიხილოთ "იუვეში". ალტერნატივები აქაც არის: "ემპოლის" არგენტინელი ნახევარმცველი **სერხიო ალმირონი** და სლოვაკი **მარეკ ჰამსიკი** "ბრეშადან".

შტუტგარტი

წნეხის ქვეშ არ ვართო...

შვაბები შაბათამდე ჩვეულებრივები იქნებიან...

ჯერ კიდევ 4-5 თვის წინათ, "შტუტგარტის" ვარჯიშებს მხოლოდ რამდენიმე ათეული გულშემატკივარი ესწრებოდა, ჟურნალისტების დაინტერესებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. შარშანდელ სეზონში კი, ვარჯიშზე მაყურებლის გამოჩენას ვინღა ჩივის, გუნდს საშინაო მატჩებზე სტადიონის გავსებაც კი უჭირდა, რადგან VFB მაშინ, **ჯოვანი ტრაპატონის** ხელში, როგორც ფანები ამბობენ, ანტიფეხბურთს თამაშობდა. დღეს კი კარდინალურად განსხვავებული სიტუაციაა. მაგალითად, სამშაბათის ვარჯიშს 1000 ფანი დაესწრო, მედიისთვის განკუთვნილ ადგილზე კი ჟურნალისტების ტევა არ იყო. ცხადია, "შტუტგარტის" ვარჯიში იმიტომ გახდა ყველასთვის საინტერესო, რომ ამ გუნდს ჩემპიონობისთვის იდეალური შანსი აქვს. მიუხედავად ამისა, ფეხბურთელები სიმშვიდეს ინარჩუნებენ, რაც დასაფასებელია. შვაბთა ბანაკში ეიფორია არ შეიმჩნევა და გარეშე თვალი მხოლოდ იმას შენიშნავს, რომ გუნდი უბრალოდ, ჩინებულ განწყობაზეა.

მთავარმა მწვრთნელმა **არმინ ფეემ** შეგირდებს ხუთშაბათამდე ინტერვიუების ჩამორიგება და ჟურნალისტებთან ურთიერთობა აუკრძალა. გუნდის მენეჯერი **ჰორსტ ჰელდტი** ამას ასე ხსნის: *"ახლა მთავარია, რომ ივარჯიშონ და შაბათისთვის მოემზადონ. ფეხბურთელები ჟურნალისტებთან რომ მივუშვათ, ისეთ კითხვებზე მოუხდებათ პასუხის გაცემა, რომ ფეხბურთზე ვეღარ იფიქრებენ. არ გვინდა, რომ გარიყულები ვიყოთ, მაგრამ მთავარია, რომ დარჩენილი დღეების პროგრამა მშვიდად შევასრულოთ. ყველაზე მეტად სწორედ სიწყნარე გვჭირდება."*

"კოტბუსთან" მოგება და ყველაფერი ისე დამთავრდება, "შტუტგარტის" ფანები ყველაზე ლამაზ ზღაპარშიც რომ ვერ წარმოიდგენდნენ. შესაბამისად, დღითიდღე მატულობს წნეხიც. თუმცა ფეეს განსხვავებული აზრი აქვს: *"ბეწოლის ქვეშ არ ვართ! მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ ამ კვირამ მშვიდად ჩაიაროს. ეიფორიაში ჩავარდნის უფლება მხოლოდ მას მერე მოგვეცემა, როცა ჩემპიონობას გავინაღდებთ."*

ზინკივიჩი ლევერკუზენში

თეოფანის გეკასისა და **არტურო ვიდალის** შემდეგ, ლევერკუზენის "ბაიერნმა" მომავალი სეზონისთვის კიდევ ერთი ტრანსფერი სრულჰყო. "ფარმაცევტებმა" ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს "კიოლნის" ცენტრალურ მცველ **ლუკას ზინკივიჩს** და ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ეს ტრანსფერი 1.6 მილიონი ევრო უჯდებათ. 21 წლის ზინკივიჩმა ჯერ კიდევ სეზონის დასაწყისში განაცხადა, გაისად ელიტაში თამაში მინდაო და "თხების" ხელმძღვანელებს აგრძნობინა, რომ გუდს აუცილებლად დატოვებდა. ზინკივიჩს **იურგენ კლინსმანის** მწვრთნელობის დროს, გერმანიის ეროვნულ ნაკრებში 3 თამაში აქვს ჩატარებული (ბუნდესლიგაში 37).

ლუსიო ერთი თვე დაისვენებს

"ბაიერნის" ბრაზილიელმა მცველმა **ლუსიომ** გუშინ, მუხლზე ოპერაცია გაიკეთა, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ფეხბურთელი რეკორდმაისტერს ბუნდესლიგის ბოლო ტურში ვერ დაეხმარება. ლუსიო სრული დატვირთვით ვარჯიშის გაგრძელებას მხოლოდ ერთი თვის ან მაქსიმუმ თვენახევრის შემდეგ მოახერხებს, ანუ, ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებს "კოპა ამერიკაზე" ვერ დაეხმარება.

ინტერვიუ ფრანც ბეკენბაუერთან

ბაიერნს ახალი სისხლი სჭირდება

კაიზერი ჩემპიონთა ლიგის ფინალში მილანისა და კაკა გაბრწყინებას ვარაუდობს

გერმანული ფეხბურთის ლეგენდა - ფრანც ბეკენბაუერი ნებისმიერი ჟურნალისტისთვის სასურველი რესპონდენტია. მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან პიროვნებას, ნებისმიერ საკითხზე თავისი კომპეტენტური აზრი აქვს. ორი დღის წინათ, გერმანულ პრესაში გამოქვეყნდა კაიზერ ფრანცის მორიგი ინტერვიუ, სადაც ის ბევრ თემაზე საუბრობს - მათ შორის, ჩემპიონთა ლიგის მომავალ ფინალზე, "ბაიერნის" ამჟამინდელ კრიზისზე, გერმანიის ნაკრებზე, უეფასა და ფიფას პრეზიდენტების ურთიერთობებზე...



ფრანც ბეკენბაუერი

- ინტერვიუ მარტივი შეკითხვით უნდა დავიწყოთ: ვინ მოიგებს ჩემპიონთა ლიგას - "მილანი" თუ "ლივერპული"?

- ამ გუნდების 2005 წლის ფინალმა ნათლად დაგვანახა, რომ ჩემპიონთა ლიგის გადამწყვეტ მატჩში ყველაფერი შეიძლება მოხდეს...

- ვაფასებთ თქვენს დიპლომატიურობას, მაგრამ მაინც: "მილანი" თუ "ლივერპული"?

- "მილანს" გამარჯვების უფრო მეტი შანსი აქვს. ბუნებრივია, ორივე გუნდს უდიდესი მოტივაცია ექნება, მაგრამ მილანელებს ამ მხრივ უფრო უკეთესად აქვთ საქმე: მათ არ დავიწყებიათ სტამბოლის ფინალის დაუჯერებელი მარცხი. იტალიელები თავს მოიკლავენ რევანშის ასაღებად. "მილანს" ისეთივე განწყობა ექნება, როგორიც "მანჩესტერთან" განმეორებით შეხვედრაში ჰქონდა, როცა ანჩელოტის გუნდმა გადათელა მეტოქე. საკმარისია გავიხსენოთ კრისტიანო რონალდოს უმწეო მდგომარეობა: მას ვერ გაეგო, თუ რა ხდებოდა "სან სიროს" მინდორზე.

- თქვენ გგონიათ, რომ "მილანი" შეძლებს ასეთივე მაღალი დონის თამაშის ჩვენებას?

- ჯერ კიდევ "ბავარიისა" და "მილანის" მეოთხედფინალური დაპირისპირებისას ვთქვი, რომ იტალიელები ფინალში გავიდოდნენ. ევროსეზონის ბოლოს, "მილანმა" ისეთი ტემპი აკრიფა, რომ მისი შეჩერება ძალიან რთული იქნება. ბრწყინვალეა კლარენს ზეედორფი, რომელიც დაფრინავს მინდორზე, კაკა და პირლო შესანიშნავად გამოიყურებიან. აღარაფერს ვამბობ გატუზოზე - ასეთი მებრძოლები თანამედროვე ფეხბურთში თითზე ჩამოსათვლელნი არიან. "მილანი" გამობრძმედილი გუნდია, რომელშიც გამოცდილი ფეხბურთელები თამაშობენ. სამი ფინალი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში - ეს მილანელთა დამრიგებლის, კარლო ანჩელოტის მაღალ კვალიფიკაციაზეც მეტყველებს.

- მაგრამ, დამეთანხმებით, რომ "ლივერპულსაც" ღირსეული დამრიგებელი ჰყავს - რაფა ბენიტესი. და ალბათ, ინგლისური კლუბი არ გაიზიარებს თქვენს ნათქვამს იმის შესახებ, რომ "მილანი" უფრო იმსახურებს გამარჯვებას...

- მე არ მითქვამს, რომ "მილანი" უფრო მეტად არის გამარჯვების ღირსი. სანამ ეს ფინალი არ ჩატარებულა, არ შეიძლება იმაზე საუბარი, ვინ უფრო იმსახურებს გამარჯვებას. უბრალოდ, ფინალის წინ, მე ვხედავ, რომ "მილანს" მცირედი უპირატესობა აქვს. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ "ლივერპულის" ძალას არ ვაფასებ. ისიც ძალიან მაღალი კლასის გუნდია, ხოლო მისმა განმეორებითმა მატჩმა "ჩელსისთან", ისევე მომხიბლა, როგორც "მილანისა" და "მანჩესტერის" დაპირისპირებამ. მაგრამ, თუ იტალიურმა კლუბმა "მანჩესტერთან" საფეხბურთო სპექტაკლი დადგა, "ლივერპულმა" ისეთი ომი გაუმართა "ჩელსის", რომ ფეხბურთელთა თვალებიდან ცეცხლი იფრქვეოდა. ვაღიარებ, ძალიან მაოცებს სეზონის ბოლოს ინგლისური კლუბების ფიზიკური მომზადება. ჩემს დროს, ინგლისელებს ამასთან დაკავშირებით დიდი პრობლემები ჰქონდათ. ახლა კი, ფეხბურთელები არათუ 90, არამედ 120 წუთი არ ჩერდებიან. გაგიჟება შეიძლება! რაც შეეხება ბენიტესის გუნდს, ის ფინალში კანონზომიერად გავიდა. ორი წლის წინათ, სტამბოლის მატჩის მსგავსად ამჯერადაც უნაკლოდ შესრულებული პენალტები, "მილანს" ერთ მინიშნებას აძლევს - ამ გუნდმა 11-მეტრიანების სერიამდე არ უნდა მიიყვანოს საქმე.

- თქვენ ფეხბურთით ცხოვრობთ, კარგად ერკვევით დღევანდელ სიტუაციაში, იცნობთ წამყვანი ევროპული კლუბების ვარსკვლავებს... ამ სეზონში რომელ მათგანს მიანიჭებდით უპირატესობას?

- რა თქმა უნდა, ჩემი ფავორტია მილანელი კაკა. მიშელ პლატინიმ ამასწინათ განაცხადა, რომ თამაშის მანერითა და ეფექტურობით, ბრაზილიელი თავად პლატინისა და კრუიფის ერთგვარ ნაზავს წარმოადგენს. ალბათ, მიშელი მართალია. "მანჩესტერი" მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი კლუბია, მაგრამ შეხედეთ, როგორ ითამაშა კაკამ ამ გუნდის წინააღმდეგ! თანაც, ნუ დაგავინყდებათ, რომ ის წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო ბომბარდირია. არადა, ის ამპლუით ფორვარდი არ არის.

- "ბაიერნის" ცოცხალ ლეგენდას, არ შეიძლება არ შეგეკითხოთ: რა დაემართა თქვენს კლუბს მიმდინარე სეზონში? ეს კლუბი პირველად, ბოლო ნლების განმავლობაში, მონაწილეობას ვერ მიიღებს ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში.

- ნებისმიერ კლუბს შეიძლება ჰქონდეს ჩავარდნა. ეს ტრაგედია არ არის. უბრალოდ, წარუმატებლობისგან სწორი დასკვნები უნდა გავაკეთოთ. დღევანდელ "ბავარიას" ახალი სისხლი სჭირდება. მის შემადგენობაში რამდენიმე ისეთი ფეხბურთელია, რომლებიც აუცილებლად უნდა წავიდნენ. კონკრეტულ გვარებს არ დავასახელებ, რადგან შემადგენლობის დაკომპლექტების პრეროგატივა მთავარ მწვრთნელსა და სპორტულ დირექტორს აქვთ. მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ ბუნდესლიგის ერთ-ერთი ბოლო ტურის დროს, იმდენად აღვშფოთდი ზოგიერთი ფეხბურთელის უემოციო თამაშის გამო, რომ თავი ვერ შევიკავე და პრეტენზიები ხმამაღლა გამოვთქვი. მიმაჩნია, რომ ისეთ დიდ კლუბში, როგორიც "ბაიერნია", არ უნდა იყვნენ ფეხბურთელები, რომლებიც საქმეს სერიოზულად არ ეკიდებიან.

- "ბავარიის" გარშემო უამრავი სატრანსფერო ჭორი ვრცელდება. მაგალითად, იტალიაში დარწმუნებულნი არიან, რომ ამ გუნდის რიგებს "ფიორენტინადან" ლუკა ტონი შეავსებს. შეგიძლიათ დაადასტუროთ "ბაიერნის" ინტერესი ამ ფორვარდის მიმართ?

- რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ლუკა ტონი მართლაც შედის "ბავარიის" სატრანსფერო ინტერესთა სფეროში. და ეს არ მიკვირს, რადგან საქმე ეხება მაღალანაზღაურებად ფორვარდს. ტონი - გუნდის გაძლიერების საინტერესო ვარიანტია. ისე, სჯობს ეს კითხვა მთავარ მწვრთნელსა და სპორტულ დირექტორს დაუსვათ: ყველა გარიგება მათ კომპეტენციაში შედის.

- "ბაიერნი" საჩემპიონო რბოლას გამოეთიშა, მაგრამ ბუნდესლიგაში, ბოლო მომენტამდე პირველი ადგილისთვის სამი გუნდი იბრძოდა. ეს ფაქტი, სავარაუდოდ, გერმანული ჩემპიონატის დონის ამაღლებაზე მეტყველებს. მაშინ, რატომ უჭირთ გერმანულ კლუბებს ჩემპიონთა ლიგაზე წარმატებების მიღწევა?

- ალბათ იმიტომ, რომ სამწუხაროდ, ინგლისის, ესპანეთის ან იტალიის ჩემპიონატების დონე ჩვენსაზე მაღალია. იქ უფრო კაშკაშა ვარსკვლავები თამაშობენ, მათ შორის გერმანელებიც, თუ გავიხსენებთ ინგლისში გადაბარგებულ მიხაელ ბალაკს. გერმანული კლუბების კრიზისის ფონზე, გასულ წელს ეროვნულმა ნაკრებმა გაგვახარა. მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში გასვლა, თუნდაც მაყურებელთა უდიდესი მხარდაჭერით, წარმატებად უნდა ჩაითვალოს, რადგან დღევანდელ თაობაში არ არიან ისეთი ვარსკვლავები, რომელთა წყალობითაც, ადრე გერმანია მსოფლიო ფეხბურთის ფლაგმანად ითვლებოდა.

- ცოტა ხნის წინათ, ფიფას პრეზიდენტის - იოზეფ ბლატერის საბჭოში შეგიყვანეს. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ფიფას მომავალ პრეზიდენტს ვესაუბრებით? ჩინოვნიკთა შესანიშნავ დუეტს მივიღებთ: უეფას პრეზიდენტი მიშელ პლატინი - ფიფას პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი.

- მე ფიფას პრეზიდენტი? გულახდილად გეტყვით, რომ დღეს ამაზე არ ვფიქრობ. ჯერ ერთი, ბლატერი ახლახანს აირჩიეს კიდევ ოთხი წლით და ამ შესანიშნავ ხელმძღვანელს ენერგია და იდეები მრავლად აქვს. გარდა ამისა, მთელი ამ წლების განმავლობაში, მუდმივი ფრენითა და მსოფლიოს გარშემო მოგზაურობით ისე გადავიღალე, რომ მინდა, რაც შეიძლება მეტი დრო გავატარო ოჯახთან ერთად, მით უმეტეს, რომ ექვსი და სამი წლის შვილები მყავს. უახლოეს ხანებში ბლატერს შევხვდები და ის მომიყვება, თუ რა როლი დამეკისრება მის გარემოცვაში.

- უეფას პრეზიდენტის არჩევნებში პლატინის გამარჯვებას როგორ აფასებთ?

- უპირველეს ყოვლისა, დიდი პატივისცემით უნდა მოვიხსენიო აწ უკვე ყოფილი პრეზიდენტი - ლენარტ იუჰანსონი. მან კარგი მემკვიდრეობა დატოვა, მათ შორის, ჩემპიონთა ლიგის შესანიშნავი პროექტი: შეხედეთ, რამხელა ინტერესია ევროპაში ამ ტურნირის მიმართ. ავიღოთ თუნდაც, არანორმალური აჟიოტაჟი "მილანისა" და "მანჩესტერის" ამასწინანდელი მატჩებისადმი. ცნობილია, რომ პლატინის გარკვეული ნოვაციები აქვს ჩაფიქრებული, რომელიც მთელს ევროპულ ფეხბურთს წაადგება. მიშელის ერთ-ერთი დადებითი მხარე ხომ ის არის, რომ ის დაწვრილებით იცნობს ევროპული ფეხბურთის შიდა სამზარეულოს. გარდა ამისა, კარგი ურთიერთობა აქვს ბლატერთან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უეფასა და ფიფას შორის სრული იდილია იქნება.

- გერმანიის მსოფლიო ჩემპიონატი, რომლის ორგანიზებაში თქვენ უდიდესი წვლილი შეიტანეთ, უმაღლეს დონეზე ჩატარდა. რა უფრო რთულია: ასეთი ტურნირის მოწყობა, მოთამაშის რანგში მსოფლიო ჩემპიონობა თუ მწვრთნელის როლში მუნდიალზე პირველობა? თქვენ ერთიც შეძელით, მეორეც და მესამეც...

- გლობალური შეკითხვაა... ცხოვრებაში მართლაც ძალიან გამიმართლა. ფეხბურთელობისას მოვიგე მსოფლიო ჩემპიონატი, რაც უდიდესი გამართლებაა. ბევრ დიდ ფეხბურთელს არ მიუღწევია ამ მიზნისთვის. შემდეგ, პლანეტის პირველობაზე მწვრთნელის რანგში გავიმარჯვე - ეს კიდევ უფრო დიდი სიამოვნებაა, რადგან არა საკუთარ თავზე, არამედ მთლიანად გუნდზე აგებ პასუხს. მაგრამ, ყველაზე მეტი ბედნიერება - საკუთარ სახლში ჩემპიონატის ორგანიზებაა, რადგან ამ შემთხვევაში, არა საკუთარ თავზე, არა გუნდზე, არამედ მთლიანად ქვეყნის პრეტიუზე ხარ პასუხისმგებელი. თანაც, ეს უნიკალური შანსი იყო, რადგან ჩემს ქვეყანას 30-40 წელიწადის განმავლობაში აღარ მისცემენ ჩემპიონატის მასპინძლობის უფლებას. ვფიქრობ, ყველაფერი ბრწყინვალედ იყო ორგანიზებული. ყველა, ვინც ზაფხულში გერმანიაში იმყოფებოდა, იმ პერიოდს დღემდე დიდი სიამოვნებით იხსენებს.

- რაში გამოიხატება გერმანელების, როგორც მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორების მთავარი მიღწევა?

- ახლა თავში ამომიტივტივდა 1954 წლის მსოფლიო ჩემპიონატი. მართალია, ის შვეიცარიაში ჩატარდა, მაგრამ გამარჯვებას გერმანიამ მიაღწია. ეს იყო ომის შემდეგ პირველი მსოფლიო ჩემპიონატი ევროპის ტერიტორიაზე. ომმა გერმანიასა და მის უბრალო ხალხს დიდი უბედურება და პრობლემები მოუტანა. და პირველობაზე გამარჯვება მთელი ერისთვის ნამდვილი აღორძინების სიგნალი იყო. ალბათ, ეს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი სპორტული გამარჯვებაა.

2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის გამართვას შვეიცარიაში მოპოვებული ოქროს მედლის შემდეგ ვაყენებ. გასულ წელს, ჩვენ ზეიმი მოვაწყვეთ არა მარტო მთელი მსოფლიოს გულშემატკივრებისთვის, არამედ საკუთარი თავისთვისაც. ტურნირის ორგანიზებისას, გერმანელებმა თავიანთი ერთიანობა დაგვანახეს - მათ შეუძლიათ ამით იამაყონ. თანაც, ბუნდესნაკრებმაც არ დაგვაღალატა, რომელიც ნახევარფინალამდე მივიდა, სადაც მომავალ მსოფლიო ჩემპიონთან - იტალიასთან დამარცხდა. მიმაჩნია, რომ იმ ჩემპიონატზე იტალიელებისთვის, სწორედ გერმანიასთან მატჩი იყო საუკეთესო.

- სამხრეთ აფრიკა 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის სათანადო დონეზე მასპინძლობას თუ შეძლებს?

- რატომაც არა! მე ვიცნობ ადამიანებს იქაური საორგანიზაციო კომიტეტიდან. დამიჯერეთ, ისინი ძალიან კომპეტენტური სპეციალისტები არიან. თანაც ჩვენ - გერმანიის მუნდიალის ორგანიზატორები, მზად ვართ მათ ყველანაირი დახმარება გავუწიოთ. ვაღიარებ, რომ აფრიკის კონტინენტის მიმართ განსაკუთრებული გრძნობები მაქვს. აქ, ევროპაში, ხშირად ვერ ვაცნობიერებთ, თუ როგორ უჭირთ იქაურ ქვეყნებში ადამიანებს. მათთვის 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატი უდიდესი ზეიმი იქნება. ასე რომ, დიდი ცოდვა იქნება, თუ სამხრეთ აფრიკას არ დავეხმარებით.

მოსალოდნელი ტრანსფერები

ბეკენბაუერმა 100 მილიონი გაამზადა

ორშაბათს "ბაიერნის" ბოსები მაგიდას შემოუსხდნენ და გუნდის მომავალზე იმსჯელეს. მხოლოდ უეფას თასის საგზურის მოპოვება ხელმძღვანელების მხრიდან კატასტროფადაა შეფასებული. ცნობილია, რომ გენერალურმა მენეჯერმა ული ჰოინესმა და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე კარლ-ჰაინც რუმენიგემ პრეზიდენტ ფრანც ბეკენბაუერს იმ ფეხბურთელების სია წარუდგინეს, რომელთა ყიდვასაც ზაფხულის სატრანსფერო ბაზარზე გეგმავენ. როგორც მოსალოდნელი იყო, კაიზერ-ფრანცმა მათ მწვანე აუნთო - ოღონდ მაღალი კლასის ფეხბურთელები შეიძინეთ და ფული პრობლემა არ იქნებაო. ეს არავის გაჰკვირვებია, რადგან ბეკენბაუერი პირველი იყო, ვინც თქვა, ჯიბეზე ხელი გვარიანად უნდა გავიკრათო. ერთი ეგაა, რომ სასურველი ფეხბურთელების გვარები ოფიციალურად არავის გაუცხადებია. თუმცა ისედაც ყველამ ყველაფერი იცის.

"ეს ზუსტად ის გ ზაა, რომელსაც აუცილებლად უნდა დავადგეთ. გუნდს გაძლიერება სჭირდება, ეს ცხადზე უცხადესია. "ბაიერნმა" გაისად არა მხოლოდ გერმანიაში, არამედ ევროპაშიც უნდა დაიკუხოს და რაც მთავარია, სასწრაფოდ უნდა დაბრუნდეს ჩემპიონთა ლიგაში. სამეთვალყურეო საბჭოს მიერ წარმოდგენილი ფეხბურთელები "ბაიერნის" კრიტერიუმებს სრულად აკმაყოფილებენ. ჰოინესი და რუმენიგე კარგად მუშაობენ და იმედია, ყველაფერი გამოუვათ," - განაცხადა ბეკენბაუერმა სხდომის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე და იქვე დაამატა, ერთი ეგ არის, რომ საბოლოო მოქმედება ჯერ შეუძლებელია, სეზონის დამთავრებას უნდა დაველოდოთო.

როგორც იცით, გადაწყვეტილი და ოფიციალურად დადასტურებული ჯერ მხოლოდ 3 ტრანსფერია: ჰამით ალთინთოფი (შალკე), იან შლაუდრაფი (ალემანია) და ხოსე ერნესტო სოსა (ესტუდიანტესი). ამასთან, გაჩარხულად ითვლება ლუკა ტონის ტრანსფერიც, რომელიც ბავარიელებს 20 მილიონი ევრო უჯდებათ. მიუხედავად იმისა, რომ მიროსლავ კლოზემ თქვა, არსად არ წავალ და "ვერდერში" კიდევ ერთ სეზონს გავატარებო, მაინც ვრცელდება ინფორმაციები, რომ შესაძლოა, მირო "ბაიერნში" ახლავე გადავიდეს. რეკორდმაისტერის სასურველ მოთამაშეთა სიაშია არიენ რობენიც, თუმცა ირკვევა, რომ "ჩელსის" ამ უკანასკნელის დათმობა არ სურს.

ფაქტი ის გახლავთ, რომ ბავარიელები ზაფხულის სატრანსფერო ბაზარზე დაახლოებით 100 მილიონი ევროს დახარჯვას აპირებენ. *"ეს ნამდვილად არ იქნება იაფი სიამოვნება. კარგი ფეხბურთელები ხომ ძალიან ძვირად ფასობენ,"* - განმარტავს ბეკენბაუერი. ამასთან, ჰოინესმა დაბეჯითებით თქვა, 2008 წელს გერმანიის ჩემპიონი "ბაიერნი" გახდება და ამას წყალი არ გაუვაო. ბეკენბაუერმა კი ფრთხილად დასძინა, თუ ყველა გეგმა განხორციელდა, რეალურია, რომ გაისად ისევ "ვერცხლის სინისთვის" ვიბრძოლოთო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფულის დახარჯვის იდეით აღფრთოვანებულია "ბაიერნის" ოფიციალური სპონსორის, "ადიდასის" შეფი ჰერბერტ ჰაინერიც, რომელიც სააქციო საზოგადოება "ბაიერნის" აქციათა 10 პროცენტს ფლობს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯილეთბურთი

გაჭრილი ვაშლი

ფინალი. 3 მოგებამდე

16 მაისი. რუსთავი

აზოტი-ავიამშენი 86:75

26:26, 18:19, 23:10, 19:20

აზოტი	ქ	მ	პ	ჩ	დ	შ
გამცრელიძე	13	4	6	0	0	1
ბეძანიშვილი	15	5	3	0	1	0
გოისა	5	5	1	0	0	1
ტულუში	18	4	3	1	0	2
უგრეხელიძე	18	15	0	0	0	1
დიდია	5	3	1	0	0	0
მარკოიშვილი	7	4	0	1	0	0
გოგოგერიშვილი	3	1	0	1	1	2
ტუხანი	2	4	1	1	0	0
მალოშევიჩი	0	1	2	1	0	5

ავიამშენი	ქ	მ	პ	ჩ	დ	შ
ი. ბერიშვილი	11	1	2	1	0	1
ხოშტარია	11	5	5	0	0	2
ბარბაძაძე	8	1	3	3	0	1
სუხიშვილი	8	3	2	0	1	0
ბაბიაშვილი	12	8	2	1	0	4
დ. ბერიშვილი	5	1	2	1	0	0
ნიკოლაძე	7	1	1	0	0	1
კეიდია	0	3	0	0	0	3
როფუმტა	13	7	1	0	1	2
კვიმსაძე	0	0	0	0	0	0

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი, დ. არეშიძე

სერიას იგებს აზოტი - 2:0

აზოტის ლიდერი კოტე ტულუში ავიატორთა გარემოცვაში

ფინალური სერიის მეორე მატჩი პირველს გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა.

დავიწყოთ იქიდან, რომ პირველი ტაიმი ორივე შემთხვევაში ერთნაირი სცენარით წარიმართა: მასპინძლები შეაკოწიწებდნენ 2-3-ქულიან უპირატესობას და სტუმრები შორეული ტყორცნით ანგარიშს აყაიმებდნენ, ხან პირიქით ხდებოდა. საწყის 20 წუთში გუნდებმა 5-5 სამქულიანი ჩააგდეს და როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი შესვენების წინ ტაბლოზე უმნიშვნელო სხვაობა ციმციმებდა - 45:44 - "ავიამშენის" სასარგებლოდ. ვინც გუშინდელი მატჩის მიმოხილვა წაიკითხა, ეხსომება, რომ მაშინაც, პირველ ტაიმში ავიატორების ანგარიშზე 5 სამქულიანი იყო. ხოლო მეორე ნახევარში ერთი შორეული ტყორცნაც ვერ გამოიყენეს.

...ისევე როგორც გუშინდელ შეხვედრაში.

"დიდი შესვენებიდან დაბრუნების შემდეგ კალათისკენ მიმავალი გზა უფრო და უფრო მიუვალი ხდებოდა. ამიტომ გუნდებმა პერიმეტრიდან ტყორცნებს მოუხშირეს, რაც შესანიშნავად გამოსდიოდათ აზოტელებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მატჩის ბედი მესამე პერიოდის ბოლოს სწორედ სამქულიანებმა გადაწყვიტეს"... - ეს სიტყვები სერიის პირველი მატჩის მიმოხილვიდანაა და მეორე შეხვედრას კარგად შეესატყვისება. "აზოტის" გამთამაშებელი **კოტე ტულუში** მესამე პერიოდში ბოლომდე გაიხსნა, ერთმანეთს სამი სამქულიანი მიაყოლა და მასპინძელთა ფორმა 3 ქულიდან 12 ქულამდე გაზარდა. ბოლო პერიოდის წინ ქვემოქართლელები 67:55 დაწინაურდნენ და ზედიზედ მეორე მატჩის მოგებაზე სერიოზული განაცხადი გააკეთეს.

ბოლო მეოთხედში, ისევე, როგორც გუშინწინ "ავიამშენმა" ბევრი იბრძოლა, თუმცა მხოლოდ ერთქულიანი სხვაობით მოიგო. ...და უმთავრესი მსგავსება - "ავიამშენმა" მეორე მატჩშიც 75 ქულა ჩააგდო, ხოლო "აზოტმა" პირველ შეხვედრასთან შედარებით ერთით მეტი - 86.

"ავიატორებს" მეორე ტაიმში პერიმეტრიდან ბევრი ვერაფერი რომ ვერ გამოუვიდათ, უკვე მოგახსენეთ. ის კი არ გვითქვამს, რომ მასპინძლებს ვერც ფარქვეშ აჯობეს, მოხსნებში "აზოტს" დიდი სხვაობით ჩამორჩნენ 32:49 ("ავიას" წინა მატჩშიც 32 მოხსნა ჰქონდა.

49-დან 15 მოხსნა დავით უგრეხელიძემ ჩაიწერა. დათო კოტე ტულუშთან ერთად მატჩის სნაიპერი გახდა - ორივემ 18-18 ქულა მიითვალეს.

"ავიამშენის" რიგებში კი შეტევაში ყველას კამერუნელმა **პლასიდე როდუმტამ** აჯობა - 13 ქულა ჩაიწერა. მისი და ბაბიაშვილის მაგალითზე ნათლად ჩანს, როგორ გაუჭირდათ სტუმრებს მასპინძელთა კალათისთვის გასაღების მორგება - როდუმტამ 14-დან 5 საჯარიმო ააცილა და ორი ორქულიანი გამოიყენა. "ავიას" სნაიპერმა **ზვიად ბაბიაშვილმა** კი სამივე საჯარიმო და ორივე სამქულიანი ააცილა, ხოლო 12-დან მხოლოდ 6 ორიანი ჩააგდო.

საფინალო სირენის შემდეგ სტუმრები უკმაყოფილებას ხმამაღლა გამოხატავდნენ - ხუთი კაცი რვას როგორ ვაჯობებდითო. აქვე განვმარტავთ - "ხუთ კაცში" ავიატორები იგულისხმებიან, ხოლო "რვაში" - ხუთი "აზოტელი" და სამიც მსაჯი. სტუმართა აზრით, არბიტრები ქვემოქართლელებს ეხმარნენ...

ჩვენი მხრიდან მსაჯებზე საუბრისგან თავს შევიკავებთ, თუმცა **ზაზა მაჩალაძესთან** დაკავშირებით ერთ საინტერესო ფაქტს მაინც გავიხსენებთ: მატჩის გახურებასთან ერთად დარბაზშიც ჩამოცხა და მთავარმა არბიტრმა წუთშესვენებით ისარგებლა, დერეფანში გამავალი კარი ჩამოხსნა და გვერდზე მიაყუდა. მაჩალაძის მოქმედებამ რუსთაველ ქომაგებს ტაში და ოვაცია დასტყუა.

მეორე მსაჯმა, **დავით ბერეკაშვილმა** კი სერბი **ბოიან მალოშევიჩი** გააორგნა: ერთ-ერთ ეპიზოდში ლეგიონერმა არბიტრს ანიშნა - იატაკი სველია და ხელჯოხით მოვწმინდოთო. დათომ ანიშნა, ფეხი გაუსვიო. სწორედ ამან გააკვირვა მალოშევიჩი. არადა, უცხოელმა რა იცის, საქართველოში მოედნის მოსაწმენდად რომ არც ხელჯოხებს ხმარობენ და ზოგჯერ ჭერიდან ჩამოსული წყლის შესაშრობად შუა მოედანზე დიდი ჩვარი აფენია...

ფინალური სერიის მესამე მატჩი ხვალ, 18 მაისს ვერის ბაღის დარბაზში 16 საათზე დაიწყება. ვნახოთ, შუაზე გახლეჩილ ვაშლს "აზოტი" მესამე ჩაკბეჩაზევე შეჭამს თუ...

ვაჟა სიმონიშვილი

III ადგილისთვის. 2 მოგებამდე

16 მაისი. თბილისი

თსუ-დინამო 94:92 ო.ტ.

25:22, 11:16, 19:21, 24:20, 15:13

დინამო	ქ	მ	პ	ჩ	დ	შ
გულისაგედაშვილი	17	6	7	2	0	1
ბადრიძე	6	2	5	4	0	3
ლაფანაშვილი	23	11	3	1	1	3
ნოზაძე	15	5	0	2	0	4
სიგუა	0	0	0	1	0	0
კოლუაშვილი	15	4	2	1	0	1
გვიმრაძე	18	5	2	1	0	2
ფაიძრიძე	0	1	0	0	0	1

თსუ	ქ	მ	პ	ჩ	დ	შ
არწივიძე	0	0	1	0	0	0
გ. ბერიშვილი	6	1	1	1	0	3
ფანჩულიძე	0	0	0	0	0	1
ლეჟავა	11	3	0	1	0	3
მარხვაშვილი	13	0	1	1	0	1
ვეფხვაძე	0	0	0	2	0	1
შანიძე	14	10	1	0	0	1
გათიაშვილი	2	6	0	0	0	0
ხეცურიანი	29	9	4	2	0	2
ივნაძე	9	5	2	1	0	2
მ. ბერიშვილი	5	5	0	1	1	3

მსაჯები: მ. კუპატაძე, ხ. გაბედავა

სერიაში ანგარიშია - 1:1

გათანაბრდა

მესამე ადგილისთვის პირველი მატჩი თსუ-მ იმდენად დამაჯერებელი ანგარიშით მოიგო, რომ ბევრს ეგონა, სერია მეორე შეხვედრაშივე დასრულდებოდა. მაგრამ "დინამოს" მწვრთნელმა გუნდის სათანადოდ მობილიზება მოახერხა და დიღმელებმა თსუ-სთან სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარეს.

მოდით, თამაშის განხილვა ორ ნაწილად გავყოთ - პირველში 39 წუთი ჩავტიოთ, მეორეში დანარჩენი 6 წუთი.

შეხვედრის ოთხივე პერიოდმა თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა. ანგარიში აიწონა-დაიწონას პრინციპით მერყეობდა. იყო მომენტი, როცა თსუ-მ 10-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ ლიდერის, **ლექსო ლაფანაშვილის** შემწეობით დინამოელებმა მალევე მოახერხეს დაწევა და...

...და 39-ე წუთი რომ მიილია, ტაბლოზე 77:77 ეწერა. ძირითადი დროის ბოლო წუთზე სულ 4 ქულა ჩავარდა. ლაფანაშვილმა დრიბლინგი ფარქვეშ შეჭრითა და ზუსტი ორქულიანით დააგვირგვინა. თსუ-ს შეტევისთვის 4 წამიღა რჩებოდა, ბურთი სტუდენტებმა თამაშში სწრაფად შეიყვანეს და მათმა კაპიტანმა **შიო ხეცურიანმა** ახლო დისტანციიდან სტყორცნა. ბურთი კალათს ასცდა, თუმცა იქვე მდგომმა **ლუკა შანიძემ** იგი ბადეში მოათავსა - 79:79. ამასობაში საფინალო სირენამაც ჩამოჰკრა და "დინამოელებს" ისეთი შთაბეჭდილება დარჩათ, რომ მანამ დასრულდა, ვიდრე ლუკა შანიძე ბურთს შეეხებოდა. მწვრთნელი **ზაზა ცაგარეიშვილი** თსუ-ს ბოლო ორ ქულას დიდხანს აპროტესტებდა, მაგრამ კომისარმა მსაჯების ნათქვამი არ გადათქვა - ორქულიანი ითვლება, ანგარიში საყაიმოაო.

მატჩის სცენარი არც ოვერტაიმში შეცვლილა - ბურთები ერთი-მეორის მიყოლებით ორივე კალათში ცვიოდა. ანგარიშში სხვაობა კი 2 ქულას არ სცილდებოდა. თუმცა, ბოლოს თსუ-მ ერთი შეტევა გააცუდა და დინამო 91:86 დაწინაურდა. დარჩენილ 2 წუთში სტუდენტთა კაპიტანი შიო ხეცურიანი გააქტიურდა, ერთმანეთს 5 ქულა მიაყოლა და სირენამდე 24 წამით ადრე ჩამორჩენა 1 ქულამდე დაიყვანა (90:91). სწორედ ამ დროს დინამოელმა **ლექსო ლაფანაშვილმა** კიდევ ერთხელ გამოავლინა ნერვების სიმტკიცე, ორი საჯარიმო ზუსტად შეასრულა და სერიაში ანგარიში გაათანაბრა - 1:1.

ლექსომ შეხვედრა 23 ქულით, 11 მოხსნით, 3 პასითა და თითო ჩაჭრა-დაფარებით დაასრულა.

თსუ-"დინამოს" მესამე გადამწყვეტი (სერია ორ მოგებამდეა) მატჩი 18 მაისს 14 საათზე დაიწყება.

ვაჟა სიმონიშვილი

ჩოგბურთი

ოქსანა ისევ გოგონებში

იტალიაში მიმდინარეობს ჩიტა დი სანტა გროსეს 29-ე საჩოგბურთო ტურნირი, რომელიც 18-წლამდელთა მსოფლიო ასპარეზზე პირველი კატეგორიის ტურნირია. ამ შეჯიბრებაში სამმა ქართველმა ჩოგბურთელმა მიიღო მონაწილეობა. ვაჟთა შორის 16 წლის **ლაზარე კუხალაშვილი** გამოდიოდა, გოგონებში კი მისი თანატოლი **ოქსანა კალაშნიკოვა** და 15 წლის **ეკა გორგოძე**. ახალი რეიტინგით ლაზარე მსოფლიოს 51-ე ჩოგანია ახალგაზრდებს შორის, მან სამი საფეხურით წინ წაიწია, თუმცა კარიერის საუკეთესო შედეგამდე (36-ე ჩოგანი) ბევრი უკლია. ერთეულთა თანრიგში კუხალაშვილი არ განუთესავთ. გოგონებში მე-6 ნომრად განთესეს ოქსანა კალაშნიკოვა, რომელსაც ლუქსემბურგის ღია პირველობის მერე (მარტში), სადაც ფინალში გააღწია, ახალგაზრდულ ასპარეზზე არ უთამაშია. ეკა გორგოძე 16-წლამდელ ჩოგბურთელთა შორის ევროპის პირველი ჩოგანია, გორგოძე უკვე 18-წლამდელთა ასპარეზზე ცდის ბედს. ჩიტა დი სანტა გროსეს ტურნირზე მას "უაილდ ქარდი" მისცეს.

ლაზარე კუხალაშვილი პირველ წრეში იტალიელ დანიელე პილუდუს შეხვდა და მოულოდნელად დამარცხდა - 2:6, 3:6. გოგონებში ოქსანა კალაშნიკოვა პირველი წრისგან თავისუფალი იყო, ეკა გორგოძემ კი რუსი **მარტა სიროტკინა** დაამარცხა - 6:1, 7:5. მეორე წრეში ეკა გორგოძის მეტოქე მე-2 ნომრად განთესილი ამერიკელი **რეკა ჟილინსკა** იყო, მსოფლიოს მე-18 ჩოგანი და გორგოძეზე სამი წლით უფროსი. ეკას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მეტოქეს დიდი წინააღმდეგობა გაუწია - 6:7, 4:6. ოქსანა კალაშნიკოვა რუსეთის სახელით მოასპარეზე **ნანული ფიფიას** შეხვდა და 6:4, 7:5 მოუგო. აღსანიშნავია, რომ წარმოშობით ქართველი ფიფია ნიჭიერი ჩოგბურთელი ჩანს, ის მხოლოდ 15 წლისაა და 18-წლამდელთა რეიტინგში 144-ე პოზიციაზეა. მერვედფინალში კალაშნიკოვა არგენტინელ **ტატიანა ბუას** ხვდება, რომელიც ტურნირზე მეათე ნომრად არის განთესილი.

ნიკოლოზ ნეფარიძე

მძლეოსნობა

ერთი თვე ერთ საათად

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე დასრულდა ახალგაზრდა მძლეოსანთა ტურნირი. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 17 ქალაქის გუნდი: თბილისი, ქობულეთი, ზუგდიდი, ფოთი, ახმეტა, ჩხოროწყუ, მარტვილი, ასპინძა, თიანეთი, გარდაბანი, გორი, ქუთაისი, ახალციხე, ჭიათურა, ვანი, ბორჯომი და წყალტუბო. საერთო ჯამში, ეროვნული სტადიონის მძლეოსნურ სექციაში 250-მდე სპორტსმენმა მოსინჯა ძალა.

შეჯიბრების დასასრულს, საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა **თამაზ მდინარაძემ** ტურნირით კმაყოფილება გამოთქვა.

- მოხარული ვარ, რომ ამდენი ქალაქის სპორტსმენები ჩამოვიდნენ. მძლეოსნობას დედაქალაქშიც უჭირს და რეგიონებში განსაკუთრებით. მიუხედავად ამისა, სხვადასხვა ქალაქებსა თუ სოფლებში მწვრთნელები მაინც ახერხებენ მძლეოსანთა მომზადებასა და შეჯიბრებებზე სიარულს.

მინდა, თქვენი გაზეთის საშუალებით, მადლობა გადავუხადო ეროვნული სტადიონის ხელმძღვანელებს – გოჩა ძასოხოვსა და ირაკლი მეძმარიაშვილს. მათ მოგვცეს იმის საშუალება, რომ წამყვანი მძლეოსნები ამ უნიკალურ სტადიონზე ფაქტობრივად, უსასყიდლოდ ვავარჯიშოთ. მხოლოდ სიმბოლურ თანხას ვიხდით – თვეში 100 ლარს. არადა, ეს თანხა ეროვნულ სტადიონზე მხოლოდ ერთი საათით სავარჯიშოდაა საკმარისი.

რაც შეეხება ჩვენი ახალი მანეჟის საქმეს, ამ საკითხზე აქტიურად ვმუშაობთ. ინვესტორებმა გვანახეს რამდენიმე ადგილი, სადაც ახალი მანეჟის აშენებაა შესაძლებელი. თითოეულ ვარიანტს კარგად ავწონ-დავწონით და მალე საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებთ.

კობა ხატისაშვილი

გოგონები

100 მეტრი

სოფიო გაფრინდაშვილი (თბილისი)	12,7
სოფო მაჭავარიანი (თბილისი)	12,8
ხატია თოდუა (ზუგდიდი)	13,3
მაია გოგოლაძე (თბილისი)	26,7
სოფიო გაფრინდაშვილი (თბილისი)	27,0
თეა ფაცურია (ფოთი)	28,2

400 მეტრი

გაიანე უსტიანი (ახალციხე)	58,8
ირინა ლოზოვაია (გორი)	1,00,01
გელა გალიშვილი (გარტვილი)	1,02,01

800 მეტრი

გაიანე უსტიანი (ახალციხე)	2,25,9
სოფიო ჩილიგარიშვილი (ახალციხე)	2,28,4
ნინო გველესიანი (ჭიათურა)	2,29,4

1500 მეტრი

ნათია გელაშვილი (გორჯომი)	4,54,9
თინათინ პაკუაშვილი (გორჯომი)	5,05,3
მაკა შარაშენიძე (ვანი)	5,15,7

3000 მეტრი

ნათია გელაშვილი (გორჯომი)	10,50,9
სოფიო ჩოჩნიძე (გორჯომი)	11,35,1
ნინო გველესიანი (ჭიათურა)	11,44,0

თარეშრგენი. 100 მ

მაია გოგოლაძე (თბილისი)	15,5
ლიკა დვალიშვილი (თბილისი)	16,0
რიტა ფუტურიძე (ქუთაისი)	16,8

თარეშრგენი. 400 მ

ირინა ლოზოვაია (გორი)	1,11,8

სამხტომი

ევგენია ჩერნოვიაოვა (ფოთი)	10,83
თეა ფაცურია (ფოთი)	10,63

სიგრძეზე ხტომა

მაია გოგოლაძე (თბილისი)	5,35
ევგენია ჩერნოვიაოვა (ფოთი)	5,08
სოფო მაჭავარიანი (თბილისი)	5,01

ბაღრის ტყორცნა

სალომე რიგიშვილი (თიანეთი)	42,96
ნათია ნაჭყებია (ფოთი)	21,63
მარიამ გოგნაძე (ასპინძა)	17,83

შუბის ტყორცნა

თეა ფარულია (ფოთი)	23,51
ნანა კოსტავა (ფოთი)	21,05

ბირთვის კერა

სალომე რიგიშვილი (თიანეთი)	11,31
ნათია ნაჭყებია (ფოთი)	9,55
ელისო ანთაძე (ახმეტა)	8,82

ქალაქები

100 მ

სანდრო გაბუნია (თბილისი)	11,3
ირაკლი ღლონტი (თბილისი)	11,5
გიორგი დადუნაშვილი (თბილისი)	11,6
ენდრიკ ზილგერშტეინი (ახალციხე)	22,2
გიორგი ზილგერშტეინი (ახალციხე)	23,6
გეგა ჯიშკარიანი (ქუთაისი)	23,8

400 მ

ენდრიკ ზილგერშტეინი (ახალციხე)	49,4
ფელიქს კარაპეტიანი (ახალციხე)	53,3
გიორგი ზილგერშტეინი	55,1

800 მ

ლუდვიგ ზილგერშტეინი (ახალციხე)	1,55,6
ფელიქს კარაპეტიანი (ახალციხე)	2,06,1
ვლადიმერ ჟურკუკი (თბილისი)	2,10,02

1500 მ

გიგლა ზილგერშტეინი (ახალციხე)	3,59,3
ანდრიკ მარტინიანი (ახალციხე)	4,18,7
თორნიკე კაპანაძე (ქუთაისი)	4,39,7

3000 მ

ანდრიკ მატინიანი (ახალციხე)	9,42,7
გიორგი გოჩილაძე (ახმეტა)	9,47,8
ლევან მიხელიძე (ქუთაისი)	9,56,3

თარეშრგენი. 110 მ

გესო ხუსკივაძე (თბილისი)	16,7
დათო მორჩიაშვილი (ქუთაისი)	18,1

თარეშრგენი. 400 მ

დათო მორჩიაშვილი (ქუთაისი)	1,00,8

სიმაღლეზე ხტომა

ზურაბ გოგოჭური (გარდაბანი)	1,80
ზურაბ რამიშვილი (თბილისი)	1,60
ანტონ კამენსკი (გარდაბანი)	1,40

სიგრძეზე ხტომა

ვასილ ელანიძე (ახმეტა)	6,22
ლაშა ლულელაური (ახმეტა)	6,07
თენგიზ ხუსკივაძე (თბილისი)	5,83

სამხტომი

ვახტანგ ჯინჭველაშვილი (ქუთაისი)	13,35
გოჩა დინგაშვილი (ქუთაისი)	12,92
ლაშა ლულელაური (ახმეტა)	12,88

ბირთვის კერა

გიორგი გედოშვილი (თბილისი)	19,51
ნიკა გერაძე (ხარაგაული)	15,58
გიორგი ქევხიშვილი (გარდაბანი)	11,52

შუბის ტყორცნა

ვასილ ელანიძე (ახმეტა)	36,75
გიორგი ლულელაური (ახმეტა)	34,98

ბაღრის ტყორცნა

გიორგი ლულელაური (ახმეტა)	26,95
არკადი ხოსიკურიძე (ახმეტა)	25,23

ქევხიშვილმა 17 მეტრი გადალახა

ათენის ოლიმპიადის მონაწილე, საქართველოს მძლეოსანთა ნაკრების წევრი **მარიამ ქევხიშვილი** წარმატებით აგრძელებს მონაწილეობას აშშ-ის სტუდენტ მძლეოსანთა სერიულ ციკლში. მარიამი ერთადერთი იყო ფლორიდის შტატის უნივერსიტეტიდან, სადაც სწავლობს, რომელმაც ოქროს მედალი მოიპოვა. ქართველმა სპორტსმენმა ბირთვი ამჟამად 17 მეტრსა და 05 სმ-ზე გადააგდო (წინა სერიაში მისი შედეგი იყო 16.67) და ქვეყნის ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა. საგულისხმოა, რომ წარმატებისთვის იბრძოდა 35 უძლიერესი სპორტსმენი.

სამ კვირაში ახალი შეჯიბრებაა. ინფორმაცია მოგვაწოდა ქევხიშვილის თბილისელმა მწვრთნელმა **ყარამან საბანაშვილმა.**

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აჭარის რეგიონული ორგანიზაცია და აჭარის მძლეოსნობის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ვეტერანი მძლეოსანი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი

ზაურ ფოცხვერაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დედოფალი გარდაიცვალა...

19 მაისს, კალენდრის მიხედვით, უნდა ჩავვეტარებინა მძლეოსანთა თბილისის ღია, ტრადიციული პირველობა. მთავარ მსაჯად მე ვიყავი დანიშნული. და აი, ამ დილით, თბილისის მერიაში გამომგვიცხადეს, რომ შეჯიბრება არ ჩატარდება, ანუ არ დაფინანსდება. არადა, ეს იყო ძირითადი ეტაპი საქართველოს ჩემპიონატის წინ. რაკი მიზეზთა გამო რეგიონებში მძლეოსნური შეჯიბრებები აღარ ტარდება, იქაურებისთვის საქართველოს ჩემპიონატის წინ ძალების შემოწმების ერთადერთი ასპარეზობა იყო თბილისის ღია პირველობა. ახლა ბოლო ამასაც მოეღო. თბილისში, დღეს, მძლეოსნობა გარდაცვალებულად გამოცხადდა, დაბადებიდან 87-ე წლისთავზე. ბოლო 87 წლის განმავლობაში პირველად აღარ ჩატარდა თბილისის ჩემპიონატი მძლეოსნობაში."

გასული საუკუნე, 20-იანი წლები. თბილისში სწორედ აქედან მოყოლებული იკიდებს ფეხს მძლეოსნობა, იხსნება სექციები, ტარდება შეჯიბრებები. სსრ კავშირის რეკორდს ამყარებს თბილისელი **ვლადიმერ დიაჩკოვი**. ეს 1924 წელია, შედეგი - 170,7 სმ. მერე **გიორგი შხვაცაბაია** - შემდეგში აკადემიკოსი, აუმჯობესებს ამ მიღწევას (183 სმ), 1931 წელს კიდევ ერთი საკავშირო რეკორდი "ჩაეწერა" თბილისში - ბირთვი გერტრუდა მაიერმა 9,76 მეტრზე გადააგდო. თბილისშივე დაიბადა ქართული სპორტის ისტორიაში პირველი მსოფლიო რეკორდიც, რომელიც ლეგენდარულ **დიმიტრი იოსელიანს** ეკუთვნოდა ადგილიდან სიგრძეზე ხტომაში (348,2 სმ). მალე კი **ნინო დუმბაძის** ხანაც დადგა. არა მხოლოდ საქართველო, დიდი საბჭოთა იმპერია ამაყობდა მისი უმაღლესი მიღწევებით ბადროს ტყორცნაში. შორს წაგვიყვანს ყველა სპორტსმენისა და შედეგების ჩამოთვლა. ვიტყვით მოკლედ, ოლიმპიურ, მსოფლიო და ევროპის სარბიელზე, მოჭიდავეთა შემდეგ, საქართველოს მძლეოსნების წილად მოდის ყველაზე მეტი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი. და ამ საამაყო სტატისტიკაში ლომის წილი უდევს თბილისს, რომელიც "სპორტის დედოფლის" სატახტო ქალაქიც იყო მუდამ. და აი, ახლა დედოფალს დედაქალაქში საფლავს უთხრიან. კიდევ ერთი მნიშვნელოვან ფაქტზე გვინდა ყურადღების გამახვილება - მედლების საერთო რაოდენობის მეექვსედი ოლიმპიურ თამაშებში მოდის... მძლეოსნობაზე.

დიახ, "სპორტის დედოფალს" თბილისში მახვილი ჩასცეს გულში. ასეთია სამწუხარო რეალობა, რომელსაც ძალიანაც რომ გამოიდო თავი და ათას არგუმენტს მოუხმო, ქართული სპორტის სასიკეთოდ გადადგმულ ნაბიჯს ვერ უწოდებ. კარგად დავიხსომოთ, - თუ მძლეოსნობას გავწირავთ, არა მხოლოდ სპორტის ამ სახეობას, არამედ, ქართულ სპორტს, მომავალი აღარ უწერია - საყრდენი უომედოდ და სამუდამოდ გამოეცლება.

თენგიზ გაჩეჩილაძე

ხელბურთი

საქართველოს ჩემპიონატი

ქარიშხალამ იმედს სასწაული დაუბარა

მესამე ადგილისთვის
პირველი მატჩი

ქარიშხალა-იმედი 32:23

ქარიშხალა: გ. ტორონჯაძე, ქანთარია, ი. ტორონჯაძე (1), ჯოხარიძე, მუმლაძე (3), ჩიხლაძე, ჯორბენაძე (1), სხიერელი (10), სეთურიძე, ა. ამირანაშვილი, მელქოშვილი (5), ზაალიშვილი (7), ჯიშკარიანი (3), ო. ამირანაშვილი (2)

იმედი: **გონჩაროვი, ვახანია, ლომიძე (2), ყულენტი (4), ქარდავა (5), კერესელიძე, ყაველაშვილი (8), თეთრუაშვილი, მაისურაძე (4), ბიდოდაშვილი**

მსაჯები: **ინა ჭკუასელი, ნინო ელოშვილი**

მატჩის დაწყებამდე, გლდანის დარბაზს გამაგრილებელ სასმელ "რედ ბულის" წარმომადგენელი გოგონები ესტუმრნენ და სარეკლამო აქციის ფარგლებში, ხელბურთელებს სასმელები ჩამოურიგეს. შესაბამისად, მოთამაშეებმა ჯერ გული გაიგრილეს ცივი წვენით, მერე კი ხარებივით ეკვეთნენ ერთმანეთს. თუმცა სიტყვა "ეკვეთნენ" უფრო მასპინძლებზე ითქმის, რადგან "იმედს" გუშინ არაფერი ეტყობოდა იმ გუნდისა, რომელმაც რეგულარულ ჩემპიონატში "ქარიშხალას" ორჯერ აჯობა და მესამე ადგილზე გავიდა. თანაც, გუშინ საბურთალოელები 14-ის ნაცვლად, მხოლოდ ათკაციანი გუნდით ესტუმრნენ მეტოქეს. აქედან, ორი მეკარე იყო და შესაბამისად, "იმედს" მხოლოდ მოედნის ორი მოთამაშე ჰყავდა თადარიგში.

რაც შეეხება "ქარიშხალას", როგორც ჩანს, იგი უფრო მომზადებული შეხვდა მესამე ადგილისთვის გასამართ ფლეიოფებს. საქართველოს ჩემპიონატის ჯერაც მოქმედ ვერცხლის პრიზიორებს გუშინ დაუბრუნდათ ერთ-ერთი ლიდერი **თორნიკე ზაალიშვილი,** რომელსაც პირველ წრეში მიღებული ტრავმის შემდეგ არ უთამაშია. გუშინ მან მოედანზე დაბრუნება 7 გოლით და მშვენიერი თამაშით აღნიშნა. მისი გარღვევების შეჩერება ძალიან უჭირდათ იმედელებს. ამას გარდა, "ქარიშხალამ" დაუბრუნა გამოცდილი **ვახტანგ ჯიშკარიანიც,** რომელიც მთლად იდეალურ ფორმაში ვერ არის, მაგრამ მაინც დიდი სამუშაო შეასრულა. ცალკე აღსანიშნავია **ირაკლი სხიერელის** ბრწყინვალე გარჯა, რომელიც ბურთის ჩაჭრებითა და სწრაფი გარღვევა-გოლებით პირდაპირ სისხლს უშრობდა მეტოქეს. ამ ყველაფერთან ერთად, "ქარიშხალას" ზურგს უმაგრებდა დღითიდღე მზარდი მეკარე **გიგა ტორნჯაძე,** რომელმაც 15 დარტყმა (მათ შორის, ორი პენალტი) მოიგერია.

და რას უპირისპირებდა ამ დროს მეტოქის გოლებს "იმედი"? ბევრს ვერაფერს – **ლევან ოსიყმაშვილის** შეგირდები შეტევაშიც ბევრს სცოდავდნენ და არც დაცვაში გამოსდიოდათ რამე. მართალია, სტუმართა კარს დამაჯერებლად იცავდა ალექსანდრე გონჩაროვი, რომელსაც თავის ქარიშხალელ კოლეგაზე ბევრად მეტი სამუშაო ჰქონდა და რომ არა მისი თავგამოდება, ანგარიშში სხვაობა კიდევ უფრო დიდი იქნებოდა.

რაც შეეხება უშუალოდ მატჩის მსვლელობას, მოსაყოლი ბევრი არაფერია. ერთი ეგ არის, საწყისი 20 წუთი საკმაოდ ჩაკეტილი და ორმხრივი შეცდომებით სავსე იყო, მერე კი "ქარიშხალამ" გაილაღა, რომელმაც საკმაოდ სანიმედო ანგარიშით იმარჯვა.

ასე რომ, თუკი "იმედს" თავის პირველსავე სეზონში ბრინჯაოს მედალი სურს, მეორე მატჩში, მინიმუმ, ცხრაბურთიანი ფორით უნდა მოიგოს საკუთარ მოედანზე, რაც საკმაოდ რთული იქნება. ეს თამაში შეხვედრა ხვალ, 16 საათზე შედგება ასკ-ის დარბაზში.

კობა ხატისაშვილი

ფრენბურთი

საქართველოს ჩემპიონატი

დუშეთი მესამეა

საქართველოს ჩემპიონატში, მესამე ადგილისთვის პლეი ოფში "დუშეთისა" და ოლიმპიური ცენტრი 2-ის დაპირისპირებაში სამი შეხვედრის გამართვა გახდა საჭირო. საბოლოოდ გამარჯვება და ბრინჯაოს მედლები "დუშეთს" დარჩა.

პირველ მატჩში დუშელმა ფრენბურთელებმა შინ 3:0 მოიგეს. მეორე შეხვედრა კი თბილისში 1:3 დათმეს. ბოლო, გადამწყვეტი მატჩი თბილისში გუშინ გაიმართა და დუშეთმა 3:0 (25:22, 25:20, 25:23) გაიმარჯვა.

"დუშეთი": **სოფიკო ბეწუაშვილი, მაია ყორიაული, ნატო შუშიაშვილი, ნინო მეტრეველი (კ), ირმა მეტრეველი, ირინა ალიბეგაშვილი, მანანა მაგიაშვილი (ლიბერო).**

ბესიკ ჯანგავაძე

ჭიდაობა

ტრიუმფი ახალსახლობაზე

გუშინ ჭიდაობის ფედერაციაში პრესკონფერენცია გამართეს ანთალიიდან ტრიუმფით დაბრუნებულმა მოჭიდავეებმა. შეგახსენებთ, რომ იქ ჭაბუკთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა ორივე სტილის ჭიდაობაში. ესაა ტრადიციული შეჯიბრება, რომელსაც თურქები, რატომღაც, სხვადასხვა ქალაქში ატარებენ. ამ ტურნირის ძირითადი მასპინძელი მარმარისია, მაგრამ ამჯერად ანთალიამ უმასპინძლა. შეჯიბრება ამჯერადაც წარმომადგენლობითი გამოდგა და მასში 14 გუნდი მონაწილეობდა.

ჩვენი გუნდების მონაგარი 11 მედალია. განსაკუთრებით კარგად „თავისუფლები" გამოვიდნენ, რომლებმაც 4 ოქროს და 2-2 ვერცხლ-ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ჩემპიონები **ლაშა ლომთაძე** (42), **ავთანდილ ჯიოევი** (46), **ოთარ უროტაძე** (76) და **თორნიკე ხიდეშელი** (100) გახდნენ. **ვლადიმერ ხინჩიკაშვილი** (50) და **ვასილ მამულაშვილი** (54) მეორეზე გავიდნენ, **დავით ხუციშვილი** (58) და **დავით მარსაგიშვილი** (76) - მესამეზე.

„ანტიკოსთა" მონაგარი 1 ოქრო და 2 ბრინჯაოს მედალია. ჩემპიონი **საჩინო დავითაია** (54) გახდა, ბრინჯაოს მედლები კი **შალვა თოდრაძემ** (85) და **ვასილ იმერლიშვილმა** (100) მოიპოვეს.

ახალგაზრდა სპორტსმენებს წარმატებები ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა **კახა გეწაძემ** და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაურმა** მიულოცეს. ორივე გამომსვლელმა გამოთქვა რწმენა, რომ ამ ახალგაზრდებში მომავალი ოლიმპიელებიც არიან, რომლებიც უახლოეს წლებში საქართველოს გაცილებით მაღალი რანგის ტურნირებზეც ასახელებენ. თუმცა შეხვედრაზე ორი ქუთაისელი ჩემპიონი მაინც გამორჩეულად აქეს - ლომთაძე ტურნირის საუკეთესო მოჭიდავედ დაუსახელებიათ, უროტაძე კი, რომელსაც ჩემპიონობა, პრაქტიკულად, მუხლმტკივანს მოუპოვებია, სპორტული გმირობისთვის გამოარჩიეს.

ეს გუნდები ივლისში ვარშავაში გასამართი ევროპის პირველობისთვის ემზადებიან და ანთალიური ტურნირიც ამ მზადების ნაწილი გახლდათ. თუმცა ჯერ სავარშავო შემადგენლობაზე ლაპარაკი ნაადრევია, რადგან წინ კიდევ რამდენიმე შეჯიბრებაა. ორივე ნაკრები ჯერ რუსთავში იჭიდავებს - „ანტიკოსები" მსოფლიო ჩემპიონ **თემურ ყაზარაშვილის** სახელობის საერთაშორისო ტურნირში, „თავისუფლები" - რესპუბლიკურ შეჯიბრებაში. მზადების მეორე ეტაპზე ორივე გუნდი ირანში გაემგზავრება საერთაშორისო ტურნირში, 2-8 ივლისს კი თურქეთში შავი ზღვის აუზის ქვეყნების თამაშებში გამოვლენ. ამ რეგიონული შეჯიბრებიდან ორ კვირაში კი ევროპის ჩემპიონატია.

გუშინდელი პრესკონფერენცია ფედერაციის ახალ საქმო დარბაზში ჩატარდა. ფედერაციაში რემონტი დასასრულს უახლოვდება, ეს დარბაზი კი ამ გარდაქმნების ერთ-ერთი ნაწილია. პრესკონფერენციების გარდა, იგი თეორიული მეცადინეობებისთვისაცაა განკუთვნილი. იქვე დამონტაჟდება ეკრანი, რომელზეც უცხოელ მეტოქეთა შეხვედრების ვიდეოჩანაწერებს გაარჩევენ. ფედერაციის შენობაში სხვა სიახლეებიცაა, თუმცა რემონტი ჯერ არ დამთავრებულა. ამაზე მოგვიანებით ვისაუბროთ, რადგან დაახლოებით ორიოდ კვირაში დარბაზის საზეიმო გახსნაა დაგეგმილი.

ბარემ აქვე იმასაც გეტყვით, რომ კახა გეწაძე დღეს ბათუმში გაემგზავრა იქაური ფედერაციასთან მოსალაპარაკებლად. მოგეხსენებათ, 14-15 ივლისს ვახტანგ ბალავაძის სახელობისა და გივი კარტოზიას ხსოვნის ტურნირებს უნდა ვუმასპინძლოთ, სავარაუდო მასპინძელთა შორის კი ბათუმიც განიხილება. გეწაძის მიზანიც იქაური პირობების გაცნობაა.

ირაკლი თავაძე

სუმო

დღეს კოკაი ასაშორიუს ეჭიდავება

ოთხი მარცხი და ასაშორიუ

ნაცუ ბაშო
მაისის სუპერტურნირი
13-27 მაისი, ტოკიო (იაპონია)

IV დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: კოკაი-კაიო 0:1 (ოკურიდაში), ასაშორიუ-ტოკიტენკუ 1:0, ჩიოტაიკაი-ამა 1:0, ჰაკუშო-კაკიძოე 1:0, ტამანოშიმა-კოტოოშუ 1:0, კოტომიცუკი-ტოიონოშიმა 1:0, კოტოშოგიკუ-ჰომაშო 1:0, კისენოსატო-კაკურიუ 1:0, ტოჩიოძანი-ტოკიცუუმი 1:0, ამინიშიკი-კასუგაო 1:0, ტაკეკაძე-ვაკანოსატო 1:0, ტაკამისაკარი-მიაბიამა 1:0, ასასეკირიუ-ოცუკასა 1:0.

სატურნირო მდგომარეობა: ასაშორიუ (იოკოძუნა), ჩიოტაიკაი (ოძეკი), ჰაკუშო (ოძეკი), კაიო (ოძეკი), კოტომიცუკი (სეკივაკე), ასასეკირიუ (მაეგაშირა 8), დეჯიმა (მ 10), ფუტენო (მ1 3), ჰოკუტორიკი (მ 16).. 0-4: კოკაი (მ 2).

V დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: კოკაი-ასაშორიუ, ჰაკუშო-ჰომაშო, კოტოოშუ-კაკიძოე, კაიო-ტოიონოშიმა, ტამანოშიმა-ჩიოტაიკაი, კოტომიცუკი-ტოკიტენკუ, ამა-კოტოშოგიკუ, ტოკიცუუმი-კისენოსატო, ამინიშიკი-ტოჩიოძანი, ტაკამისაკარი-ტაკეკაძე, როშო-კაკურიუ, ვაკანოსატო-კასუგაო.

რაგბი

აარონ პერსიკო

IRB. ერთა თასი

იტალიელთა რჩეულნი

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები მსოფლიო თასის გათამაშებისათვის მზადების საწყის ეტაპზე, 5-16 ივნისს, ბუქარესტში, სამ შეხვედრას გამართავს ნამიბიის, სამხრეთი აფრიკის ოცდასამწლამდელთა და იტალიის A ნაკრებთან. 16 ივნისს ბორჯღალოსნები ბოლო შეხვედრას ამ უკანასკნელთან გამართავენ.

იტალიის ნაკრების მწვრთნელმა **მარიო ცენატომ** იმ 26 მორაგბის ვინაობა დაასახელა, რომლებიც ამ ტურნირზე მიიღებენ მონაწილეობას. იტალიელთა გუნდში 12 მორაგბეა, ვისაც ეროვნულ ნაკრებშიც უთამაშია: მატეო ბარბინი, კრისტიან ბეცი, დავიდ დალ მაზო, ეძიო გალონი, ლუდოვიკო ნიტოლია, ლუჩანო ორკერა, ანტონი და ენრიკო პავანელოები, აარონ პერსიკო, ვალტერ პოცებონი, მიქელე რიცო და მიკელე სეპე.

იტალიის A ნაკრები

მატეო ბარბინი (ბენეტონი), **ალესიო ბატისტი** (ალმავივა), **ქრისტიან ბეცი** (ვიადანა), **ალდო ბირკალი** (ვიადანა), პაოლო ბუზო (კალვიზანო), **ლორენცო ჩიტადინი** (კალვიზანო), **დავიდ დალ მაზო** (კალვიზანო), **პოლ დერბიშირი** (პარმა), **ეძიო გალონი** (ოვერმაკი), **ლუიჯი ფერარო** (ვიადანა), **ალესიო გალანტე** (პარმა), **ლეონარდო გირალდინი** (კალვიზანო), **ნიკოლა ლეონარდი** (პადოვა), **ანდრეა მარკატო** (ბენეტონი), **ლუიჯი მილანი** (ვიადანა), **ლუდოვიკო ნიტოლია** (კალვიზანო), **ლუჩანო ორკერა** (ბრივი), **პინო პატელი** (კალვიზანო), **ანტონიო პავანელო** (ბენეტონი), **ენრიკო პავანელო** (ბენეტონი), **აარონ პერსიკო** (კალვიზანო), **ვალტერ პოცებონი** (ბრისტოლი), **მიქელე რიცო** (პადოვა), **მარკო როზა** (ლაკვილა), **მიქელე სეპე** (ალმავივა), **მარიო ველა** (ვიადანა).

5 ივნისი
საქართველო-ნამიბია

10 ივნისი
საქართველო-სამ. აფრიკა U-23

15 ივნისი
საქართველო-იტალია A

ბესიკ ჯანგავაძე



დირკ ნოვიცკი და დევიდ სტერნი

NBA. სეზონის ლაურეატები

ერთხელაც: დირკ ÜBER ALLES!

სამი დღის წინათ, "დალას მავერიქსის" ერთ-ერთმა მწვრთნელმა (რომელიც ცხადია, ინკოგნიტოდ დარჩა) ჩვენს ამერიკელ კოლეგებს სეზონის უმთავრესი ინდივიდუალური ჯილდოს მფლობელის ვინაობა გაანდო - ამერიკულ-კანადურმა მასმედიამ, წლის უძვირფასეს მოთამაშედ "მავერიქსის" გერმანელი სუპერფორვარდი - **დირკ ნოვიცკი** დაასახელა. ამან კი არაერთგვარი რეაქცია გამოიწვია. მართალმტყუანზე მერე გავისაუბროთ, მანამდე კი გერმანელი თავდამსხმელის საამსეზონო საქმენი საგმირონი გავიხსენოთ.

დირკს ყველა პარამეტრით არაჩვეულებრივი სეზონი ჰქონდა. ხომ იცით, ამერიკაში (და პრინციპში, ალბათ, ყველგან), პირველ რიგში, იმას უყურებენ, თუ როგორ ადგება შენი უხვქულიანობა თუ ნებისმიერი სხვა პირადი სტატისტიკური გაბრწყინება გუნდს, ანუ ხარ თუ არა გუნდური მოთამაშე. ასი პროცენტით მართალია ამ კრიტერიუმებით საუკეთესოს არჩევა, თუმცა...

ნოვიცკი, რომელიც ასოციაციაში თავის მეცხრე სეზონს ატარებდა, გუნდისთვის მნიშვნელოვანი ფიგურა და ტეხასელთა საუკეთესო მექულე-მომხსნელი კი იყო, მაგრამ ჩვენი სიმპათიები მაინც უფრო მისი მეგობრისკენ, უძლიერესი გამთამაშებლისა და "ფინიქს სანზის" ლიდერ **სტივ ნეშისკენ** იხრებოდა.

დირკმა გამოკითხვაში 1138 ქულა დააგროვა, 83 პირველი ადგილი მიიღო და სწორედ ამის ხარჯზე გადაასწრო მან ნეშს. საუკეთესო მოთამაშის გამოვლენაში მონაწილეობა 129 მასმედიელმა მიიღო, პირველ ადგილისთვის კი მოთამაშეს 10, მეორესთვის 7, მესამესთვის 5, მეოთხე ადგილისთვის 3 და მეხუთესთვის 1 ქულა ეწერებოდა.

რატომ ნეში და არა ნოვიცკი?

დირკი დიდი კალათბურთელია და იქნებ, ნებისმიერი მწვრთნელისთვის ყველაზე გადაუჭრელ პრობლემად, ამოუცნობ დილემადაც კი იქცა, თუმცა ერთ რამეზე დაფიქრდით - ვის უფრო გაუჭირდება, "დალასს" ნოვიცკი რომ გამოაკლო, თუ "ფინიქსს" ნეში?

ცალსახად "ფინიქსს", რომელსაც **ამარე სტაუდმაიერი** და **შონ მერიონი** ნეშამდეც ჰყავდა, ამ ორ ვარსკვლავს გვერდით **ჯო ჯონსონი** ედგა, მაგრამ არიზონელები, ჩემპიონობისთვის ბრძოლას რომ შევეშვათ, ფლეი ოფშიც კი ვერ გავიდნენ.

ნოვიცკის გარეშე კი "მავერიქსი" მაინც საფლეიოფო გუნდია, სადაც ხელფეხი **ჯერი სტექჰაუზს, ჯოშ ჰოვარდს** (წლევანდელი "ოლ სთარის" მონაწილე), **ჯეისონ ტერის, დევინ ჰარისსა** და სხვებს გაეხსენებათ. თანაც, ამ გუნდს **გრეგ პოპოვიჩის** სკოლის მოწაფე **ეივერი ჯონსონი** თავკაცობს.

ნოვიცკი მეოთხე არაამერიკელი და პირველი ევროპელია, რომელიც აღნიშნული პრიზის მფლობელი გახდა - 1993-94 წლებში, ორჯერ "ჰიუსტონ როკეტსის" ცენტრი **ჰაკიმ ოლაჯუონი** (ნიგერია) გააპირველეს, 2002-03-ში საუკეთესო **ტიმ დანკანი** (ვირჯინიის კუნძულები) იყო, ხოლო დირკამდე ჯილდო კანადელმა სტივ ნეშმა ირგუნა.

პირველ ხუთეულში ის ხალხი მოხვდა, ვინც ამას იმსახურებდა, თუმცა "ლეიკერსის" **კობი ბრაიანტზე** წინ, აშკარად უნდა დაეყენებინათ იგივე დანკანი და **ლებრონ ჯეიმსი**, რომელმაც საშუალო მოთამაშეებით დაკომპლექტებულ "კავალიერსს", ზედიზედ მეორედ რეგულარულში 50 შეხვედრა მოაგებინა.

ნოვიცკიმ "დალასს" რეგულარული ფანტასტიკური შედეგით (67 მოგება - 15 წაგება) მოაგებინა, რაც ლიგის ისტორიაში მეექვსე საუკეთესო მაჩვენებელი გახლდათ. დირკმა გუნდში საშუალოდ ყველაზე მეტი ქულა (24.6) და მოხსნა (8.9) დააგროვა, ხოლო 3.4 შედეგიანი გადაცემით კი, გერმანელმა კარიერის რეკორდი დაამყარა. დირკმა ასევე კარიერაში საუკეთესოდ შეასრულა სროლები თამაშიდან (502 პროცენტი) და შორი დისტანციიდან (41.6). იმ მატჩებში, რომლებშიც ნოვიცკიმ 30 და მეტი ქულა დააგროვა, მისმა გუნდმა 18-ჯერ იმარჯვა და მხოლოდ ერთხელ დამარცხდა.

ნოვიცკი ზედიზედ მეექვსედ მოხვდა "ყველა ვარსკვლავის" მატჩის მონაწილეთა შორის და ზედიზედ მესამედ - სეზონის პირველ სიმბოლურ ხუთეულში. "დალასი" გახდა პირველი გუნდი ლიგის ისტორიაში, რომელმაც ერთი რეგულარულის მსვლელობისას 12 და მეტი მატჩის ზედიზედ მოგება სამჯერ (12, 13 და 17) მოახერხა.

შეგახსენებთ, რომ MVP-ის ჯილდოს **მორის პოდოლფის** სახელი ჰქვია. მისტერ პოდოლფი ლიგის პირველი კომისარი იყო, რომელიც ამ თანამდებობაზე 1946-დან 1963 წლამდე იმყოფებოდა.

ზურაბ თალაკვაძე

ბოლო 10 წლის გამარჯვებულები

1997/98 მაიკლ ჯორდანი (ჩიკაგო, მეხუთედ)
1998/99 კარლ მელოუნი (იუტა, 2)
1999/00 შაკილ ონილი (ლეიკერსი, 1)
2000/01 ალენ აივერსონი (ფილადელფია, 1)
2001/02 ტიმ დანკანი (სან ანტონიო, 1)
2002/03 ტიმ დანკანი (სან ანტონიო, 2)
2003/04 კევინ გარნეტი (მინესოტა, 1)
2004/05 სტივ ნეში (ფინიქსი, 1)
2005/06 სტივ ნეში (ფინიქსი, 2)
2006/07 დირკ ნოვიცკი (დალასი, 1)

NBA. ფლეი ოფი. II წრე

წასაგებად განწირულები?

1998 წლის მერე, "იუტა ჯაზი" პირველად გავიდა დასავლეთის კონფერენციის ფინალში, მაგრამ უფრო მეტის გაკეთება **ჯერი სლოუნის** გუნდს ძალიან გაუჭირდება. "ფინიქსისა" და "სან ანტონიოს" დაპირისპირებაში უძლიერესი, "ჯაზს" სავარაუდოდ უშანსოდ დატოვებს, ყოველ შემთხვევაში, უპირატესობა სწორედ ამ წყვილში გამარჯვებულს ექნება. ამაზე საუბარი სამომავლოდ გადავდოთ, იქამდე კი "ჯაზმენებისა" და **დონ ნელსონის** "უორიორზის" სერიის უკანასკნელ შეხვედრაზე ვისაუბროთ.

მორბენალმა და დაცვაზე "აცრილმა" კალიფორნიელებმა მხოლოდ პირველ მეოთხედში გაიბრძოლეს, მასპინძლებს კარგა ბლომად პრობლემა შეუქმნეს, მაგრამ მერე და მერე, აწყობილმა "ჯაზმა" თითქმის უშეცდომო დაცვით ოპონენტს ხელი აღარ გაანძრევინა.

მასპინძლებმა მოხსნებში 59:35 გადაუარეს მოწინააღმდეგეს.

"4:1 კი მოვიგეთ, მაგრამ სერიის ყველა შეხვედრაში დიდი ომი გადავიტანეთ. "გოლდენ სტეიტი" მომავალ სეზონში გაცილებით უკეთესი გუნდი იქნება, დონ ნელსონი ძალიან ბევრ ნიუანსს გამოასწორებს. ეს გუნდი არა მარტო ფლეი ოფში გასასვლელად, არამედ გაცილებით სერიოზული მიზნებისთვის იბრძოლებს", - განაცხადა ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე **კარლოს ბუზერმა**, რომელმაც 16 "ცოცხალი" სროლიდან 9 გამოიყენა და 38 წუთში მხოლოდ 1 შეცდომა დაუშვა.

ამჯერადაც შესანიშნავად ითამაშა ბებერმა **დერეკ ფიშერმა**, რომელმაც თავისი 20 ქულიდან 11, უკანასკნელ მეოთხედში მოიმკო.

კარლ მელოუნისა და **ჯონ სტოქტონის** დიადი ტანდემის მერე, "ჯაზს" ასე სტაბილურად არ უთამაშია. "იუტას" რეგულარულის ბოლოს, სეზონის სტარტზე აღებული ტემპი და ბრძოლისუნარიანობა შეენარჩუნებინა, გუნდი შეიძლება "სან ანტონიოზე" წინაც ყოფილიყო და მესამედ განთესვის უფლება მოეპოვებინა.

შეგახსენებთ, რომ 1997-98 წლებში, "ჯაზი" სლოუნის თავკაცობით ზედიზედ ორჯერ სუპერფინალში გავიდა, სადაც ორივეჯერ 2:4 "ჩიკაგოსთან" დამარცხდა. ორი ბუმბერაზის - მელოუნისა და სტოქტონის მაისურები "იუტას" იმ დარბაზის ჭერქვეშაა ჩამოკიდებული, რომელშიც ამჟამინდელი "ჯაზმენები" ჯერ არ დამარცხებულან (წლევანდელ ფლეი ოფში, "იუტას" ექვსივე საშინაო შეხვედრა აქვს მოგებული).

არ გეგონოთ, თითქოს სტუმრებს არ უბრძოლიათ. ძირითადის დასრულებამდე 6 წუთით ადრე, **ბაირონ დევისის** აქტიუროობით გუნდმა ანგარიშიც კი გაათანაბრა, მაგრამ ამას კირილენკოს მიერ ფარქვეშეთიდან დროულად აღებული 2 ქულა და ფიშერის ზუსტი სამიანი მოჰყვა და მასპინძლები 88:83 დაწინაურდნენ.

ამის მერე კი, "გოლდენ სტეიტმა" დარჩენილ დროში მხოლოდ 4 ქულა დააგროვა.

ამით დასრულდა "მეომართა" არაჩვეულებრივი საფლეიოფო სვლა, რომელიც პირველ წრეში უმთავრესი ფავორიტის - **დირკ ნოვიცკის** "დალას მავერიქსის" დამარცხებით დაიწყო.

"ჩვენი ორგანიზაციის ყველა წევრს უდიდეს მადლობას ვუხდი. რაც შეგვეძლო, ყველაფერი გავაკეთეთ, მაგრამ მეტოქემ დამსახურებულად გაიმარჯვა და "ჯაზს" შემდეგ წრეში გასვლას გულით ვუსურვებ", - დასძინა დონ ნელსონმა. მისი გუნდის წაგების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი სამიანების კატასტროფულად შესრულება გახდა - სტუმრებმა 30 შორეული ტყორცნიდან მხოლოდ 6 (!) გამოიყენეს.

"ჯაზმა" მატჩი შეტევაში გაკეთებული 20 მოხსნით დაასრულა, მაშინ როდესაც "გოლდენ სტეიტმა", მხოლოდ 6 იდენტური მოხსნით ჩაამთავრა შეხვედრა. აქვე გეტყვით, რომ "იუტას" მოთამაშეებმა 25 შეცდომა დაუშვეს, თუმცა ზემოთ მოყვანილი მიზეზების გამო, სტუმრები მაინც დამარცხდნენ.

■ ■ ■

სერიაში 0:3 ჩამორჩენის შემდეგ, ზედიზედ ორი შეხვედრის მოგება დიდი საქმეა, მაგრამ რატომღაც გვგონია, რომ "დეტროიტი" საბოლოოდ მაინც მოუგებს "ჩიკაგოს". ეს უკანასკნელი კი, მხოლოდ ქებას იმსახურებს იმის გამო, რომ ამ სერიას ინტრიგა დაუბრუნა.

"ბულზმა" 16 სამქულიანიდან 10 შეასრულა ზუსტად, მასპინძლები კი ამჯერადაც დააღალატა მათმა მოძველებიჭო ვარსკვლავმა - **რაშიდ უოლასმა**, რომელმაც მიმდინარე ფლეი ოფში მეოთხე, კარიერაში კი 22-ე (!) საფლეიოფო ტექნიკური შენიშვნა მიიღო.

სტუმრებმა გადამწყვეტი გაქცევა მესამე მეოთხედში მოაწყვეს, როდესაც **კირკ ჰაინრიხის** 6 ქულითა და ამდენივე პასით, "ბულზმა" 6-წუთიანი მონაკვეთი 22:5 მოიგო და ბოლო მეოთხედს 21-ქულიანი უპირატესობით შეხვდა.

ზურაბ თალაკვაძე

ალბუკერკი

დეტროიტი-ჩიკაგო 92:108

25:31, 26:28, 20:33, 21:16

დეტროიტი: ბილაპსი (17 ქ. 6 ვ. 3 მ. 2 ჩ), რ. ჰამილტონი (16 ქ. 6 მ. 5 პ), რ. უოლასი (15 ქ. 5 მ. 2 ჩ), მაკდაიესი (12 ქ. 3 მ), პრინსი (11 ქ. 3 მ. 3 პ. 2 ჩ).

ჩიკაგო: გორდონი (28 ქ), დენგი (20 ქ. 7 მ. 4 პ. 2 დ), ჰაინრიხი (17 ქ. 13 პ. 5 მ), პი. ჯეი. ბრაუნი (15 ქ. 8 მ. 3 პ), ტაირუს ტომასი (10 ქ. 5 მ. 5 ჩ), ბ. უოლასი (6 ქ. 5 მ. 4 პ. 2 დ).

სერია 2:3

დასავლეთი

იუტა-გ.სტეიტი 100:87

29:32, 23:22, 25:19, 23:14

იუტა: კირილენკო (21 ქ. 15 მ. 3 დ), ბუზერი (21 ქ. 14 მ. 2 პ), ფიშერი (20 ქ. 4 პ. 3 მ), ოქური (14 ქ. 10 მ. 2 პ), მილსეპი (9 ქ. 12 მ).

გოლდენ სტეიტი: ბ. დევისი (21 ქ. 8 პ. 6 ჩ), ს. ჯექსონი (16 ქ. 5 მ. 5 პ. 2 ჩ. 2 დ), მ. ბარნსი (14 ქ. 6 მ. 2 დ), ჯ. რიჩარდსონი (13 ქ. 6 მ), მ. ელისი (12 ქ. 3 მ), ელ ჰარინგტონი (8 ქ. 6 მ).

სერია 4:1



იუტა დასავლეთის ფინალშია

სან ანტონიო vs ფინიქსი. დისკვალიფიკაცია და სკანდალი

სპურსი უკვე ჩემპიონია?

დიახ, ასე მიაჩნია "ფინიქს სანზის" მთავარ მწვრთნელ **მაიკ დენტონის**, რომლის გუნდმაც, ლიგის სადისციპლინო კომიტეტისა და მთლად NBA-ის კომისრის - **დევიდ სტერნის** გადაწყვეტილებით, "სპურსთან" სერიის მეხუთე და ბევრის აზრით, გადამწყვეტ შეხვედრაში ორი წამყვანი მოთამაშე (**ამარე სტაუდმაიერი** და **ბორის დიაო**) ვერ უნდა იახლოს, არიზონელთა მეტოქეს კი ორი თამაშით ბებერი (და მაინც საკმაოდ მნიშვნელოვანი ფიგურა) **რობეტ ორი** დააკლდება.

ყველაფერი ამ ეპიზოდით დაიწყო

რა მოხდა?

მეოთხე შეხვედრის ბოლო წუთზე, როდესაც "ფინიქსის" გამარჯვება ეჭვს აღარ იწვევდა, ორიმ "სანზის" ლიდერ **სტივ ნეშს** იდაყვი თავში მოარტყა, რისთვისაც მსაჯისგან არასპორტული შენიშვნა დაიმსახურა. "სანზის" რეზერვისტთა შორის მყოფი სტაუდმაიერი და ფრანგი დიაო წამოხტნენ და მსაჯებს ერთი მაგარი შეუკურთხეს. ორივემ ტექნიკური ფოლები მიიღო და მატჩიც სტუმართა გამარჯვებით, 104:98 დასრულდა.

ლიგის მამებმა იფიქრეს და მომხდართან დაკავშირებით ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს - ორი მომდევნო ორ მატჩს გამოტოვებს, სტაუდმაიერი და დიაო კი მეხუთე შეხვედრაში ვერ დაეხმარებიან გუნდს.

"თუ "სპურსის" ჩემპიონობა ყველას აწყობს, კარგით, ეგრე იყოს, მაგრამ მაშინ რაღას გვათამაშებენ? გვითხრან, რომ "სან ანტონიო" ჩემპიონია და მშვიდად ვიქნებით", - აღნიშნა ამერიკელ ჟურნალისტებთან სატელეფონო ინტერვიუში "ფინიქსის" თავკაცმა. დარწმუნებული იყავით, მისტერ სტერნი მასაც დასჯის.

"სპურსი" ისედაც ძალიან ძლიერია და თუ ამ გუნდს მსაჯების სიმპათიაც აქვს, მაშინ საერთოდ რა აზრი აქვს მოედანზე გასვლას", - ეს კი უკვე **შონ მერიონის** აზრია.

ამ სერიის (სადაც ანგარიში 2:2-ია) მეხუთე შეხვედრა გამთენიისას უნდა გამართულიყო.

ᲮᲝᲙᲔᲘ



ტომას ჰოლმსტრიომი

NHL. ᲤᲚᲔᲘ ᲝᲤᲘ. 1/2 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲛᲐ ᲙᲚᲐᲡᲘ ᲐᲩᲕᲔᲜᲐ

ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲔᲑᲘ

ᲐᲜᲐᲰᲔᲘᲛᲘ (2)–ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ (1) 0:5

0:2, 0:2, 0:1

გოლები: 0:1 ფრანცენი-3 (სამუელსონი-4, ზეტერბერგი-6), 0:2 ჰოლმსტრიომი-4 (ზეტერბერგი-7, ლიდსტრიომი-12), 0:3 ბერტუცი-2 (კლირი-6, ლანგი-5), 0:4 ჰოლმსტრიომი-5 (ფილპულა-2, დაციუკი-8), 0:5 ფილპულა-3 (ჰოლმსტრიომი-3, ლიდსტრიომი-13).

ᲡᲔᲠᲘᲐ 1:2

ტომას ჰოლმსტრიომის შედეგიანი თამაშისა და **დომინიკ ჰაშეკის** მორიგი შათაუტის წყალობით, "დეტროიტმა" შავი დღე აყარა "იხვებს" და სერიაში საკუთარი მოედნის უპირატესობა დაიბრუნა.

შვედმა ჰოლმსტრიომმა დუბლი და ერთი საგოლე პასი მიითვალა. მასპინძლებმა ამ ჰოკეისტის შეჩერება მხოლოდ უხეშობით შეძლეს - **რობ ნიდერმაიერმა** მეორე პერიოდში ყვანჯი ჩაარტყა ჰოლმსტრიომს და შვედი თამაშიდან გამოთიშა (თავადაც მოუწია ყინულის დატოვება, რადგან მსაჯებმა ეს მცველი მატჩის ბოლომდე გააგდეს). თუმცა, ამ დროისთვის მატჩის ბედი უკვე გარკვეული იყო. შეხვედრის საუკეთესო მოთამაშის ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა და ის მომდევნო შეხვედრაში დაეხმარება "დეტროიტს".

რაც შეეხება დომინიკ ჰაშეკს, მან იმ საღამოს 29 დარტყმა მოიგერია და წლევანდელ სტენლის თასზე მეორე შათაუტი შეასრულა. თუ ფლეი ოფისა და რეგულარული ჩემპიონატის მატჩებს გავითვალისწინებთ, ლეგენდარული ჩეხი გოლკიპერის ანგარიშზე, კარიერაში 90 (!) "მშრალი" მატჩი მოდის.

"დომინატორისგან" განსხვავებით, სერიის მესამე მატჩი ჩააგდო "ანაჰაიმის" მეკარემ - **ჯან-სებასტიან ჟიგერმა**. სტუმრებს მის კარში სულ 13-ჯერ ჰქონდათ დარტყმული, მაგრამ ამ 13 გასროლას სამი გოლი მოჰყვა. "დაქსის" მწვრთნელებმა ჟიგერი რუსი **ილია ბრიზგალოვით** შეცვალეს, მაგრამ არც ამ უკანასკნელს დაადგა კარგი დღე. მისი კარში ჩადგომიდან მე-17 წამზე, "რედ უინგზმა" მეოთხე შაიბა გაიტანა და თამაშს საბოლოოდ მოუსპო ინტრიგა.

"დეტროიტის" წარმატებული თამაშის ერთ-ერთი საიდუმლო ის არის, რომ ეს გუნდი ძალიან საიმედოდ მოქმედებს რიცხობრივი უმცირესობის დროს. "რედ უინგზს" ზედიზედ 6 მატჩია არ გაუშვია გოლი იმ დროს, როცა ყინულზე მეტოქეზე ერთით ნაკლები ჰოკეისტი ჰყავდა.

აღსანიშნავია, რომ "ანაჰაიმმა" ფლეი ოფში პირველად წააგო ასეთი დიდი სხვაობით. აქამდე, ამ გუნდისთვის სარეკორდო წაგებად 1999 წლის 23 აპრილს, იმავე "დეტროიტთან" განცდილი მარცხი ითვლებოდა - მაშინ "იხვებმა" კონფერენციის მეოთხედფინალში შეხვედრა 1:5 დათმეს.

ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲝᲚᲝᲛᲒᲐ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ ᲒᲐᲘᲙᲔᲗᲐ

"ᲚᲝᲡᲐᲜᲯᲔᲚᲔᲡᲚᲔᲘᲙᲔᲠᲡᲘᲡ" ოფიციალური ვებგვერდი იუწყება რომ, ამ კლუბის ერთ-ერთმა ლიდერმა - **ლამარ ოდომმა** მარცხენა მხარის ოპერაცია გაიკეთა.

ექიმების თქმით, ეს ფორვარდი მთელი ზაფხულის განმავლობაში ვერ შეძლებს ვარჯიშს და "ლეიკერსის" საწვრთნელ ბანაკს სექტემბერში შეუერთდება.

ᲙᲔᲛᲑᲘ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲨᲘ ᲛᲘᲘᲬᲕᲘᲔᲡ

ამერიკის საკალათბურთო ნაკრების ხელმძღვანელობა "დენვერ ნაგეტსის" ცენტრალური თავდამსხმელით - **მარკუს კემბით** არის დაინტერესებული.

აშშ-ის ეროვნული გუნდის აღმასრულებლმა დირექტორმა - **ჯერო კოლანჯელომ** განაცხადა, კემბის უკვე გაუგზავნეს შესაბამისი მიწვევა, მაგრამ "დენვერის" ცენტრი გუნდს შეიძლება ვერ შეუერთდეს, ვინაიდან ლიგის საუკეთესო დამცველს ოჯახური პრობლემები აქვს მოსაგვარებელი.

ᲰᲝᲙᲔᲘ

ᲡᲣᲜᲓᲘᲜᲛᲐ ᲘᲣᲠᲒᲝᲠᲓᲔᲜᲘ ᲣᲐᲠᲧᲝ

შვედური ჰოკეის ერთ-ერთმა ლიდერმა - "იურგორდენმა" ერთწლიანი და ერთმილიონიანი კონტრაქტი შესთავაზა "ტორონტო მეიპლ ლიზის" კაპიტან **მატს სუნდინს**.

ვეტერანი ფორვარდი უკვე გამოეხმაურა ამ წინადადებას. როგორც ჰოკეისტის აგენტი აცხადებს, სუნდინი არ აპირებს "იურგორდენთან" კონტრაქტზე საუბარს. შვედი მხოლოდ "ტორონტოსთან" გამართავს მოლაპარაკებებს ახალი, ორწლიანი ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე.

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

ᲛᲘᲣᲠᲔᲘ ᲠᲝᲚᲐᲜ ᲒᲐᲠᲝᲡᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲝᲕᲔᲑᲡ?

ბრიტანელის პირველი ჩოგანი - **ენდი მიურეი**, სავარაუდოდ "როლან გაროსს" გამოტოვებს. ამის მიზეზი გახლავთ მაჯის ტრავმა, რომელიც მიურეიმ ჰამბურგის მასტერსის პირველ ნრეში, იტალიელ **ფილიპო ვოლანდრისთან** შეხვედრაში მიიღო.

იმ მატჩში, ბრიტანელი პირველ სეტში 5:1 უგებდა მეტოქეს, მაგრამ ერთერთ ეპიზოდში ხელი დაიზიანა და იძულებული გახდა, ბრძოლა შეეწყვიტა.

"ზუსტად არ ვიცი, რამ გამოიწვია ეს დაზიანება. სერიოზულია თუ არა ტრავმა, ეს რამდენიმე დღეში გაირკვევა", - განაცხადა მიურეიმ.

საფრანგეთის ღია პირველობა 27 მაისს დაიწყება.

ᲛᲘᲡᲙᲘᲜᲐ ᲗᲐᲛᲐᲨᲡ ᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲡ

რუსმა ჩოგბურთელმა **ანასტასია მისკინამ** თანამშრომლობა შეწყვიტა გერმანელ მწვრთნელ **იენს გერლაჰთან**, რომელთანაც 5 წელიწადი მუშაობდა. ახლა, ეს სპეციალისტი ბრიტანეთის ჩოგბურთის ასოციაციაში იმუშავებს.

"ეს ნაბიჯი იმას ნიშნავს, რომ მისკინა, სავარაუდოდ, მალე დაასრულებს თამაშს. ჩემი აზრით, მას ახლა სატელევიზიო კარიერა უფრო იზიდავს, ვიდრე ჩოგბურთი. ტელევიზიაში კი, მწვრთნელები არ სჭირებათ", - ასეთი კომენტარი გაუკეთა მისკინას გადაწყვეტილებას **ალექსანდრე მეტრეველმა**.

ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ 1

ᲣᲘᲚᲘᲐᲛᲡᲛᲐ 14 ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲚᲝᲢᲘ ᲓᲐᲘᲑᲠᲣᲜᲐ

"უილიამსმა" თავის საწვრთნელ ბაზაზე მიიწვია 14 წლის მალაიზიელი პილოტი - **ჯეიზმან ჯაფარი**. წლეულს, ამ თინეიჯერმა ავტომრბოლმა ორი ეტაპი მოიგო და ოთხჯერ მეორე ადგილი დაიკავა აზიიის "ფორმულა-BMW"-ის რბოლებზე.

ჯაფარის ასაკის გათვალისწინებით, ტესტებზე ის მხოლოდ "უილიამსის" ბოლიდის სტიმულატორზე ივარჯიშებს და თუ ყველაფერი წარმატებით ჩავიდა, ნორჩი მალაიზიელი **ფრენკ უილიამსის** გუნდის მხარდაჭერას მოიპოვებს.

როგორც ჩანს, "მაკლარენის" პილოტ **ლუის ჰემილტონის** წლევანდელი წარმატებები გადამდები აღმოჩნდა. 2007 წლის ჩემპიონატის ლიდერმა, ბავშვობიდან მოიპოვა "მაკლარენის" შეფის - **რონ დენისის** მხარდაჭერა.

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

ტურნირები

ATP

ᲰᲐᲛᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲛᲐᲡᲢᲔᲠᲡᲘ

ჰამბურგი (გერმანია). თებერვალი

ᲡᲐᲠᲘᲒᲝ ᲤᲝᲜᲓᲘ: 2 082 500 ევრო

I ᲠᲜᲔ

ფილიპო ვოლანდრი (იტა)-ენდი მიურეი (ბრიტ, 9) 1:5 მიურეის ტრავმა; **ფლორიან მაიერი (გერ)**-მიხაილ იუჟნი (რუს, 13) 6:4, 2:6, 7:6 (5); **ჟულიან ბენეტო (საფ)**-რაინერ შუტლერი (გერ) 7:6 (2), 6:2; **ოსკარ ერნანდესი (ესპ)**-ბენჯამინ ბეკერი (გერ) 6:3, 6:7 (2), 6:3; **ხოსე აკასუსო (არგ)**-გილერმო გარსია ლოპესი (ესპ) 6:3, 6:4; **კარლოს მოია (ესპ)**-მარდი ფიში (აშშ) 6:0, 6:3; **იურგენ მელცერი (ავსტრია)**-ალექსანდრ ვასკე (გერ) 6:3, 6:4; **იარკო ნიემინენი (ფინ)**-ტობიას სამერერი (გერ) 6:1, 7:6 (5).

II ᲠᲜᲔ

ნიკოლას ალმაგრო (ესპ)-ტომი რობრედო (ესპ, 6) 6:7 (1), 6:2, 6:4; **ივან ლუბიჩიჩი (ხორ, 7)**-ფლორან სერა (საფ) 4:6, 6:2, 6:2; **დავიდ ფერერი (ესპ, 12)**-რობინ სიოდერლინგი (შვედ) 1:6, 6:3, 6:2.

WTA

Internazionali BNL d'Italia

რომი (იტალია). თებერვალი

ᲡᲐᲠᲘᲒᲝ ᲤᲝᲜᲓᲘ: 1 340 000 დოლარი

I ᲠᲜᲔ

პატი შნიდერი (შვეიც, 14)-ვასილისა ბარდინა (რუს) 6:1, 6:2; **კატარინა სრებოტნიკი (სლოვენ, 15)**-მარტინა მიულერი (გერ) 6:4, 6:2; **ტატიანა გარბინი (იტა, 16)**-ფლავია პენეტა (იტა) 6:3, 7:6(3); **ნატალი დეში (საფ)**-ანა ლენა გრონეფელდი (გერ) 6:0, 6:4; **სიბილ ბამერი (ავსტრია)**-ხისელა დულკო (არგ) 7:5, 7:5; **სამანტა სტოსური (ავსტრა)**-ფრანჩესკა სკიავონე (იტა) 6:3, 6:4; **მარა სანტანჯელო (იტა)**-აკიკო მორიგამი (იაპ) 6:2, 6:0; **მეილენ ტუ (აშშ)**-რობერტა ვინჩი (იტა) 2:6, 6:2, 6:4; **ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ)**-ჟენგ ჟიე (ჩინ) 6:2, 6:2; **იან ჟი (ჩინ)**-სევერინ ბრემონი (საფ) 2:6, 6:0, 6:3; **კაია კანეპი (ესტ)**-ლურდეს დომინგეს ლინო (ესპ) 6:3, 6:3; **კატერინა ბონდარენკო (უკრ)**-სარა ერანი (იტა) 4:6, 6:3, 6:4; **იულიანა ფედაკი (უკრ)**-რომინა ოპრანდი (იტა) 6:3, 3:6, 6:3.

II ᲠᲜᲔ

სერენა უილიამსი (აშშ, 8)-მიხაელა კრაიჩეკი (ჰოლ) 6:4, 6:1.

Grand Prix de SAR

ფესი (მაროკო). თებერვალი

ᲡᲐᲠᲘᲒᲝ ᲤᲝᲜᲓᲘ: 145 000 დოლარი

I ᲠᲜᲔ

ემილია სალერნი (არგ)-სანია მირზა (ინდ, 1) 6:2, 7:5; **მილაგროს სეკერა (ვენე)**-ვირჟინი რაზანო (საფ) 3:6, 7:6(7), რაზანოს ტრავმა; **ჯული დიტი (აშშ)**-ანასტასია როდიონოვა (რუს, 4) 7:5, 7:5; **ჯილ კრეიბასი (აშშ, 5)**-იულია ბეიგელციმერი (უკრ) 6:4, 6:1; **კამილ პინი (საფ, 7)**-სტეფანი დუბუა (კან) 6:1, 6:4; **ენ კრემერი (ლუქ, 8)**-ფატიმა ელ ალამი (მარ) 6:0, 6:2; **ალექსანდრ ვოზნიაკი (კან)**-ლაურაპოუს ტიო (ესპ) 6:4, 6:1; **კაროლინ ვოზნიაჩკი (დან)**-აშა როული (აშშ) 6:3, 6:4; **ტიმეა ბაშჩინსკი (შვეიც)**-ოლგა პუჩკოვა (უკრ) 6:0, 6:3; **იოანა ოლურა (რუმ)**-ალა კუდრიავცევა (რუს) 7:5, 6:4; **სანდრა კლოზელი (გერ)**-ნადია ლალამი (მარ) 6:0, 6:3; **იულია ფედოსოვა (საფ)**-ალინა ჟიდკოვა (რუს) 6:3, 5:7, 6:3; **ნეა უბეროი (აშშ)**-სორანა კირსტეა (რუმ) 6:2, 6:3.

TV ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

17 ᲛᲐᲘᲡᲘ. ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ

HTB-ᲐᲚᲐᲜᲘ (ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი. ამერიკა (მექსიკა)-სანტოსი (ბრაზილია).
14:10 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი. არგენტინის ჩემპიონატი. ესტუდიანტესი-ველეს სარსფილდი.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:10 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:15 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი. გერმანიის ჩემპიონატი. ბორუსია (დ)-შალკე.
19:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:30 უიქენდის მატჩების ანონსი.
19:35 ტოქ-შოუ - 2:1.
20:20 ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი. ამერიკა (მექსიკა)-სანტოსი (ბრაზილია).
22:10 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნაიტედ ჰემი.
00:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
00:25 საფეხბურთო კლუბი.
00:55 იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
01:55 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

SPORT 1 (უკრაინა)

07:50 ფეხბურთი. Barca-TV. რონალდინიო.
08:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:40 რეტრო-ფეხბურთი. ინგლისის თასი. 1981 წ. ფინალი. ტოტენჰემი-მანჩესტერ სიტი.
11:25 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი. კოპენჰაგენი. გერმანია.
11:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბორუსია (დ)-შალკე.
15:50 სპორტ-დოსიე. ავსტრალიური ფეხბურთი.
16:18 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:16 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
17:45 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი.
19:30 სპორტინფორმი.
19:45 ჰოკეი. სტენლის თასი. 1/2 ფინალი. ოტავა-ბაფალო. IV მატჩი.
21:40 სპორტინფორმი.
21:55 აფროსინობა. ამერიკის თასი.
22:25 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
22:53 სპორტის ისტორია.
23:00 სპორტინფორმი.
23:15 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი.
01:00 სპორტინფორმი.
01:13 კრივი. ნოკაუტების ჟამი.
02:30 რეტრო-ფეხბურთი. ინგლისის თასი. 1981 წ. ფინალი. ტოტენჰემი-მანჩესტერ სიტი.
03:47 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
04:44 მინი-ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი.
05:00 ჰოკეი. სტენლის თასი. 1/2 ფინალი. ანაჰაიმი-დეტროიტი. IV მატჩი (LIVE).

EUROSPORT

10:30 ექსტრემალური სპორტი.
11:00 ცხენოსნობა.
12:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის თასი. ფინალი. ტარაგონა. ესპანეთი.
13:00 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. IV ეტაპი.
14:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. რომი. იტალია.
15:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. რომი. იტალია (LIVE).
17:00 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. V ეტაპი (LIVE).
19:30 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. რომი. იტალია (LIVE).
21:00 სუმო.
22:00 პოკერი. ევროპის ტური. ბადენი. ავსტრია.
23:00 კრივი. ზემძიმე წონა. ე. ჰოლიფილდი (აშშ)-ვ. მედელოუნი (აშშ). აშშ.
00:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იტალია.
01:00 ბრძოლა წესების გარეშე.
02:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იტალია.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 ლაკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. იროკოისი-შოტლანდია. ჰალიფაქსი. კანადა.
13:00 არენა-ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-ჩიკაგო.
14:00 ახალი ამბები.
16:00 ბილიარდი. პული. ევროტური. ნაპოლი. იტალია.
17:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/8 ფინალი. რომი. იტალია (LIVE).
19:30 მულტისპორტი.
20:00 ახალი ამბები.
20:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. თურქეთი.
21:00 ავტოსპორტი. კარტინგი. ევროპის ჩემპიონატი. იტალია.
21:30 ახალი ამბები.
22:00 ბილიარდი. პული. ევროტური. ნაპოლი. იტალია.
00:00 ავსტრალიური ფეხბურთი.
00:00 ხელბურთი. EHF-ის ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ფინალი. I მატჩი. ლადა (რუსეთი)-სლაგელსე (დანია).
01:15 ავტოსპორტი. კარტინგი. ევროპის ჩემპიონატი. იტალია.
01:45 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იტალია.
02:15 ახალი ამბები.

ᲡᲮᲔᲚᲘ ᲮᲐᲖᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ. ᲤᲘᲜᲐᲚᲘ 1/2

ᲕᲔᲡᲐ ᲑᲠᲝᲛᲬᲘᲩᲘ-ᲣᲔᲡᲢᲮᲐᲛᲘ 1:0 (3:2)

ᲓᲝᲜᲪᲮᲔᲑᲘ

ბრაინ-უორდრისბალი 2:2
სპაბეკი-ოდ ჭანლანდი 1:0
სბრომფსგოლვეგი-აალესუნდი 0:4
ბრომსიო-ლილესბრიომი 2:1
ვოლვერჰემპტონი-სანდუიორლი 2:0
ვიგანი-ლიდი 4:2
რუსენბორგი-სბარგი 4:1

II ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

ბოლტონი-ბრიმინგემი 2:1
პომარი-ბრაინი 2:1
პორტუმუთი-ლივერპული 1:0
კონგსინგერი-პაუგესუნდი 0:2
მანდლანდი-რაუფორსი 2:3
ნიგმეგენი-ფორსი 0:2
სპორტი-ჰიროლდ 0:1
სპარგა-სიონგდალი 2:2

ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

ვასბი-ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ 2:2 ᲓᲓ. 3:2
ქარლსკრონა-პომარიე 1:1 პენ. 3:4
ვარნამო-ᲙᲐᲚᲛᲐᲠᲘ 1:5
ბოდენი-იორგრიდ 1:1 ᲓᲓ. 1:2
სკოვდე-ასპრიხა 2:1

ᲤᲘᲜᲚᲐᲜᲓᲘᲐ

ოულუ-გამბერე 2:0
იარო-ჯგს 0:0
პაკა-ვასა 1:0
გურჯუ-ლაჰტი 3:1

ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ

არაუ-გრასჰოპერსი 0:0
ბაზელ-სიონი 2:0
სბ. გალენ-შაფჰაუზენი 1:1
გუნი-იანგ ბოისი 0:1
ცუგარიბი-ლუცერნი 2:0

ᲩᲔᲮᲔᲜᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲔᲗᲘ

ბოლცანო-ლეზანა 2:1
გალინიანო-დელემონი 1:0
კრინს-ჭსპაქსი 1:2
ფონდს-ვილი 1:1
ლუგანო-სერვეტი 3:3
ვინტერთური-ლუკარნო 4:1
ვოლენი-ჟონკორდია 2:3
იუვენტუსი-ვალუსი 1:2
იეკრონი-ჟიასო 3:2

ᲩᲔᲮᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

1/2 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

იაბლონეცი-ბუდეიოვიცე 0:0 პენ. 4:2

ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲔᲗᲘ

ᲤᲚᲔᲘ ᲝᲤᲘ

ბისტრიცა-რუჟომბეროკი 1:2
ნიტრა-ცლოვანი 0:2

ᲤᲚᲔᲘ ᲐᲣᲗᲘ

ლუსტო-მოჩენოკი 3:3
ინგერი-მორავსკე 0:1
სოგრა-ბრნასა 1:1
დუბნიცა-ბრეზნიო 3:1

ᲡᲚᲝᲕᲔᲜᲘᲐ

ბელა კრაინა-დრავა 0:2
ლიმზალე-ნაუმა 3:0
მარიბორი-პრიმორიე 1:1
მორიცა-კოპერი 1:7
პუბლიკუმი-შაკბორი 1:1

ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲐ

არკა-ვიჭენი გადაიდო

ᲚᲘᲒᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

ლეჩი-ვისლა 2:2

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ

ᲤᲚᲔᲘ ᲝᲤᲘ

მილანი-ვარეზე 75:72
მონგეკიო-კანტუ 95:76
რომა-ნაპოლი 73:57

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

ATP. ᲰᲐᲛᲑᲣᲠᲒᲘ

აკასუსო-ვოლანდრი შეწყდა
ბერდიჩი-მოია 6:3, 5:7, 6:7
დავიდენკო-სიმონი შეწყდა
ჩელა-ჰიუიტი 2:6, 6:7
ბლეიკი-კლემანი 6:2, 6:3
ფედერერი-მონაკო 6:3, 2:6, 6:4
კოლშრაიბერი-ანდრეევი 7:6, 1:6, 4:6
ნადალი-ერნანდესი 7:5, 6:1

WTA. ᲠᲝᲛᲘ

დემენტიევა-კასტანიო 6:4, 6:3
დეში-ფედაკი 6:1, 2:6, 2:6
საფინა-კანეპი 7:6, 6:2
შნიდერი-ტუ 6:4, 6:0
ე. ბონდარენკო-შპრემი 6:3, 6:4
კუზნეცოვა-სანტანჯელო 6:3, 6:3
პეერი-სუგიამა 6:0, 6:2
იანკოვიჩი-პაშეკი 6:3, 6:4
ბამერი-ჰანტუხოვა 1:6, 2:6
მორესმო-სტოსური 5:7, 7:6, 6:7
ჩაკვეტაძე-იანი 6:1, 6:3
პეტროვა-შონესი 7:6, 6:1
სრებოტნიკი-მედინა გარიგესი 3:6, 2:6
ა. ბონდარენკო-გარბინი 6:4, 6:2

მსურველებს შეუძლიათ გადაიხადონ

ბავშვთა სპორტი დღევანდელ საქართველოში

გაგრძელება. იხ. ლელო N 110, 112

- სპორტის სპეციალისტები კერძო საუბრებში ამტკიცებენ, რომ 2008 წლიდან დაგეგმილია სპორტის ვაუჩერიზაცია. ყველა მიიღებს ფულს, ანუ ვაუჩერებს იმის მიხედვით, რამდენ სპორტსმენს ავარჯიშებს და გათვალისწინებული იქნება მუშაობის დონე და ხარისხიც.

სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაური**: - ვაუჩერი არის მხოლოდ ერთ-ერთი ვერსია იმ სავარაუდო მოდელებს შორის, რომლებიც ახლა შემუშავების სტადიაშია, ამიტომ კონკრეტულად რომელიმეზე საუბარი ახლა ნაადრევია.

ჩვენ ძალიან ბევრს ვფიქრობთ სპორტის დაფინანსების ახალ სისტემაზე, იმაზე, თუ როგორი მოდელი უნდა შევარჩიოთ ამჟამად მუნიციპალურ დაქვემდებარებაში არსებული სკოლებისა და კლუბებისთვის. ამაზე მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს. მზად ჯერ არაფერი გვაქვს. თანაც მუშაობა გრძელდება არა მარტო ჩვენთან, არამედ ჩვენს სამინისტროსა და პარლამენტში, ასევე მერიაშიც. ინფორმაცია გვაქვს მიმდინარე პროცესებზე, ეს კონსულტაციებით ხერხდება.

ჩვენი პროგრამა მოწოდებულია იმისთვის, რომ მაღალი სპორტული შედეგების გარდა, ვიზრუნოთ ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისთვის, გადავაქციოთ სპორტი ერთგვარ იარაღად ქუჩასთან, მანკიერებასთან საბრძოლველად, შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებითა და მშენებლობით...

ჩვენ უნდა შევუწყოთ ხელი და შევქმნათ პირობები იმისთვის, რომ ჩამოყალიბდეს და განვითარდეს ისეთი კლუბები, სადაც ადამიანები - დიდებიცა და პატარებიც ხალისით ივარჯიშებენ, სადაც იქნება ყველა პირობა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. ასეთ პროექტებს ყველგან და ყოველთვის წავახალისებთ, რომ რაც შეიძლება მეტი ხალხი ჩაებას სპორტში - პროფესიულსა თუ სამოყვარულოში.

ამის შესახებ ჩამოყალიბებულია აზრი, არსებობს ერთიანი სახელმწიფო მიდგომა პრეზიდენტის დონეზე... მარტო წლეულს 10 ახალ დარბაზს ავაშენებთ რეგიონებში 12 მილიონი ლარის ღირებულებით...

- ეს ყველაფერი კარგი, ბატონო დავით, მაგრამ მანამდე?.. თუნდაც ისევ თბილისის სპორტული სკოლები ავიღოთ, სადაც რა მდგომარეობაა ახლა, ყველამ კარგად იცის.

- ჩვენ, უკვე ვთქვი, წინადადებით მივმართეთ ქალაქის ხელისუფლებას, მივაწოდეთ ჩვენი მოსაზრება, რომ იქნებ ქალაქის სპორტულ სკოლებს ძველ რეჟიმში გაეგრძელებინათ მუშაობა, რაღაც ეტაპზე, ვიდრე ახალ პროექტს შეიმუშავებდნენ. პასუხად მივიღეთ დაპირება, რომ დაფინანსების ახალი მოდელის შექმნა უსწრაფეს ვადებში მოხდება, და ამ სიახლის დანერგვა თბილისიდან დაიწყება.

გეთანხმებით, ეს თვეები მართლაც ძალიან მძიმე გამოდგა იმ ადამიანებისთვის, ვინც თვითდაფინანსებაზე გადავიდნენ. მაგრამ ამასთან, ეს იყო ერთგვარი გამოცდა სპორტსკოლებისა და სპორტული კლუბების ხელმძღვანელებისთვის, თუ როგორ შეძლებდნენ რეაბილიტაციას ახალ პირობებში. თუმცა, როგორც ნახეთ, ყველას გაუჭირდა მასთან შეგუება.

მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა მომავლის პროექტზე, თუ როგორ წარმოგვიდგენია ახალი მოდელი, როგორც პროფესიული, ისე მასობრივი სპორტისთვის. იმედი მაქვს, რომ ეს გეგმა უმოკლეს ვადებში მოესწრება.

მანამდე კი, სამწუხაროდ, ქალაქის მუნიციპალურ სკოლებსა და ოლიმპიური მზადების ცენტრებს ლოდინი მოუწევთ...



თვითონ არ გვითხრა, მაგრამ რამდენადაც ვიცით, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ხელმძღვანელს სურდა, აღნიშნულ საკითხზე ერთგვარი ფართო დიალოგის გამართვა ქალაქის ხელმძღვანელობასთან, რომ თვითდაფინანსებაზე გადასვლის შემდეგ მოსალოდნელ პრობლემებზე ესაუბრათ. მაგრამ სპორტულმა საზოგადოებამ ჩვეული ინერტულობა გამოიჩინა და ისიც ვერ მოახერხა, შეკრებილიყვნენ და თბილისის მერიაში გაეგზავნათ ერთი პატივსაცემი დელეგაცია მშვიდ პირობებში მოსალაპარაკებლად. ისეთია ჩვენი სპორტული მიღწევები, ასეთ დელეგაციას - ერთს კი არა, ათს გაგზავნი - თუკი მოინდომებენ, მაგრამ ყველაფერი ისევ ჩუმი ბუზღუნისა და ერთი-ორი ადამიანის თამამი განცხადების დონეზე დარჩა.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის განცხადებით, მიმდინარეობს კონსულტაციები ფინანსთა სამინისტროსთან და პარლამენტშიც, რადგან იმისთვის, რომ ამოქმედდეს ლატარია სპორტისა და კულტურის საჭიროებისთვის, ერთბაშად რამდენიმე კანონშია ცვლილება შესატანი. პარლამენტში უკვე შესულან სათანადო ინიციატივით.

რეფორმის შემდეგ, **დავით ნამგალაურის** თქმით, სპორტისთვის იმაზე მეტი თანხა გამოიყოფა, ვიდრე დღევანდელ პირობებში აქვს, შენარჩუნდება მოვარჯიშეთა არსებული კონტინგენტი და უფრო გაიზრდება. მაგრამ სახელმწიფოს არ შეუძლია დააფინანსოს 120 სპორტული ფედერაცია და ძალიან ბევრ მათგანს თვითონვე მოუწევთ საკუთარ თავზე ზრუნვა. დღეისთვის რეგისტრირებული 120 ფედერაციიდან პრიორიტეტი მიენიჭება ერთ ნაწილს, რომელსაც ეროვნულ, ტრადიციულ ან სტრატეგიულ სახეობად ჩათვლიან.

"ყველამ თავის დროზე მოასწრო გაეფუჭებინა საქმე იქ, სადაც მუშაობდა. ახლა საქმის კეთების დროა... ჩვენ ერთი ეტაპი უკვე გავიარეთ თვითმმართველობის დონეზე - სპორტულ სკოლებს საჯარო სამართლის იურიდიული პირების სტატუსი მივანიჭეთ, ჩავატარეთ ხელახალი რეგისტრაცია ახალი შტატებით, მწვრთნელთა კონტინგენტით. მანამდე სპეციალისტების ნახევარზე მეტს, ვინც იქ მუშაობდა, სპორტული ფედერაციები არც კი იცნობდნენ. რეგისტრაციის შემდეგ მწვრთნელების რიცხვი თითქმის სამჯერ შემცირდა", - განაცხადა ერთ-ერთ კრებაზე დავით ნამგალაურმა...

რა დასამალია, ისიც მართალია, რომ სპორტიდან ჯერ არ გამქრალა საბჭოთა პერიოდიდან შემორჩენილი ფსიქოლოგია, როცა ყველაფრის განმკარგავი და დამფინანსებელი სახელმწიფო იყო, მაგრამ ახალ რელსებზე გადასვლა ასე ერთბაშად, თანაც ძველი "შპალების" იმედად, ძალიან ბევრმა სპეციალისტმა, როგორც ზემოთ ნახეთ, ერთსულოვნად ჩათვალა გაუაზრებელ ნაბიჯად და დიდ შეცდომად. მათი აზრით, ბავშვი რომ წყალში გადააგდო და უთხრა, ცურვა ისწავლეო, - სწორედ ასე გამოვიდა ბავშვთა და მოზარდთა სპორტის მიმართ ჩვენს მშვენიერ დედაქალაქში. ეს მოხდა კულტურის, მეცნიერებისა და სპორტის სამინისტროს სრული ოლიმპიური სიმშვიდის პირობებში (დუმილი, მოგეხსენებათ, თანხმობის ნიშანია), ამიტომ აღნიშნულ პრობლემაზე აზრის გამოთქმა ვთხოვეთ მინისტრის მრჩეველს სპორტის საკითხებში **თამაზ თევზაძეს** (ზოგი ფიქრობს, რომ სწორედ მისი იდეა იყო სკოლების თვითდაფინანსებაზე გადაყვანა, რაც ბატონმა თამაზმა კატეგორიულად უარყო):

- მე ხელთ არ მაქვს რაიმე ოფიციალური დოკუმენტი, რომ ამ სიახლის შესახებ ვიმსჯელო, მაგრამ მაქვს ჩემი მოსაზრება იმ თემაზე, რომელიც ევროპის გამოცდილებას ეყრდნობა (*ბატონ თამაზს ის თეზისების სახით აქვს ჩამოყალიბებული, - ავტ.*). ჩვენ ველოსიპედს ვერ გამოვიგონებთ... ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ სპორტული კლუბების სისტემაზე თავის დროზე არ გადავედით. ჩვენში სპორტული სამყარო, სპორტული საზოგადოება, თანამედროვე სახით დღემდე არ ჩამოყალიბებულა, იგი არასწორი გზით მიდიოდა და დღეს აშკარად არ არის მზად რეორგანიზაციისთვის. ის, რასაც ეძახიან სამოქალაქო საზოგადოებას სპორტში - ეს არის ძირითადად სპორტული კლუბების სისტემა, რომელიც უნდა ჩამოყალიბდეს. ბევრმა ეს სიახლე ძნელად გაიგო.

ამ თემისადმი ევროპული მიდგომა 180 გვერდზეა წარმოდგენილი ევროსაბჭოს გამოცემაში, რომლიდანაც 120 გვერდი ფეხბურთს ეთმობა. ეს იმიტომ, რომ ამ მხრივ, ვგულისხმობ საკლუბო სისტემას, ფიფა და უეფა ყველაზე კარგად ორგანიზებული სტრუქტურებია. ფეხბურთის მიხედვითაა განხილული, როგორ უნდა დაუჭირო მხარი სპორტის განვითარების პირამიდულ მოდელს: ფუძეში კლუბი, შემდეგ ეროვნული ფედერაცია, ბოლოს საერთაშორისო ფედერაცია. ეს არის ევროპული მოდელი.

რაც შეეხება სპორტულ სკოლებს, იგი შეიძლება ჰქონდეს თვითონ კლუბს.

ჩვენ დღევანდელი არაორგანიზებული სტრუქტურიდან ორგანიზებულზე უნდა გადავიდეთ. სპორტული კლუბებისა და ფედერაციების მართვას სწავლა სჭირდება (სხვა დანარჩენი ძირითადად საზოგადოებრივი ორგანიზაციებია). მათ ყველა შემთხვევაში უნდა შეინარჩუნონ ავტონომიურობა, თვით სახელმწიფო დაფინანსების პირობებში...

თამაზ თევზაძემ, რომელიც გახლავთ ევროპის საბჭოს სპორტის განვითარების კომიტეტის ბიუროს წევრი და ექსპერტ-დელეგატი, გაგვაცნო ევროპის ცალკეულ ქვეყნებში სპორტის დაფინანსების წყაროები, ისინი საკმაოდ "წყალუხვი" ყოფილა: პირდაპირი სამთავრობო დაფინანსება ცენტრალური ბიუჯეტიდან, ადგილობრივი და რეგიონალური დაფინანსება, სპონსორთა ინსტიტუტი, სატელევიზიო და სარეკლამო უფლებების ნებართვა, ლატარია, სანევროები, სპორტულ ღონისძიებებზე ბილეთების რეალიზაცია და სხვა.

რადგან ჩამოთვლილი წყაროებიდან რამდენიმე ჩვენი სპორტისთვის გადაკეტილია, თამაზ თევზაძის აზრით, სპორტის ახალ კანონთან ერთად, უნდა მომზადდეს კანონპროექტთა მთელი პაკეტი, პირველ რიგში, საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებების შესატანად, ასევე საჭიროა რამდენიმე კანონის დიფერენციაცია, რომ, ვთქვათ, სპორტულ ობიექტსა და სამრეწველო საწარმოს ყველა ასპექტში თანაბარი გადასახადი არ ჰქონდეს.

მინისტრის მრჩევლის თქმით, ახალი სისტემის ერთ-ერთი მთავარი მიზანი უნდა იყოს სპორტში ვარჯიშის ხელმისაწვდომობა... რა თქმა უნდა, ევროპული ქარტიის შესაბამისად.

ახლა კი, როცა "უსწრაფეს ვადებში" ხორციელდება ახალი მოდელის შემუშავება (ასეთი სერიოზული საკითხების უსწრაფესად გადაწყვეტის მწარე მაგალითები კი თავზესაყრელია), სწორედ სპორტში ვარჯიშის ხელმისაწვდომობაა იგნორირებული ბავშვთა და მოზარდთა სპორტში, არადა, ეს "აუცილებელი ნაბიჯი" 4 მილიონამდე ლარის გადასარჩენად გადაუდგამთ, რომელიც თბილისის სპორტულ სკოლებსა და ცენტრებზე იხარჯებოდა. საინტერესოა, უკეთესზე რაღაზე უნდა დახარჯონ?

2006 წელს თბილისის ბიუჯეტიდან სპორტისთვის ჯერ 8 მილიონ 314.4 ათასი ლარი იყო გამოყოფილი, მათ შორის 4 მილიონ 107 ათასი - ქალაქის 28 სპორტული სკოლისთვის (რომელთა ნაწილს ოლიმპიური მზადების ცენტრის სტატუსი მიენიჭა, ზოგს - სპეციალიზებული სკოლის, მათი საერთო რიცხვი კი 38-დან 28-მდე შემცირდა, საშტატო ერთეული - 199-ით); მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მოსაწყობად 3.1 მილიონი ლარი იყო გათვალისწინებული, მაგრამ შემდეგ, ჯადოსნური ფრაზის - "ბიუჯეტის შესრულების პროცესში დაზუსტებულმა ბიუჯეტმა" - შეადგინა 11 მილიონ 727 ათასი ლარი, ანუ გაიზარდა 3 მილიონ 413 ათასით.

იმაზე აღარ ვლაპარაკობთ, საიდან ჩნდება ბიუჯეტში წინასწარ გაუთვალისწინებელი, დაუგეგმავი თანხები (რაც მისი გამოთვლის სისწორეში გვაეჭვებს). ჩვენ გვინდა მკითხველებს წინასწარ გკითხოთ, რაში დაიხარჯებოდა ეს "ზეციდან ჩამოვარდნილი" საჩუქარი, ანუ 3.413 მილიონი ლარი, ასე რომ სჭირდება ჩვენს სპორტს? ამოცანის გასაადვილებლად იმასაც შეგახსენებთ, რომ შარშანდელი წელიწადი ადგილობრივი არჩევნების წელიწადი იყო. დიახ, იგი თითქმის მთლიანად მოხმარდა მარტივი ტიპის ხელოვნურსაფარიანი მოედნების მოწყობას. ამისთვის ბიუჯეტიდან, რეალურად 6 მილიონ 200 ათასი ლარი გამოიყო, ანუ თანხა ასე უცებ გაორმაგდა. სულ დედაქალაქში სპორტის ფაქტობრივმა დაფინანსებამ 11.715 მილიონი ლარი შეადგინა და აქედან ნახევარზე მეტი (6.2 მლ.) მარტივი ტიპის მოედნებისთვის იყო გათვალისწინებული. სულ მოეწყო 123 ფეხბურთისა და 3 კალათბურთის მოედანი. ისე გამოდის, თბილისი ერთიანი კოპაკაბანა ყოფილა!

იმ გაზრდილი თანხიდან სხვა მიზნებისთვის, ცხადია, რქები და ჩლიქებიღა დარჩა, მაგალითად, დამატება 28 სპორტული სკოლისთვის - სულ 22 ათასი ლარი იყო.

არავინ იფიქროს, რომ საერთოდ, ასეთი მოედნების მშენებლობის წინააღმდეგი ვიყოთ. არც მათს მოსაწყობად დახარჯული თანხის რეალობაც დავაყენოთ ეჭვქვეშ (მაშინ, როცა სპორტული სკოლებისთვის გადარიცხული თანხები ზუსტად მიდის ადრესატამდე), მაგრამ ყველაფერში ხომ გონიერება და ზომიერებაა საჭირო... ყველა ხელმძღვანელს უყვარს სპორტსმენებთან ერთად გაზეთსა თუ ტელევიზორში გამოჭიმვა დიდი წარმატებების შემდეგ. მაგრამ დღეს, როგორც ჩანს, არ კითხულობენ, საიდან მოდის ასეთი მიღწევები? მხოლოდ საპიარო აქციებიდან, "მხიარული სტარტებიდან" (ესეც თავისთავად კარგია სპორტის პროპაგანდისთვის), ან იმ "გრანდიოზული მემორანდუმიდან", რომელიც მერიასა და ფეხბურთის ფედერაციას შორის გაფორმდა და რომელშიც თითქოს დედაქალაქის 500-მა სკოლამ (?!) უნდა მიიღოს მონაწილეობაო (თუმცა შემდეგ დააზუსტეს, "ახლომახლო" რეგიონებისაცო). ამ დიდ საფიშე ღონისძიებას, როცა პირველივე წაგების შემთხვევაში შეგიძლია შენს "ახლომახლო რეგიონში" ან სკოლაში დარჩე, თითქოს მასობრივი სპორტის ხსნის გზად წარმოგვიდგენენ.

გაუმარჯოს ფეხბურთს, მაგრამ სპორტის ხელშეწყობა მხოლოდ საფეხბურთო მინიმოედნების მოწყობითა და მსგავსი მემორანდუმებით შეუძლებელია. სამწუხაროდ, ამისთვის აუცილებელი ყოველდღიური, "შავი" მუშაობა ხელმძღვანელის, მწვრთნელისა და მოწაფის არავის სჭირდება - ძალიან ცუდი მასალაა საპიაროდ და არც არჩევნებზე გამოდგება არგუმენტად.

დღეს მარტო ერთი და ორი ადამიანის კი არა, ყველას დანაშაულია, რომ ათასობით ბავშვს სპორტში ვარჯიში სურს და ამის საშუალება არ აქვს... თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში 300-მდე სტუდენტმა წერილი მიწერა რექტორ **გიორგი ხუბუას**, მაღლივი კორპუსის კარი გაგვიხსენით, ვარჯიში გვინდაო. იქ ერთი მასწავლებელი, კერძოდ, ქალბატონი **ლალი ბალავაძე** თურმე სტუდენტებს უფასოდ ავარჯიშებდა იმის შემდეგაც, რაც ამ თავის დროზე ყველასთვის პატივსაცემ სასწავლებელშიც, ფიზკულტურის მასწავლებლების შტატები გააუქმეს. იმ მასწავლებელსაც დარბაზის კარი მიუხურეს - რა უფლებითო... ბატონი რექტორი თურმე შეჩქვიფებულა, როცა 300 სტუდენტის თხოვნა მიიღო, ერთი ამბავიც დაუწევია იქაურობისთვის, მაგრამ როცა ფიზკულტურის პედაგოგთა შტატი ჯერ მისმა წინამორბედმა რუსუდან ლორთქიფანიძემ დაფერთხა, ბოლოს კი, მის დროს, თითქმის ნულამდე დაიყვანეს, მეტს რას მოელოდა?..

გიორგი ჩოჩიშვილი

დასასრული იქნება

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე; ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეგანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა